CMYK - 1

www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი 6 მაისი, 2009 წელი. №98 (2136) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

„საქართველოში სიტუაციის დაძაბვის ყოველგვარი მცდელობა კრახით დასრულდება„

A3

არასაპარლამენტო ოპოზიციის რეაქცია

A2

„კალა კაპიტალი„ ეკონომიკის სამინისტროს უპირისპირდება

A6

24 საათი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

GRDC group

ჯი პი აი
ვენის საფაზღვევო ჯგუფი

რუსეთთან კოორდინირებული ამბოხი

მიზანი: მინიმუმ - ნატო-ს სამხედრო წვრთნების ჩაშლა, მაქსიმუმ - ქვეყანაში სრულმასშტაბიანი სამხედრო ამბოხის მოწყობა

ინგა ალავიძე
ხათუნა ჭანგირაშვილი

ნატო-ს სამხედრო წვრთნების ჩაშლის მიზნით, საქართველოს სხვადასხვა სამხედრო დანაყოფებში სამხედრო ამბოხი მზადდებოდა. ეს გეგმა კოორდინირებული იყო რუსეთთან და ნატო-ს სამხედრო წვრთნების ჩაშლასთან ერთად, ქვეყანაში ფართომასშტაბიანი სამხედრო დაუმორჩილებლობის მოწყობას ისახავდა მიზნად, - ასე შეფასდა გუშინ, მუხროვანის სამხედრო ნაწილში განვითარებული მოვლენები. მუხროვანის ბუნტი ერთხელ უკვე მოხდა - რვა წლის წინ. 2001 წლის 25 მაისს ეროვნული გვარდიის აბუნტებულ ჯარისკაცებს ის გენერლები მეთაურობდნენ, რომელთა სახელებიც რვა წლის შემდეგ, გუშინ მომხდარ ამხობთან დაკავშირდა.

გენერალი კობალაძე და სხვა ყოფილი გვარდიელები - ოთანაძე, წკრიალაშვილი ადრე იყვნენ დასაკავებლები. ისინი ჩამოყალიბებული კრიმინალები არიან და ეს ყველამ ვიცოდით, - განაცხადა გუშინ მიხეილ სააკაშვილმა.

გაგრძელება A4 გვერდზე

ამბოხის პასუხი - ნატო-ს გაფართოება გაგრძელდება

დიმიტრი ავალიანი

მოსკოვი კატეგორიულად უარყოფს თბილისის ბრალდებებს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობასთან რუსეთის კავშირის შესახებ, თუმცა საქართველოში ნატო-ს წვრთნების ჩატარების წინააღმდეგ არგუმენტად სწორედ ქართულ შეიარაღებულ ძალებში ამბოხი მოჰყავს. ამ მოვლენების მიუხედავად, ალიანსი წვრთნების ჩატარებაზე უარს არ ამბობს. ალიანსის გენერალური მდივანი მოსკოვის მისამართით საგანგებოდ აცხადებს, რომ ნატო-ს გაფართოება გაგრძელდება.

ოფიციალური ვაშინგტონის მხრიდან საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე რეაგირება პირველად პენტაგონის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ბრაიან უიტმენმა მოახდინა. მისი თქმით, საქართველოში მომხდარი ამბოხება ცალკეულ შემთხვევას ჰგავს და პენტაგონი მოვლენებზე დაკვირვებას აგრძელებს.

ოფიციალურმა მოსკოვმა გუშინ საქართველოს ხელისუფლების ბრალდებები კატეგორიულად უარყო. **საქართველოს ბოლო ბრალდებები რუსეთის მისამართით საქარათველოს ხელისუფლების ავადმყოფურ ფანტაზიებსა და უპასუხისმგებლო ქცევაზე მეტყველებს. ქვეყნის შიგნით დიალოგის ნაცვლად, საქართველოს ხელისუფლება რუსეთს აბსურდულ ბრალდებებს უყენებს,** - განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა.

გაგრძელება A3 გვერდზე

"არ დაარტყა, ჟურნალისტია!"

ვერიკო თევზაძე

გუშინ "პირველი არხის" ჟურნალისტის ცემის ფაქტს მუხროვანის ხმაურიანი ინციდენტის ფონზე აქტუალობა არ დაუკარგავს. ოპოზიციონერ ბეჟან გუნავასგან განსხვავებით ("ეს რა ცემაა, კაცო..."), სახალხო დამცველის ოფისში შეკრებილმა საზოგადოების წარმომადგენლებმა მომხდარის გამო მწვავე რეაქცია გამოხატეს.

ოპოზიციის მტკიცებით, "პირველი არხის", კერძოდ დილის პროგრამა "ალიონის" ეკონომიკურმა მიმომხილველმა ნიკა ავალიანმა თავად გამოიწვია ოპოზიცია, როცა "სირცხვილის დერეფნის" საკნის გადაყირავებას შეეცადა. თავად ავალიანმა განაცხადა, რომ მისი საქციელი იყო რეაქცია აქციის მონაწილეთა მხრიდან გინებაზე.

აღნიშნული პრობლემის შესახებ გუშინ სახალხო დამცველის ოფისში გამართულ დახურულ შეხვედრაზე იმსჯელეს, რომელშიც მონაწილეობდნენ ჟურნალისტები, ფსიქოლოგები, პოლიტიკოსები. მანამდე "პირველი არხის" ხელმძღვანელობამ სპეციალური განცხადება გაავრცელა. მათი შეფასებით, ოპოზიციის აქტივისტების ძალადობამ ღია და სასტიკი ხასიათი მიიღო. "რადიკალების ახალგაზრდა აქტივისტების უკანონო ქმედება პოლიტიკური ლიდერების თვალწინ და მათი უშუალო წაქეზებით მიმდინარეობს," - აღნიშნულია განცხადებაში. არხის ხელმძღვანელობამ მიმართა სახალხო დამცველს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, მედიის წარმომადგენლებს, მთელ საზოგადოებას, გამოხატონ თავიანთი პოზიცია "ბრძოლის იმ ფაშისტური, შუასაუკუნებრივი მეთოდების მიმართ, რომელსაც რადიკალური ოპოზიცია მიმართავს."

სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა ჟურნალისტების ფიზიკური შეურაცხყოფის გამო შეშფოთება გამოთქვა და შინაგან საქმეთა სამინისტროსგან ნიკა ავალიანის ცემის ფაქტის გამოძიება მოითხოვა.

გაგრძელება A2 გვერდზე

CMYK - 1

კრემლი თბილისს ადმინისტრაციული საზღვრის მილიტარიზაციაში ადანაშაულებს

მაშინ, როდესაც კრემლს კონფლიქტის რეგიონებში უპრეცედენტო რაოდენობის რუსული სამხედრო ძალა ჰყავს შეყვანილი, რუსეთი საქართველოს სამხრეთ-ოსეთისა და აფხაზეთის ე.წ ადმინისტრაციული საზღვრის მილიტარიზაციაში ადანაშაულებს.

რუსეთის ოფიციალურმა წარმომადგენელმა გაეროში ვიტალი ჩურკინმა საგანგებო განცხადება გააკეთა, რომელშიც აღნიშნა, რომ ამ დროისათვის სასაზღვრო რაიონში დიდი რაოდენობით ჯავშანტექნიკა და ცოცხალი ძალაა თავმოყრილი, რაც რეგიონში მდგომარეობას კიდევ უფრო არასტაბილურს ხდის. **საქართველო აგრძელებს კონფლიქტის ზონის სასაზღვრო მონაკვეთებში ცოცხალი ძალისა და მძიმე ჯავშანტექნიკის მობილიზებას. სამხრეთ ოსეთის საზღვართან განთავსებულია არტილერია და 2500-მდე სამხედრო მოსამსახურე. გამაგრებულია 35 მუდმივი და მობილური პოსტი. მიმდინარეობს სამხედრო წვრთნები გორში. რეგიონში ევროკავშირის დამკვირვებლების ყოფნის მიუხედავად, ქართული მხარე მუდმივად აწყობს პროვოკაციებს. რაც შეეხება აფხაზეთს, მის საზღვრებთან 2000-მდე სამხედრო მოსამსახურე და პოლიციური შენაერთია მობილიზებული. მათ შეიარაღებაში გრადები და 120-მილიმეტრიანი ნაღმმტყორცნები შედის,** - განაცხადა ვიტალი ჩურკინმა.

ჩურკინის ამ განცხადებიდან რამდენიმე საათში გალის რაიონის სოფლებში დიხაზურგაში, ლეკუხონაში, საბერიოსა და ჭუბურხინჯში რუსმა ოკუპანტებმა დამატებითი სამხედრო ტექნიკა და ცოცხალი ძალა შეიყვანეს.

როგორც აფხაზეთის მედიაცენტრში აცხადებენ, აღნიშნულ სოფლებში "ბეემპე"-ს ტიპის 14-მდე საბრძოლო მანქანა და 60 კაცამდე ცოცხალი ძალაა შეყვანილი, რომლებიც დიხაზურგას, საბერიოს, ჭუბურხინჯისა და ლეკუხონას ბლოკ-საგუშაგოებზე განთავსდნენ.

გუშინვე ჩაიკეტა გალის რაიონის ადმინისტრაციული საზღვარი. გალის რაიონის დაბალი ზონის სოფლებში, მათ შორის აჩიგვარაში, ჩხორთლოსა და წარჩეში რუსული ტანკების, ჯავშანტექნიკის, ქვეითთა სამხედრო მანქანებისა და ცოცხალი ძალის კონცენტრაცია და გადაადგილებები ჯერ კიდევ 7-დან 13 აპრილამდე მიმდინარეობდა. ამავე პერიოდში წებელდაში, ასევე ოჩამჩირის რაიონის ადმინისტრაციულ საზღვართან, ე.წ. ცორკას ტერიტორიაზე, სამხედრო წვრთნები გაიმართა, განმუხურიდან ოჩამჩირემდე კი რუსული სამხედრო კატარღა კურსირებდა.

საკუთარი ინფორმაცია

ილია II: ხელისუფლებამ და ოპოზიციამ ალბათ უნდა მოუსმინონ ერთმანეთს

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს შეხვდა. შეხვედრაზე, რომელიც უწმინდესის ინიციატივით გაიმართა, საუბარი საქართველოში შექმნილ ვითარებას შეეხო. კათოლიკოს-პატრიარქის განცხადებით, ეკლესია ვერც ხელისუფლების და ვერც ოპოზიციის მხარეს ვერ დაიჭერს. ილია II-მ იმედი გამოთქვა, რომ სიტუაცია მალე განიმუხტება. დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა საქართველოს მხარდაჭერა გამოთქვეს. "მოგეხსენებათ, რომ საქართველო იმყოფება გარდამავალ პერიოდში. რჩება პრობლემები, რომლებიც გადაჭრილი არ არის, დარღვეულია ტერიტორიული მთლიანობა. მაგრამ ჩვენ ვცხოვრობთ იმედით. მე იმედი მაქვს, რომ ეს ყველაფერი აღდგება და ტერიტორიული მთლიანობა იქნება აღდგენილი. ჩვენ მოგვემატა ახალი პრობლემა, ეს არის დაძაბული ურთიერთობა ჩვენს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის. მთავრობაშიც და ოპოზიციაშიც არიან ძალიან ჭკვიანი ადამიანები და მე ვფიქრობ, რომ ისინი აუცილებლად გამონახავენ საერთო ენას. ალბათ უნდა მოუსმინონ ერთმანეთს. მე ვფიქრობ, რომ არ შეიძლება ასეთი დამოკიდებულება დიდხანს გაგრძელდეს," - ბრძანა პატრიარქმა.

ჯი-ეიჩ-ენი

გრიგოლ ვაშაძემ ჰილარი კლინტონისგან წერილი მიიღო

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონისგან წერილი მიიღო.

წერილში საუბარია მიმდინარე წლის 14 აპრილს ვაშინგტონში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანსა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს შორის გამართულ შეხვედრაზე, სადაც განხილულ იქნა საქართველოსა და ამერიკის ორმხრივი ურთიერთობის საკითხები. ამ კონტექსტში წერილში აღნიშნულია ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ასევე საქართველოს ევროატლანტიკურ ინსტიტუციებთან ინტეგრაციისკენ სწრაფვის უპირობო მხარდაჭერის შესახებ.

ჯი-ეიჩ-ენი

არასაპარლამენტო ოპოზიციის რეაქცია

ქვეყანაში გუშინ განვითარებული მოვლენების გამო არასაპარლამენტო ოპოზიციამ გეგმები შეცვალა. გადაიდო 5 მაისისთვის დაგეგმილი ყველა ღონისძიება, მათ შორის - თბილისისკენ მომავალი ცენტრალური მაგისტრალების პიკეტირება. ოპოზიციის ლიდერების გუშინდელი ერთობლივი თათბირის დასრულების შემდეგ ზვიად ძიძიგურმა განაცხადა, რომ არა აქვთ ზუსტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ხდება მუხროვანში, ამიტომ სიტუაციის გარკვევამდე დედაქალაქის შემოსასვლელების პიკეტირება სამი დღით გადაიდება.

"ალიანსი საქართველოსთვის" წარმომადგენელ მანანა ნაჭყებიას თქმით, ასეთი გადაწყვეტილება ოპოზიციამ შესაძლო პროვოკაციის თავიდან აცილების მიზნით მიიღო.

"არ არის გამორიცხული, რომ ხელისუფლებამ ეს შემთხვევა პროვოკაციისთვის გამოიყენოს და არეულობა ჩვენ დაგვბრალდეს, - ვარაუდობს ნაჭყებია.

ოპოზიციის ლიდერები არც იმას გამორიცხავენ, რომ შესაძლოა, ყველაფერი საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისთვის კეთდებოდეს.

ამ აბსოლუტურად გაუაზრებელ პროვოკაციებს იმის სუნი ასდის, რომ ხელისუფლება ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოსაცხადებლად ემზადება, რისთვისაც გარკვეული საბაბია საჭირო და თუ ეს მართლა მოხდა, მაშინ ამ ხელისუფლების საქმე დამთავრებულია, - აღნიშნავს მემარჯვენეების ლიდერი დავით გამყრელიძე.

პარლამენტის წინ გუშინ გამართულ მიტინგზე ოპოზიციის ლიდერთა განცხადებები თითქმის მთლიანად ქვეყანაში განვითარებულ პროცესებს ეხებოდა. მომიტენგეების წინაშე გამოსვლისას ლევან გაჩეჩილაძემ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდი შეაფასა.

სააკაშვილის მთავრობაში მოსვლის პირველი დღე დაჭერებითა და სატელევიზიო შოუებით დაიწყო, გაგრძელდა წამლის ჩადებით და დაჭერებით, კერძო საკუთრების წართმევით, რასაც მოჰყვა ქართული ეკლესიების ნგრევა და შემდეგ ამის გამართლება. ასეთივე დიდი სპექტაკლი იყო განმუხურში მისი ჩასვლა, ხოლო უდიდესი ავანტიურა - არჩევნები. შემდეგი ეტაპი ჟვანიაზე კადრების გავრცელება იყო, რასაც ბადრი პატარკაციშვილზე გავრცელებული კადრები მოჰყვა, რამაც იგი შეიწირა. ეს ყველაფერი ქართველი ხალხის გაბითურების ხარჯზე ხდებოდა," - განაცხადა გაჩეჩილაძემ.

საქართველოს გზის ლიდერ სალომე ზურაბიშვილის განცხადებით კი, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დამონტაჟებული ვიდეო-მასალით ხელისუფლება დაეხმარა ოპოზიციას, რომ კიდევ მეტი ხალხი გამოსულიყო ქუჩაში.

"ვინ არის რუსეთთან? ვინ დაგვაშორა ნატოს? ვინ მოაწყო 7 ნოემბერი და აგვისტოს ომი? - რა თქმა უნდა, მიშამ! მიშა არის რუსეთის მთავარი შემსრულებელი და იგი ისევ ჩვენს ჯარს აყენებს შეურაცხყოფას," - მიიჩნევს ზურაბიშვილი. მისივე მტკიცებით, **"9 მაისს ოპოზიცია საქმეს ბოლომდე მიიყვანს და გაიმარჯვებს."**

9 მაისის მოლოდინშია ზვიად ძიძიგურიც.

საინტერესოა, 8 მაისს რომელ სამხედრო ნაწილს "ააჯანყებს" პრეზიდენტი?! ჩვენ ძალოვანებთან ბრძოლაში არ შევდივართ და არანაირ პროვოკაციაში არ ჩავერთვებით, - აღნიშნავს ოპოზიციონერი პოლიტიკოსი.

გოგა ხაინდრავა კი მიხეილ სააკაშვილს უკვე ხვალინდელი დღით ემუქრება. თუმცა, მისი ძირითადი სამიზნე გუშინ კვლავ ჟურნალისტები იყვნენ, რომელთაც პოლიტიკური პოლიცია უწოდა და რომელთა მიმართაც, ბოლო დროინდელი ტრადიციისამებრ, შეურაცხმყოფელი სიტყვები არ დაიშურა.

საქართველოში არსებულ ვითარებას გუშინ ქართული აკადემიაც გამოეხმაურა.

შიდაპოლიტიკურ კრიზისად იწოდება ისეთი ვითარება, როდესაც ძირითად პოლიტიკურ ძალებს შორის შეთანხმების მიღწევა ვერ ხერხდება, სუსტდება ქვეყნის მართვა და არ არსებობს პირობები კანონშემოქმედებითი მუშაობის გასაგრძელებლად. სამივე ეს კლასიკური ნიშანი სახეზეა. გაუგებარია, რაზე შეიძლება ისაუბროს ოპოზიციამ ხელისუფლებასთან, თუკი ეს უკანასკნელი საერთოდ არ აღიარებს ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის არსებობას, - ნათქვამია ქართული აკადემიის განცხადებაში.

ქართული აკადემია მიიჩნევს, რომ ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის მოლაპარაკების გასამართად საჭიროა რამდენიმე პირობა: ხელისუფლებამ აღიაროს ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის არსებობა; პროცესში ჩაერთონ საერთაშორისო მედიატორები; დიალოგის მთავარ თემად განისაზღვროს კრიზისის გამომწვევი მიზეზები და მისი დაძლევის გზები და, როგორც გამოსავალი, - განხილული იქნას რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების შესაძლებლობა.

მოლაპარაკების გამართვის შემთხვევაში, ოპოზიციის მხრიდან დასაშვებ კომპრომისად შეიძლება მივიჩნიოთ მოთხოვნა ოპოზიციასთან შეთანხმებულ ვადაში პრეზიდენტის მიერ საერთო-სახალხო რეფერენდუმის დანიშვნის თაობაზე, - აღნიშნულია განცხადებაში.

საკუთარი ინფორმაცია

"არ დაარტყა, ჟურნალისტია!"

პირველი გვერდიდან

"უკიდურეს აღშფოთებას გამოვხატავ იმის გამო, რომ გრძელდება ჟურნალისტების ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტები. 5 მაისს კიდევ ერთხელ მოხდა მსგავსი ძალადობა, როდესაც "პირველი არხის" ჟურნალისტ ნიკა ავალიანს "პირველი არხის" მიმდებარე ტერიტორიაზე მიტინგის მონაწილეებმა მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. მოვუწოდებ შინაგან საქმეთა მინისტრს, სასწრაფოდ გამოიძიოს ეს ფაქტი, ისევე, როგორც ძალადობის ის შემთხვევები, რომლებსაც წინა პერიოდში ჰქონდა ადგილი. სწორედ დაუსჯელობა და მსგავსი საქმეების გამოუძიებლობა უქმნის ნოყიერ ნიადაგს ძალადობას, - ნათქვამია ომბუდსმენის მიერ გუშინ გავრცელებულ სპეციალურ განცხადებაში, - შეშფოთებას გამოვთქვამ იმის გამო, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო აგრძელებს დანაშაულისადმი წაყრუების პოლიტიკას და არათუ არ იძიებს ძალადობის ფაქტებს, არამედ ძალადობაზე საერთოდ არ ახდენს რეაგირებას მაშინაც კი, როცა ეს პოლიციის თვალწინ ხდება."

ქართული ტელეკომპანიების მიერ გავრცელებულ ნიკა ავალიანის ცემის კადრებში მკაფიოდ ისმის შეძახილი: "არ დაარტყა, ჟურნალისტია!"

სოზარ სუბარი ჩვენს საზოგადოებას შეახსენებს, რომ არა მხოლოდ ჟურნალისტის ფიზიკური შეურაცხყოფა, არამედ ნებისმიერი ძალადობა მძიმე დანაშაული და სირცხვილია, რაც აფერხებს სახელმწიფოს მშენებლობას.

"მოვუწოდებ მოქალაქეებს, განურჩევლად პოლიტიკური შეხედულებისა, თავი შეიკავონ ჟურნალისტების მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორებისგან. ეს არის ძალიან მძიმე დანაშაული, რაც აფერხებს ჩვენი ქვეყნის განვითარებას," - აცხადებს სახალხო დამცველი.

5 მაისს "პირველი არხის" შენობასთან მომხდარი ინციდენტი "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამაც" დაგმო. ასოციაციამ ოპოზიციას მოუწოდა, უზრუნველყონ თავიანთი მომხრეების კანონიერ ჩარჩოებში მოქმედება.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელთა შეფასებით, "პირველი არხის" საინფორმაციო სამსახური ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს ხშირ შემთხვევაში ობიექტურად და თანამიმდევრულად არ აშუქებს. მიუხედავად ამისა, ოპოზიცია არ თავისუფლდება ვალდებულებისგან, რომ დაიცვას წესრიგი და ადამიანის უფლებები, - დასძენს "საია".

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მოუწოდებს "ოპოზიციას, შეწყვიტოს ჟურნალისტების შეურაცხყოფა და საჯაროდ დაგმოს მათი ზოგიერთი მომხრის მიერ ჟურნალისტებზე გახშირებული თავდასხმის ფაქტები."

ამასთანავე, არასამთავრობო ორგანიზაციის მიმართვის ადრესატი ხელისუფლებაც არის. "საია"-ს შეფასებით, თუ ხელისუფლება შეწყვეტს "მედიასაშუალებების სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევას", ეს დადებითად იმოქმედებს ქვეყანაში შექმნილი კრიზისის განმუხტვაზე.

"24 საათი" სოლიდარობას უცხადებს კოლეგებს და გმობს ნებისმიერი სახის ზეწოლას ჟურნალისტებზე.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ამბოხის პასუხი - ნატო-ს გაფართოება გაგრძელდება

პირველი გვერდიდან

რუსულმა უწყებებმა ასევე უარყვეს ინფორმაცია რუსული სამხედრო ძალების განსაკუთრებული მზადების შესახებ. რუსეთის თავდაცვის სამინისტრო ოფიციალურ განცხადებაში ამტკიცებს, რომ სამხედრო ნაწილები საბრძოლო მზადყოფნაში არ არის მოყვანილი. რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახური კატეგორიულად უარყოფს სამხრეთ ოსეთში "ფეესბეს" სპეცრაზმების და მესაზღვრეების შეყვანის ფაქტსაც. ოფიციალური განცხადება გაავრცელა რუსეთის შავი ზღვის ფლოტმაც. განცხადების თანახმად, ფლოტი არ არის მოყვანილი საბრძოლო მზადყოფნაში და გემები საქართველოს სანაპიროსკენ არ მოემართებიან.

ნატო-ში რუსეთის ფედერაციის სრულუფლებიანი წარმომადგენელი დიმიტრი როგოზინის ენამახვილობს: **"ჩვენ ნელ-ნელა უკვე მივეჩვიეთ საქართველოს პოლიტიკური თუ სამხედრო ხელმძღვანელობიდან წამოსულ უგუნურ ბრალდებებს იმის შესახებ, რომ წვიმაც და ელჭექიც, რა თქმა უნდა, მოსკოვის ბრალია."** როგოზინი მუხროვანის სამხედრო ბაზაზე სამხედროების მიერ დაუმორჩილებლობის გამოცხადებაში რუსეთის კვალის ძებნას სასაცილოს უწოდებს.

მისი თქმით, ის, რაც საქართველოში მოხდა და ხდება, **"ქართული არმიისა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის სრული დაშლაა, რისი მიზეზიც ისევ და ისევ საკაშვილის უგუნური პოლიტიკაა."** შესაბამისად, როგოზინის თქმით, მიზანშეუწონელია საქართველოში ნატო-ს წვრთნების ჩატარება.

თავის მხრივ, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ს საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ალექსეი ოსტროვსკიმ განაცხადა, რომ **მიხეილ სააკაშვილმა სამხედროებისა და სპეცსამსახურების ნდობა დაკარგა.** მან უარყო მოსაზრება, თითქოს სამხედრო ამბოხი საქართველოში ნატო-ს წვრთნების ჩაშლის მცდელობას უკავშირდება.

საქართველოში მიმდინარე მოვლენებისა და რუსეთის პროტესტის მიუხედავად, ალიანსი საქართველოში დაგეგმილი სწავლებების გადადებას არ აპირებს. **"ნატო არ გადახედავს თავის გეგმებს და დარწმუნებულები ვართ, რომ წვრთნები ნორმალურად ჩატარდება,"** - განაცხადა გუშინ ალიანსის ოფიციალურმა წარმომადგენელმა. ნატო-ს მანევრები საქართველოში დღეს დაიწყება და 1 ივნისს დასრულდება.

გარდა ამისა, გუშინ ესტონურ გაზეთ პოსტიმეესში ალიანსის გენერალურ მდივან იაპ დე ჰოოპ სხეფერის ინტერვიუ გამოქვეყნდა, რომელშიც სხეფერმა ღიად განაცხადა, რომ ნატო რუსეთს მისი გაფართოების შეჩერების საშუალებას არ მისცემს. **რუსეთს ვერ მივცემთ შესაძლებლობას, ნატო-ს გაფართოების გზიდან გადაახვევინოს. ეს პროცესი ევროპის, როგორც უსაფრთხოების ერთიანი დემოკრატიული სივრცის კონსოლიდაციის ბირთვს წარმოადგენს. აქ ვაჭრობაზე საუბარიც არ შეიძლება,** - განაცხადა ნატო-ს გენერალურმა მდივანმა.

საქართველოში მიმდინარე მოვლენები ნატო-ს წვრთნებს გუშინ ბი-ბი-სი -მაც დაუკავშირა. კერძოდ, ბი-ბი-სი აღნიშნავს, რომ საქართველოში დაგეგმილ წვრთნებს რუსეთი მკვეთრად ეწინააღმდეგება და მოჰყავს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება იმის შესახებ, რომ მანევრები **პროვოკაციაა, რომელსაც შესაძლოა, ნეგატიური შედეგები მოჰყვეს.**

ამერიკულ-რუსული ურთიერთობების დათბობას ახალი საფრთხე ემუქრება, - წერს, თავის მხრივ, გაზეთი ფაინეშენალ თაიმსი . კერძოდ, **ქართულ არმიაში მომხდარი აჯანყება ბოლო ინციდენტია იმ მოვლენებს შორის, რომელსაც არა მხოლოდ კავკასიის რეგიონში შეუძლია დესტაბილიზაციის შეტანა, არამედ შესაძლოა, რუსულ-ამერიკულ ურთიერთობებს ავნოს.**

ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოში შექმნილმა სიტუაციამ ბარაკ ობამას ადმინისტრაცია უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა: **საკაშვილისადმი ვაშინგტონის დახმარება წარმოადგენს მტკივნეულ ადგილს რუსეთისა და ამერიკის ურთიერთობების ბოლოდროინდელ სტაბილურ დათბობაში, რომელიც ობამასა და მედვედევის ლონდონის შეხვედრით გამოიხატა.**

საქართველოში სიტუაციის დაძაბვის ყოველგვარი მცდელობა კრახით დასრულდება

მუხროვანში მომხდარი ამბოხება საქართველოში ნატოს ეგიდით დაგეგმილი წვრთნის წინააღმდეგ იყო მიმართული. ეს ამბოხი, ასევე მიმართულია ევროკავშირის სამიტის წინააღმდეგ, სადაც აღმოსავლური პარტნიორობის პროგრამის შესახებ შეთანხმება უნდა გაფორმდეს, - აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა ტელევიზიით გაკეთებულ საგანგებო განცხადებაში.

უახლოეს დღეებში საქართველოში ნატო-ს სწავლება იგეგმება, ხოლო 6-8 მაისს პრაღაში გაიმართება ევროკაშირის სამიტი, რომლის ფარგლებშიც საქართველო ევროკავშირთან აფორმებს აღმოსავლური პარტნიორობის ხელშეკრულებას, - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტის თქმით: პირველი მოვლენა არის მნიშვნელოვანი, თუმცა სიმბოლური, რადგან რუსეთის აგრესიის შემდეგ ნატო უშუალოდ საქართველოს ტერიტორიაზე დგამს ამ ნაბიჯს, მეორე მოვლენას აქვს ძალზე სერიოზული პოლიტიკური და, მე ვიტყოდი, ისტორიული მნიშვნელობა, რადგან საქართველო პირველად ამყარებს ინსტიტუციურ კავშირს ევროკავშირთან - ჩვენს ბუნებრივ პარტნიორთან, ჩვენი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური მომავლის არეალთან.

მიხეილ სააკაშვილმა ტელემიმართვისას გაიხსენა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით საქართველოს მიმართ განხორციელებული უამრავი რიტორიკული მუქარა და კონკრეტული პროვოკაცია.

თქვენ იცით, რომ ბოლო კვირების განმავლობაში რუსეთმა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე გაასამმაგა სამხედრო ძალის რაოდენობა და საქართველოს საზღვაო აკვატორიაში, პრაქტიკულად, მთელი შავი ზღვის ფლოტი განალაგა.

ეს, რა თქმა უნდა, იყო უკიდურესად პროვოკაციული და საშიში ნაბიჯი, რომელიც მიზნად ისახავდა დედაქალაქის შუაგულში მასობრივი არეულობების, რაიმე სახის ძალადობის განხორციელებას, რათა შემდეგ სცენარი საქართველოს სუვერენიტეტის, ჩვენი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების წინააღმდეგ განვითარებულიყო. ბუნებრივია, რომ ეს მიმართული იყო საქართველოს ევროატლანტიკური და ევროპული ინტეგრაციის წინააღმდეგ, - აღნიშნა პრეზიდენტმა და მიმართა საკუთარ მოქალაქეებს: კარგად ნახეთ, როგორი თავშეკავება გამოიჩინა საქართველოს მთავრობამ. ჩვენ უკიდურესად რბილად და ყოველგვარი ემოციის გარეშე გამოვაცხადეთ მზადყოფნა მაქსიმალურად გახსნილი დიალოგისთვის, მათ შორის იმისათვის, რომ არავითარი საბაბი არ მიგვეცა საქართველოს მტრისთვის.

ჩვენ მოვიქეცით ისე, როგორც არ მოიქცეოდა და არ მოითმენდა ევროპის უმეტესი ქვეყნები. ჩვენ მიგვაჩნია, რომ გამოსავალი ყოველთვის, ყველა ვითარებიდან არის დიალოგი. ჩვენ არ დავუშვით რაიმე სახის პროვოკაცია არც თბილისში და არც საქართველოს სხვა ადგილებში.

ამისათვის პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა ყველა პასუხისმგებლობის მქონე პოლიტიკურ ძალას და კიდევ ერთხელ დაადასტურა მზადყოფნა თანამშრომლობის თაობაზე.

მეორე მხრივ, თქვენ ასევე ნახეთ ისტერიული მუქარები, რომლებიც გაისმოდა ოკუპანტი ძალის, რუსეთის პოლიტიკოსების, სამხედროებისა და უმაღლესი ხელმძღვანელების მხრიდან. ისინი ამბობდნენ, რომ არ დაუშვებდნენ ნატოს სწავლებებს საქართველოში და რომ მათ ამისათვის აქვთ საკმარისი ბერკეტი, - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა, რომლის ინფორმაციითაც, ბოლო დღეების განმავლობაში ყველა საერთაშორისო ნორმის უხეშად დარღვევისა და ფეხქვეშ გათელვით რუსეთმა გაზარდა კონტინგენტი, განალაგა ე.წ. მესაზღვრეები და ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ვითარება დაეძაბა.

ამ ფონზე, ყოფილი გვარდიელებისა და ყოფილი სამხედროების ერთმა ჯგუფმა, რომელთა კავშირი ერთი ქვეყნის სპეცაგენტურასთან ჩვენთვის დიდი ხანია ცნობილია, სცადა მუხროვანის სამხედრო ნაწილში არეულობების გამოწვევა. სამხედრო ნაწილში არეულობა არ არის ადვილი საქმე. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ყოველგვარი არეულობა, სადაც არის იარაღიანი ხალხი, არის ხელის აღმართვა საქართველოს დემოკრატიულ სისტემაზე, თითოეული ჩვენი მოქალაქის უსაფრთხოებაზე, საქართველოს კონსტიტუციაზე, რადგან საქართველოს კონსტიტუციით, ყველა სამხედრო ნაწილი ექვემდებარება კანონიერად არჩეულ სამოქალაქო ხელისუფლებას. ყოველგვარი ექსცესების შექმნა ემუქრება თითოეული ჩვენი მოქალაქის მომავალს. ჩვენ ამას განვიხილავთ სერიოზულ საფრთხედ და გამოწვევად, - განაცხადა პრეზიდენტმა და იქვე განმარტა: ამავე დროს, მინდა გითხრათ, რომ ეს არის იზოლირებული ინციდენტი, რადგან ეს არც ერთ სხვა სამხედრო ნაწილს არ გადასდებია. სხვა სამხედრო ნაწილებში ამჟამად გამოცხადებულია განგაში და სიტუაცია ექვემდებარება კონტროლს.

მთლიანად ქვეყანაში წესრიგი და სიწყნარეა და ამ ეტაპზე საფრთხე არ არის.

ეს არეულობის ინსპირაცია არ არის დაკავშირებული სოციალურ პირობებთან. თქვენ კარგად იცით, რომ ჩვენს ჯარს ყველაზე მაღალი ხელფასი აქვს ქვეყანაში. ჩვენს ოფიცრებს აქვთ განსაკუთრებული დაფასება ქართული საზოგადოებისგან. ეს არ არის შევარდნაძისდროინდელი, ფეხშიშველი, მშიერი, არადისციპლინებული ჯარი.

ვერავინ ვეღარ დააბრუნებს საქართველოს 90-იანი წლების არეულობაში. ჩვენ

კარგად გვახსოვს, რას ნიშნავს შეიარაღებული ფორმირებები, გასამხედროებული ბანდიტები, რომლებიც დადიოდნენ თბილისსა და სხვა ქალაქებში და უხეშად არღვევდნენ ჩვენი მოქალაქეების უფლებებს, ძარცვავდნენ და ანადგურებდნენ ჩვენი ქვეყნის დოვლათს.

ქვეყნის მთავარსარდალმა აღნიშნა ისიც, რომ ძალიან ბევრი წელი დასჭირდა საქართველოს, რომ ეს მდგომარეობა შეცვლილიყო. მათ თარეშსა და პარპაშს ბოლო მოუღო ვარდების რევოლუციამ. ის ხალხი, ვინც ახლა არეულობის ორგანიზებას ცდილობს, ძირითადად, არის ვარდების რევოლუციის შემდეგ ჯარიდან დათხოვილი ხალხი, რომელთაც 90-იან წლებში დაბრუნება სურს. საბოლოოდ, ისინი მოქმედებენ უცხო ძალასთან კოორდინაციით, მის დახმარებაზე სრული გათვლით.

მინდა კატეგორიულად მივმართო და გავაფრთხილო რუსეთის ფედერაცია, საქართველოს შიგნით სიტუაციის დაძაბვის და ესკალაციის ყოველვარი მცდელობა, განსაკუთრებით ოკუპირებულ ზონებში, კრახით დასრულდება.

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ აქვს ინფორმაცია, რომ ამ ტერიტორიებზე დამატებითი ფორმირებებია მობილიზებული, სიტუაცია დაიძაბა და რუსეთის შავი ზღვის ფლოტმა დაიწყო ახალი მოძრაობა. ყოველივე ეს ატარებს პროვოკაციულ ხასიათს.

დაჟინებით ვთხოვ და მოვითხოვ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლისგან, თავი შეიკავოს მსგავსი პროვოკაციული მანევრებისგან, თავი შეიკავოს ყოველგვარი პროვოკაციისაგან, რადგან საქართველოში ეს პროვოკაციები აღარ გავა და ქართველი ხალხი ამას არ წამოეგება. ეს მათთვის ძალიან მარტივად უნდა იყოს გასაგები, - მოუწოდა საქართველოს მთავარსარდალმა რუსეთის ხელისუფლებას.

მიხეილ სააკაშვილმა სატელევიზიო გამოსვლაში განაცხადა ისიც, რომ მან პირადად გასცა პოლიციის და შესაბამისი ძალების მოქმედების განკარგულება.

პოლიციის შენაერთები მთლიანად მობილიზებულია, ბუნტის და არეულობის მცდელობის ინიციატორები კი - იზოლირებული. ჩემი დავალებით, მათთან დილიდან ვაწარმოებდით მოლაპარაკებებს. პირადად ვესაუბრე ამ არეულობის ერთ-ერთ ორგანიზატორს, რომელსაც ვუთხარი, რომ ჩვენ მათ ვაძლევთ საშუალებას გამოვიდნენ, დაგვნებდნენ, დანებდნენ სამართალდამცავ ორგანოებს, განიარაღდნენ და ეს მხედველობაში იქნება მიღებული, როგორც შემამსუბუქებელი გარემოება, მაგრამ ილუზია ნურავის ნურაფრის ნუ ექნება.

როდესაც მტერი დგას საქართველოს შიგნით, დედაქალაქიდან 40 კილომეტრის დაშორებით, როდესაც ჩვენზე დამიზნებულია უამრავი რაოდენობის არტილერია, როდესაც შავი ზღვის ფლოტი დათარეშობს ჩვენს ნაპირებთან, როდესაც ყოველდღიურად ისმის მუქარა და პროვოკაციული განცხადებები, საქართველოში რაიმე სახის გრძელვადიან არეულობას ვერ დავუშვებთ. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ეს იქნება დემოკრატიის გულში ჩაცემული მახვილი, ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართული ძალიან საშიში აქტი, - ამბობს პრეზიდენტი და იქვე დასძენს: ვიცი, რომ იქ მყოფთაგან ძალიან ბევრი საკუთარი ნების წინააღმდეგ მონაწილეობს, ეს ჩვენ კარგად ვიცით, მაგრამ ეს არ ამართლებს მათ ქმედებას.

მიხეილ სააკაშვილის თქმით, ქართული დემოკრატიის, საქართველოს მთლიანობის და თავისუფლების დასაცავად, ქართული სახელმწიფო და ყველა შესაბამისი ორგანო მზად არის, მიიღოს ყველაზე გადამჭრელი ზომები, რათა აღიკვეთოს კონსტიტუციური წესრიგის, ჩვენი დემოკრატიისა და თავისუფლების შერყევისა და ძირის გამოთხრის ნებისმიერი მცდელობა.

ჩვენი ისტორია სავსეა ღალატის, მსგავსი არეულობების, აჯანყებების, სხვადასხვა გარე ძალებზე მუშაობის და ციხის შიგნიდან გატყდომის მცდელობის მაგალითებით. ამჯერად, ციხეს შიგნიდან ვერავინ გატეხს, ჩვენ მოვიქცევით სრული პასუხისმგებლობით.

პირადად მე, როგოც პრეზიდენტი და ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალი, პასუხისმგებელი ვარ ქვეყნის ისტორიის, თითოეული ჩვენი მოქალაქის უსაფრთხოებისა და თავისუფლების, ასევე ჩვენი დემოკრატიული სისტემის წინაშე, - ასე დაასრულა საქართველოს პრეზიდენტმა სატელევიზიო გამოსვლა.

ფირცხალაიშვილი მეამბოხეებთან კავშირს უარყოფს

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი ჯონი ფირცხალაიშვილმა კატეგორიულად უარყოფს შსს-ს მიერ გავრცელებულ ვიდეომასალაში დაფიქსირებულ პირებთან კავშირს. **"რაც ითქვა, სრული აბსურდია. სამი წელია, თბილისში არ ვიმყოფები და ეს ხალხი კი უკვე ხუთი წელია, არ მინახავს. პოლიტიკურ ამბებს ვგებულობ ტელევიზიით და ვკითხულობ გაზეთებს. ვაკეთებ ჩემს საქმეს და მიყვარს ჩემი სამშობლო. რაც ითქვა, სრული აბსურდია,"** - განაცხადა ჯონი ფირცხალაიშვილმა რადიო "პალიტრასთან" საუბრისას. ფირცხალაიშვილის თქმით, ის ამჟამად კიევში იმყოფება.

გია ყარყარაშვილი: "შსს აგენტები ჩემთან სხვადასხვა მასალითა და ინიციატივებით მოდიოდნენ"

გადამდგარი გენერლის და "ალიანსი საქართველოსათვის" წევრის გია ყარყარაშვილის განცხადებით, ამბოხების შესახებ გავრცელებული კადრები შსს-ს მიერაა შეთხზული და ამ შეთხზულ შეხვედრასთან დაკავშირებით თავის მართლებას არ აპირებს. ყარყარაშვილის თქმით, მასაც აქვს კადრები, სადაც ჩანს, რომ შსს აგენტები მსგავს რამეს მასაც სთავაზობდნენ. **"მეც თქვენსავით გაკვირვებული ვუყურებდი იმ კადრებს, რომელიც შსს-ს პრესცენტრმა გაავრცელა და საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ჩვენი სამშობლო და მოსახლეობა ავადმყოფების ხელშია. არ ვაპირებ ახსნას ან თავის მართლებას რაღაც შეხვედრასთან დაკავშირებით, რომელიც არ ყოფილა და წარმოდგენაც არ მაქვს, საიდან არის ამგვარი რამ შეთხზული. მე მაქვს დამადასტურებელი კადრები, სადაც ჩანს, როგორ მოდიოდნენ ჩემთან შსს-ს გენერალური ინსპექციის ხელმძღვანელების მიერ გამოწერილი ორდერებით აგენტები, სხვადასხვა მასალებით და ინიციატივებით. ეს ჩაწერილი მაქვს და ამ კადრებს აუცილებლად შემოგთავაზებთ,"** - განაცხადა გია ყარყარაშვილმა.

გია თორთლაძე: "ადგილი აქვს ხელისუფლების დამხობის მიზნით, ხალხში არსებული პროტესტის გამოყენებას"

"საქართველოს დემოკრატიული პარტიის" ლიდერი, დეპუტატი გია თორთლაძე დარწმუნებულია, რომ "დღეს საქართველოში სამხედრო გადატრიალებისა და ხელისუფლების დამხობის მიზნით შეიარაღებული ძალების გამოყენების მცდელობას აქვს ადგილი". როგორც თორთლაძემ პარტიის ოფისში გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, "1991 წლის მსგავსად, დღესაც ადგილი აქვს ხელისუფლების დამხობის მიზნით ხალხში არსებული პროტესტის გამოყენებას". ოპოზიციონერი დეპუტატი მუხროვანის ინციდენტს, ერთის მხრივ, თბილისში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს უკავშირებს და მიიჩნევს, რომ "რაც საქართველოში ხდება, რუსეთის მხრიდან არის ინსპირირებული". ამასთან, თორთლაძე ყველა პოლიტიკურ ძალას მოუწოდებს, "მუხროვანის ინციდენტთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია ღიად და თამამად დააფიქსირონ".

პავლე კუბლაშვილი: "სამხედრო წვრთნები მაინც ჩატარდება"

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი პავლე კუბლაშვილი იმედოვნებს, რომ მუხროვანის ინციდენტი საქართველოში დაგეგმილ ნატო-ს წვრთნებზე არ იმოქმედებს. "რუსეთის ფედერაციამ ყველაფერი გააკეთა ამ წრთვნებისთვის ხელის შესაშლელად, როგორც გაკეთებული განცხადებებით, ისე კონკრეტული ქმედებებით, თუმცა სამხედრო წრთვნები მაინც ჩატარდება. იმედი მაქვს, რომ ნატო გამოეხმაურება ამ მიმართულებით საქართველოს პოზიციას და კიდევ ერთხელ დაადასტურებს საქართველოსადმი იმ დამოკიდებულებას, რაც არაერთხელ დაუფიქსირებია. დარწმუნებული ვარ, რომ ნატო-ს საზღვრები გაფართოვდება, მიუხედავად რუსეთის საწინააღმდეგო სურვილისა," - აცხადებს პაბლე კუბლაშვილი.

დავით უსუფაშვილი: "მსგავსი ფაქტები უნდა გამოირიცხოს"

"ალიანსის საქართველოსთვის" ერთ-ერთი ლიდერი დავით უსუფაშვილი მუხროვანის მოვლენებს "ხელისუფლების მიერ პროვოცირებულად" მიიჩნევს. **"ეს არის ხელისუფლების მიერ პროვოცირებული მოვლენები. მივმართავ ხელისუფლებას, ასეთი მეთოდებით არ შეეცადოს თავის გადარჩენას, თორემ ქვეყანას დაღუპავს. ამასთან, მივმართავ ჯარისკაცებს, ინციდენტი ხელისუფლების მიერაა დაგეგმილი, თუ მათ მიერ მოფიქრებული - ნებისმიერ შემთხვევაში, დაუყოვნებლივ დაუბრუნდნენ საკუთარი საქმის შესრულებას. შეიარაღებულ პირებს და სამხედრო შენაერთებს პოლიტიკურ ცხოვრებაში არაფერი ესაქმებათ, მათ საკუთარი სამსახური უნდა გააგრძელონ,"** - განაცხადა უსუფაშვილმა.

დავით გამყრელიძე: "ერთი მსახიობის მიერ დადგმული თეატრი"

"ახალი მემარჯვენეების" ლიდერის დავით გამყრელიძის შეფასებით, შს სამინისტროს მიერ გავრცელებული ვიდეჩანაწერები ერთი მსახიობის მიერ დადგმულ თეატრს ჰგავს. **"ეს ერთი მსახიობის მიერ დადგმულ თეტრს ჰგავს, სადაც ეს ადამიანი სრულიად შეგნებულად ასახელებდა გვარებს, ხატავდა აპოკალიფსურ სურათს, რომელშიც საქართველოში ჩამოდიან აქედან გაქცეული ადამიანები, კლავენ ცნობილ პოლიტიკურ სახეებს და ა.შ. ამ კადრების ნახვის შემდეგ ძალიან არასერიოზული შთაბეჭდილება დამრჩა,"** - აცხადებს გამყრელიძე. რაც შეეხება მუხროვანის სამხერო ნაწილში მომხდარ აჯანყებას, გამყრელიძის განცხადებით, **"ეს ფაქტი გადამოწმებას საჭიროებს, რათა დადგინდეს, ეს სიმართლეა, თუ სპეციალურადაა ინიცირებული".**

რუსეთთან კოორდინირებული ამბოხი

პირველი გვერდიდან

ყაზარმულ მდგომარეობაზე გადასულ მუხროვანის სამხედრო ნაწილში გუშინ მთელი დღის განმავლობაში ოპერატიული შტაბი მოქმედებდა, რომლის წევრებიც ამბოხებულ სამხედროებთან მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ. გომბორის ტექგამშვები პუნქტი სამართალდამცველებს ჰქონდათ გადაკეტილი და პერიმეტრს ძალოვანები აკონტროლებდნენ. მუხროვანის საწვრთნელ ბაზაზე თავდაცვის სამინისტროს და შეიარაღებული ძალების ყველა პასუხისმგებელი პირი მივიდა.

სამხედრო მაღალჩინოსნების გარდა, მუხროვანის სამხედრო ნანილში შინაგან საქმეთა მინისტრი და პოლიციური დანაყოფებიც იმყოფებოდნენ. ამბოხებულ სამხედროებს მიმართა ქვეყნის პირველმა პირმაც და მათ დამორჩილებისკენ მოუწოდა.

თავდაცვის მინისტრის დავით სიხარულიძის ინფორმაციით, დილით, გამთენიისას, მუხროვანის ცალკეულმა ჯავშანსატანკო სამხედრო ბატალიონმა დაუმორჩილებლობა გამოაცხადა. მინისტრის განმარტებით, იქ იმყოფებოდნენ ასევე სხვადასხვა პირები, რომლებიც ამბოხებული ბატალიონის წევრები არ იყვნენ.

დავით სიხარულიძის თქმით, მუხროვანის სამხედრო ნაწილში ამბოხება სამართალდამცველი ორგანოების მიერ წინა დღით ჩატარებულ ოპერაციას მოჰყვა, რომელიც ამბოხების ორგანიზებაში ეჭვმიტანილ პირთა დაკავებას ისახავდა მიზნად.

თავდაცვის მინისტრის მტკიცებითვე, მოლაპარაკებების დროს ამბოხებულების მხრიდან რაიმე კონკრეტული მოთხოვნა არ წამოყენებულა.

"ქვეყანაში ფართომასშტაბიანი ამბოხი იყო დაგეგმილი, რაც მიმართული იყო ნატო-ს წვრთნები ჩაშლისკენ. ამასთან, ამბოხებულებს ზოგადად ჰქონდათ ამოცანა, სამხედრო ძალით დაემხოთ ხელისუფლება," - ასეთ განცხადებებს აკეთებდა მუხროვანის სამხედრო ნაწილიდან თავდაცვის მინისტრი დავით სიხარულიძე.

თითქმის მთელი დღის განმავლობაში, სამხედრო ნაწილში მოდგომარეობა დაძაბული და უცვლელი რჩებოდა. გავრცელებული ინფორმაციით, მუხროვანის სატანკო ნაწილის ამბოხების ორგანიზატორები საქართველოს თავდაცვის მინისტრთან მოლაპარაკებებში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის ილია მეორის შუამავლობას ითხოვდნენ. ამბოხების ორგანიზატორებს ხელშეუხებლობის გარანტიების მიღება სურდათ.

დაახლოებით 16 საათსა და 15 წუთზე, ცნობილი გახდა, რომ მუხროვანის სატანკო ნაწილში მყოფმა ამბოხებულმა სამხედროებმა იარაღი დაყარეს და სამართალდამცველებს ჩაბარდნენ. ცნობილი გახდა ისიც, რომ რამდენიმე მეამბოხემ მიმალვა შეძლო. მოგვიანებით, ხუთი მათგანი დააკავეს.

გავრცელებული ინფორმაციით, ამბოხებულებთან რამდენიმესაათიანი მოლაპარაკებისას სიტუაცია რამდენჯერმე დაიძაბა. ამბოხის ორგანიზატორები აცხადებდნენ, რომ ისინი შეაცდინეს, დააშანტაჟეს. მათივე თქმით, ამბოხის იმიტაცია რამდენიმე პროვოკატორმა მოახდინა, რის შემდეგადაც ბაზაზე სიტუაცია უმართავი გახდა.

მუხროვანის სამხედრო ბაზაზე ამბოხი შეწყდა და მისი ორგანიზატორი დაკავებულია, ჩვენ შევედით ბაზაზე და ყველა დავამშვიდეთ. მეთაური დაპატიმრებულია, დანარჩენები იკითხებიან. ვითარება თბილისსა და დანარჩენ საქართველოში, მათ შორის მუხროვანის სამხედრო ნაწილში, სადაც ამბოხება მზადდებოდა, სტაბილურია და ხელისუფლების კონტროლს ექვემდებარება, - განაცხადა სამხედრო ამბოხის დასრულების ბოლოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა.

მინისტრის თქმით, რამდენიმე ადამიანი გაქცეულია და მათ ეძებენ. **"დამატებით მასალებს შსს უახლოეს მომავალში გამოაქვეყნებს,"** - განაცხადა ვანო მერაბიშვილმა და აღნიშნა, რომ ამბოხების ყველა მონაწილე თავდაცვის სამინისტროს ემორჩილება.

"ამბოხის ყველა მონაწილე ემორჩილება თავდაცვის სამინისტროს. ყველა დაკავებულია, ან ჩაბარდა და ექვემდებარება და ემორჩილება სამინისტროს. ყველა მათგანი არის გამოძიების ქვეშ. ამას გარდა, შენობაში იმყოფებოდა რამდენიმე ყოფილი ოფიცერი. ამჟამად 500-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურის დაკითხვა მიმდინარეობს," - განაცხადა ვანო მერაბიშვილმა.

როგორ მზადდებოდა სამხედრო ამბოხი - ვიდეოჩვენება N1-N2

მუხროვანის სამხედრო ნაწილში გუშინ მომხდარი ამბოხის შესახებ ინფორმაცია გუშინ დილით, მას შემდეგ გაცხადდა, რაც შსს-ს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა შოთა უტიაშვილმა საგანგებო ბრიფინგი გამართა და ოპერატიული მასალა გაავრცელა.

"ბოლო პერიოდში შსს იძიებს ოპერატიულ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც, სამხედრო დანაყოფებში მზადდებოდა სამხედრო ამბოხი. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ამ ამბოხის ორგანიზატორებად გვევლინებოდნენ ყოფილი სამხედრო მაღალჩინოსნები. როგორც ჩანს, ეს გეგმა იყო კოორდინირებული რუსეთთან და მიზნად ისახავდა როგორც მინიმუმ, ნატო-ს სამხედრო წვრთნების ჩაშლას და როგორც მაქსიმუმ, ქვეყანაში სრულმასშტაბიანი სამხედრო ამბოხის მოწყობას," - განაცხადა შოთა უტიაშვილმა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ფარულ ვიდეოჩანაწერში, სამხედრო ამბოხში ეჭვმიტანილი გია ღვალაძე რამდენიმე გენერალსა და ყოფილ პოლიტიკურ ფიგურას ასახელებს, რომლებიც, მისივე თქმით, ამბოხებულთა გვერდით დგანან. ფარულ ვიდეოჩანაწერში გია ღვალაძე აცხადებს, რომ მათთან ერთად იქნებიან გია ყარყარაშვილი, დავით თევზაძე, კობა კობალაძე, ჯემალ გახოკიძე, გია წკრიალაშვილი, ფირცხალაიშვილი, უჩაძე. ღვალაძე ასევე აცხადებს, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ საქართველოში დაბრუნდებიან აბაშიძე, ხალვაში, მამალაძე და ლევან პირველი. ამბოხებულთა გვერდით მყოფთა კონტექსტში ის ასევე ვინმე კანდელაკს ასახელებს.

მასალებზე აღბეჭდილი პიროვნება გია ღვალაძეა, რომელიც 90-იან წლებში იყო თავდაცვის სამინისტროს სპეციალური დანიშნულების რაზმის დელტას ასმეთაური. ამ ამბოხს ორგანიზებას უკეთებდა კობა ოთანაძე. თქვენ ეს ადამიანი შეიძლება გახსოვდეთ მუხროვანის ცნობილი ბუნტიდან. სწორედ იმ დროს ოთანაძე მეთაური იყო. ღვალაძე დაკავებულია, ოთანაძე ძებნაშია. ასევე ეჭვმიტანილია ზაზა მუშკუდიანი, რომელიც გახლავთ ორთაჭალაში განლაგებული ბატალიონის უფროსი," - განაცხადა შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა შოთა უტიაშვილმა. მისივე განმარტებით, ამბოხში მონაწილეებს კავშირი ჰქონდათ რუსეთთან, საიდანაც მითითებებს და ფინანსურ დახმარებას იღებდნენ.

"მუხროვანისკენ ავუხვევთ და ჩავაქრობთ სინათლეებს. იქ ორი კაცი დაგვემატება. ერთია ჩემი ოჯახის სიძე შოთა თინიკაშვილი, მამალაძის დაცვაში იყო თავის დროზე, მეორე კი, გურამ სამსონაშვილი... გომბორს გადავუხვევთ და გავჩერდებით იქ მე, მუშკა და ამერიძე... სხდებიან "ტოიოტა ჰაილუქსებში" 200-250 ჯარისკაცი და მოვლენ იქ. ჩამოდის ტექნიკა და შევუბერავთ. იქვე დაგვირიგებენ ყველაფერს, ფორმას, იარაღს და ყველაფერს...გუშინ ჰქონდათ ვარჯიშები, ვითომ ვარჯიშები რა, ასროლინეს ჯარისკაცებს... ხუთი დღის წინ ვიყავით მცხეთაში, ძმაო, და იქ იჯდა ექვსი გენერალი - კობა კობალაძე, ყარყარაშვილი, ფირცხალაიშვილი, თევზაძე, უჩაძე და გია წკრიალაშვილი, კაცი რომელმაც თავის დროზე შექმნა "თეთრი გიორგი" და "მხედრიონი". ხო, მეშვიდე არის ჯემალ გახოკიძე. ეს რაც ვნახე და ვიცი. მე ჩემს სიტყვაზე ვარ "ატვეჩაი". ისინი "კრიშავენ" ამ ყველაფერს... რუსები მოდიან, 5 ათას კაცამდე გაზარდეს რა. მოდიან რუსები, ორი ბრიგადა. ჩერდებიან ნატახტარზე. კეტავენ დუშეთის გზას... რამიშვილი, ბოკერია, მერაბიშვილი, ჯანაშვილზე ვკაჩაობ რა, სახლშია მოსული ჩემთან და დედაჩემის გამომცხვარი ხაჭაპური აქვს ნაჭამი. მაგასაც უპირებენ... ხო მოკვლას. მერაბიშვილი, უგულავა, ეს ცვეტში, ტრუპები არიან. გადაუწყვიტეს რა. გივი თარგამაძეცო, შეიძლებაო რა. ან ოთხშაბათს ან ხუთშაბათს, ყველა მიიღებთ პა პიისიატ ტისიჩს რა... შემდეგ, ძმაო, თამაშიდან არ გადის არავინ, სანამ იქნება რუსეთი... საქართველო რუსეთ-ბელორუსიის კავშირში შედის რა...5-ში, 12 საათზე, შემოდიან ეგენი და მერე, კარგად იყავით რა... ხო, აბაშიძე ჩამოვა, ხალვაში ჩამოვა, კიდევ რა გვარია, ის მილიონერი როა, ხო ლევან პირველი... პირველი გასროლა, არის დედის... ნიშანი", - ამბობს ღვალაძე შსს-ს მიერ გავრცელებულ ვიდეომასალაში.

მოგვიანებით, შსს-მ კიდევ ერთი ოპერატიული ჩანაწერი გამოაქვეყნა, რომელშიც კვლავ ბატალიონ "დელტას" ყოფილი ხელმძღვანელი გია ღვალაძე რამდენიმე პიროვნებასთან ერთად სამხედრო ამბოხების დეტალებზე საუბრობს."**ჩვენ შევუერთდებით 200 კაცს, გვექნება 40 ერთეულამდე ტექნიკა - 18-19 ტანკი, დანარჩენები ბეტეერები და ბეემპეები .**

გაგრძელება A5 გვერდზე

რუსეთთან კოორდინირებული ამბოხი

მეოთხე გვერდიდან

დაახლოებით, ერთ საათში ვიქნებით თბილისში... ჩვენ მოვდივართ აეროპორტის ტრასით... 200-300 კაცი შემოვდივართ თბილისში. ჩვენთან იქნება 18 ავღანელი... აეროპორტში რჩება, დაახლოებით, 7-8 ერთეული ტექნიკა, აეროპორტი იკეტება, ეს ყ.... რომ არ გაფრინდნენ. კოდის სასტავი და რუსეთის სასტავი... წითელ ხიდს. შავნაბადაზე ყველას ვიცნობ... ვიქნებით იმ ხალხთან და პოლიტიკოსებთან ერთად, რომლებიც იტყვიან... ნუ აქ მთავარი ის არის, რომ ამ ყ..... და ამერიკაზე ვამბობთ უარს, თურქეთის საზღვარი იკეტება ნა.. ხ... კომუნისტების დროს როგორც იყო. საქართველო უერთდება დსთ-ს... რუსეთმა უკვე ამოქაჩა ყველანაირად რა... პირველად აბაშიძე ჩამოვა და ლევან პირველი... პროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩვენია... ახლა 8-დან 10 მილიონამდე ევრო სადაც დევს, თვალები რომ ამიხვიო, მიგიყვან რა... მეთქი, ბოლო-ბოლო, ბატონო გენერალო მეთქი, ჩემთან ალბათ, იმიტომ მოხვედით-მეთქი... ყარყარაშვილია... აეროპორტი ჩაკეტილი იქნება, რკინიგზა აფეთქდება. ჩვენი სასტავიდან, ვინც ჩვენთან არის, ქალაქის სამართველო, ვაგზალი, ოღონდ ლიანდაგი და რუსთავი-2-ის შენობა ისე აფეთქდება, რომ მიხვდები რომ დედა ე.... ოსეთიდან შემოვლენ, იქნება ორი კაცი ან სამი კაცი მაგათი, ვინც ფული უნდა მოგიტანონ იქიდან და ვიქნებით ჩვენ. მოაქვთ მაგათ, ჯერჯერობით, 2-3 მილიონი დოლარი... ისინი მოგცემენ ფულს, სანამ თქვენ ფულს არ ჩამოიტანთ, მე და თაზო ვართ იმათთან... გვეცოდინება, რომ ეს ფული 50-იდან 80 კაცამდე უნდა გატყდეს... 15-20-ს არ უნდა გადასცილდეს რა," - ამბობს გია ღვალაძე გავრცელებულ ვიდეოჩანაწერში.

2001 წლის 25 მაისი, მუხროვანი...

2001 წლის 25 მაისს, გამთენიისას, 4 საათზე, თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის 400 ჯარისკაცმა დისლოკაციის ადგილი - ნორიოს საწვრთნელი ბაზა თვითნებურად დატოვა და თბილისიდან 30 კილომეტრში, მუხროვანში მდებარე შსს-ს სპეცდანიშნულების რაზმის ბაზა აიღო, რომელიც ეროვნული გვარდიის ჯარისკაცთა და ოფიცერთა გაფიცვის ცენტრად იქცა.

თავდაპირველად, ჯარისკაცთა ბუნტი სამხედრო-პოლიტიკურ ავანტიურად მოინათლა, რომლის მიზანიც სამხედრო გადატრიალება უნდა ყოფილიყო. თუმცა, მოგვიანებით, ცნობილი გახდა, რომ ჯარისკაცთა პროტესტის საფუძველი სოციალური და ყოფითი პრობლემები იყო - 13 თვის აუღებელი ხელფასი, შიმშილობა და უკიდურესი გაჭირვება.

გაფიცულ ჯარისკაცებთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა ეროვნული გვარდიის ყოფილი სარდალი და თავდაცვის ყოფილი მინისტრი, გენერალი გია ყარყარაშვილი და როგორც მოგვიანებით, ბუნტის დასრულების შემდეგ, მაშინდელმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, სწორედ მისი და მუხროვანის ბატალიონის უფროსის კობა ოთანაძის წარმატებული მოლაპარაკებების შედეგად დასრულდა ბუნტი.

თუმცა, ეროვნული გვარდიის ჯარისკაცების ბუნტი მუხროვანის ბაზაზე ქვეყნის პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მისვლის და გვარდიაში არსებული პრობლემების განხილვის შემდეგ დასრულდა. პრეზიდენტმა ეროვნული გვარდიის ოფიცრებსა და ჯარისკაცებს ხელშეუხებლობის, სისხლის სამართლის პასუხსმგებლობისგან გათავისუფლებისა და არსებული პრობლემების მოგვარების პირობა მისცა.

მათ მივეცი პრეზიდენტის სიტყვა, რომ არც ერთ მათგანს არ შეაწუხებს გამომძიებელი. მათ რომ ჰქონოდათ ნორმალური სოციალური და ყოფითი პირობები, გაფიცვას არ მოაწყობდნენ, - განაცხადა მაშინ მოლაპარაკებიდან გამოსულმა ედუარდ შევარდნაძემ.

ერთდღიანი ბუნტის შემდეგ, რაც ქვეყნის პრეზიდენტისგან ხელშეუხებლობის პირობა მიიღეს, ეროვნული გვარდიის ჯარისკაცებმა 27 მაისს, გამთენიისას 6 საათზე მუხროვანის ბაზა დატოვეს და საკუთარ ბაზას დაუბრუნდნენ.

რვა წლის წინანდელი გაფიცვის მეთაურები იყვნენ - ეროვნული გვარდიის სარდალი, გენერალი კობა კობალაძე, გვარდიის ბატალიონის უფროსი კობა ოთანაძე, შტაბის უფროსი ზაზა მუშკუდიანი, ბატალიონის უფროსი გია წკრიალაშვილი, რომლებსაც ედუად შევარდნაძემ მაშინ პასუხისმგებლობა ააცილა.

ამათ ეგონათ შევარდნაძესავით ხვეწნა-მუდარას დავუწყებდი. კიტოვანის ბრიაშკას წერტილი კარგა ხნის წინ უნდა დასმოდა, მათ თავისუფლად არ უნდა ევლოთ თბილისში, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენმა ლიბერალიზმმა საშიში ხასიათი მიიღო, - განაცხადა გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მუხროვანის ამბოხის დასრულების შემდეგ.

დაკავებული სამხედრო შეთქმულები

ვიდეოჩვენების მთავარი გმირი გია ღვალაძე სამართალდამცველებმა გუშინწინ, გვიან ღამით დააკავეს. გუშინ შუადღისას დააკავეს ეროვნული გვარდიის ყოფილი სარდალი, გენერალი კობა კობალაძე.

დაკავებამდე ერთი საათით ადრე კობა კობალაძეს სააგენტო პირველის ჟურნალისტი ესაუბრა. კობალაძემ განაცხადა, რომ ამბოხის ორგანიზებაში ეჭვმიტანილ გია ღვალაძეს, რომელიც შსს-ს ფარულ ვიდეოჩანაწერში ფიგურირებს და ამბოხის შესაძლო მხარდამჭერთა შორის მის გვარს ასახელებს, "ვიზუალურადაც ვერ ცნობს და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას სერიოზულ ეჭვქვეშ აყენებს". კობალაძის მტკიცებით, შსს-ს მიერ გავრცელებულ ჩანაწერებში მისი გვარის გაჟღერება, მისთვის "სიურპრიზი" იყო.

მუხროვანის ბატალიონის ყოფილ მეთაურ კობა ოთანაძეს და გია წკრიალაშვილს, რომლებიც მუხროვანის ბაზაზე იმყოფებოდნენ და რომლებიც ამბოხების ორგანიზებაში არიან ეჭვმიტანილები, სამართალდამცველები ეძებენ. ძებნა გამოცხადებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს რეინჯერთა ბატალიონის ყოფილ მეთაურზე ზაზა მუშკუდიანზე, რომელიც გია ღვალაძის ახლო მეგობარია.

დაკავებულია გორის სატანკო ბატალიონის მეთაური შოთა გორგიაშვილი, რომლის აღიარებითი ჩვენება შსს-მ გუშინ საღამოსვე გამოაქვეყნა. გორგიაშვილი ოპერატიულ მასალაში ახსენებს ორთაჭალის რეინჯერთა ბატალიონის მეთაურს მაიორ ლევან ამირიძეს.

გორგიაშვილის თქმით, მან, ამირიძესთან ერთად მიიღო ბატალიონის განგაშის რეჟიმზე გადაყვანის გადაწყვეტილება.

"ჩემთან მოვიდა მაიორი ამირიძე. საუბრის შემდეგ ბატალიონი გადავიყვანეთ თავდაცვაზე. ბატალიონში მოვიდა ოთანაძე რამდენიმე პირთან ერთად. შევედით კაბინეტში, სადაც ვისაუბრეთ იმაზე, რომ მე უნდა გამოვსულიყავი იმ სამხედრო ძალით, რაც გამაჩნდა და წავსულიყავი თბილისისკენ. ამას მოჰყვებოდა ხალხის ტალღის აგორება. საუბარი იყო დიდ თანხაზე - რომ ამ ყველაფრის შესრულების შემდეგ მე ამ თანხას მივიღებდი," - აცხადებს ჩვენებაში გორგიაშვილი.

გუშინვე სამართალდამცველებმა დააკავეს ამბოხების მონაწილე ასმეთაურები და სხვადასხვა დანაყოფის ხელმძღვანელები, რომელთა ვინაობა ჯერჯერობით არ სახელდება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გუშინ გვიან ღამით გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, დაკავებულია ასევე სამხედრო პოლიციის შვიდი თანამშრომელი და 13 სამოქალაქო პირი.

სალომე ზურაბიშვილი: "სააკაშვილმა პოლიტიკური მიზნის მისაღწევად ქართული ჯარის გამოყენება სცადა"

პარტია "საქართველოს გზის" ლიდერის შეფასებით, მიხეილ სააკაშვილი ცდილობდა ოპოზიციის პროვოკაციაში ჩათრევას, თუმცა ეს ასე არ მოხდა. სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, სააკაშვილმა საკუთარი პოლიტიკური მიზნის მისაღწევად ქართული ჯარის გამოყენება სცადა, რაც სახელმწიფო დანაშაულის ტოლფასია. **სააკაშვილმა ჯარის ფაქტორი სრულიად მიუღებლად გამოიყენა იმისთვის, რომ თავისი პოლიტიკური მიზნისთვის მიეღწია. ეს არის სახელმწიფოს მიმართ დიდი დანაშაული. არ გაუვა მას ასეთი პროვოკაციები. მიხეილ სააკაშვილი ჩვენ ვერ ჩაგვითრევს პროვოკაციაში,"** - აღნიშნა სალომე ზურაბიშვილმა.

ირაკლი ალასანია ვიდეომასალას "სპექტაკლს" უწოდებს

"ალიანსი საქართველოსათვის" ლიდერი ირაკლი ალასანია შს სამინისტროს მიერ გავრცელებულ ვიდეომასალას და მასში გაჟღერებულ ინფორმაციას თეთრი ძაფით ნაკერსა და "სპექტაკლს" უწოდებენ. **"ეს არის სპექტაკლი, რაც გია ყარყარაშვილის წინააღმდეგ გაჟღერდა და რა თქმა უნდა, მე ამისი არ მჯერა,"** - განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

ნინო ბურჯანაძე მუხროვანის ინციდენტს ხელისუფლების პროვოკაციად მიიჩნევს

დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ ეს არის მორიგი პროვოკაცია ოპოზიციის დიკრედიტაციისთვის. ბურჯანაძის თქმით, ამ ყველაფერს საზოგადოება უკვე კარგად აცნობიერებს. **"არაფერს გამოვრიცხავ იმ ადამიანისგან, ვისგანაც პირადად მსენია, რომ პოლიტიკური საჭიროების შემთხვევაში, მზად არის, ომი დაიწყოს,"** - აცხადებს ნინო ბურჯანაძე. პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ამბოხებული ჯარისკაცების რუსული სცენარის მიხედვით მოქმედებას გამორიცხავს. **"ეს ის ჯარისკაცები არიან, რომლებიც გმირულად იბრძოდნენ ცხინვალის რეგიონში, როცა მათი მთავარდასრდალი გარბოდა,"** - ასეთ შეფასება საზლევს ნინო ბურჯანაზე გუშინ განვითარებულ მოვლენებს.

ნიკა ჩიტაძე: "შესაძლოა ყოფილ სამხედრო მაღალჩინოსნებთან რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლებიც თანამშრომლობდნენ"

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში, ნიკა ჩიტაძე აცხადებს, რომ მუხროვანის ამბოხთან დაკავშირებით შესაძლოა ყოფილ სამხედრო მაღალჩინოსნებთან რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლებიც თანამშრომლობდნენ. **"მგონია, რომ ეს ყველაფერი გამიზნული იყო იმისთვის, რომ ნატოს წვრთნები ჩაშლილიყო და საქართველოში შექმნილიყო არასტაბილური ვითარება. ვფიქრობ, რომ ყოფილი სამხედროების ნაწილს კავშირი ჰქონდა რუსეთის სპეცსამსახურებთან და უნდოდათ ესარგებლათ იმ პოლიტიკური არასტაბილურობით, რომელიც დღეს საქართველოშია შექმნილი. ეჭვს იწვევს, არსებობს თუ არა კავშირი რადიკალურ ოპოზიციასა და სამხედროებს შორის. არ არის გამორიცხული რომ რომელიმე ოპოზიციის წარმომადგენელს ჰქონდა კავშირი სამხედროებთან,"** - განაცხადა ნიკა ჩიტაძემ.

ირაკლი სესიაშვილი: "თუ შსს-ს ინფორმაცია ჰქონდა მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ, მას ადეკვატური ზომები უნდა მიეღო"

სამხედრო ექსპერტის ირაკლი სესიაშვილის განცხადებით, ეჭვს იწვევს ის ფაქტი, რომ ვიდეოჩანაწერის მიხედვით, შსს-ს ინფორმაცია ჰქონდა 5 მაისს რუსეთის შესაძლო შემოსვლის შესახებ და ამას საქართველოს მხრიდან სამხედრო რეაგირება არ მოჰყოლია.

ექსპერტის აზრით, ეს სცენა ხელისუფლებამ იმიტომ გაითამაშა, რომ მათ იცოდნენ ცალკეული სამხედრო ნაწილის მეთაურები საპროტესტო აქციის დარბევაზე უარს განაცხადებდნენ და ამიტომაც წინდაწინ მიიღეს ზომები.

"შსს-ს მიერ გადაღებული მსგავსი ტიპის ვიდეოჩანაწერების სერიები ადრეც გვაქვს ნანახი, რომლის მიმართაც შემდგომში გარკვეული კითხვები გაჩნდა და ამ კითხვებს ხელისუფლებამ თავი აარიდა. თუ შსს-ს ინფორმაცია ჰქონდა მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ, მას ადეკვატური ზომები უნდა მიეღო. როგორც წესი, პირველ რიგში, უნდა გადასულიყვნენ ყაზარმულ მდგომარეობაზე, შემდეგ კი, საბრძოლო მზადყოფნა გამოეცხადებინათ და თავდაცვითი ზომები მიეღოთ. არც ერთი ასეთი ტიპის ნაბიჯი ხელისუფლებას არ გადაუდგამს," -აღნიშნავს ირაკლი სესიაშვილი

სამხედრო ექსპერტის განცხადებით, რუსეთს დღეს სპეცოპერაციის დაწყება თუ სურდა, მიუხედავად იმისა ვის დაკავებდნენ და რა ინციდენტი მოხდებოდა, თავდასხმას მაინც განახორციელებდა.

დავით დარჩიაშვილი ამბოხის მცდელობას ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებად აფასებს

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი დავით დარჩიაშვილი საქართველოში სამხედრო ამბოხის მცდელობას ანტისახელმწიფოებრივ ქმედებად და სისხლის სამართლის დანაშაულად აფასებს

შემიძლია ვთქვა, რომ ეს არის ანტისახელმწიფოებრივი მოქმედება და სისხლის სამართლის დანაშაული. იმას, თუ ვინ არის ამაში გარეული და რა მიზანს ისახავდა ასეთი ქმედება, გამოძიება დაადგენს," - აღნიშნა დავით დარჩიაშვილმა.

ირანელი ტუროპერატორები საქართველოთი დაინტერესდნენ

პერსია" ხელშეკრულებას ოთხ ქართულ ტურისტულ სააგენტოსთან გააფორმებს

ნინო ნატროშვილი

უკვე 20 წელია, რაც ირანი საქართველოს სავაჭრო პარტნიორია. ეს ქვეყანა მუდმივად არის საქართველოს იმპორტიორთა ათეულში. ირანიდან საქართველოში ძირითადად ფეხსაცმლის, მამაკაცის ტანსაცმლის, მზესუმზირის ზეთის, ქალის წაღების, სარეცხი საშუალებების, პლასტმასის ნაკეთობების, ჭაღების, ავეჯის და ტრიკოტაჟის ნაწარმის იმპორტი ხორციელდება.

ძირითადი საქონელი კი, რომელსაც ირანის იმპორტში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, არის ალუმინის ნარჩენები, დაჭრილი დაფები, ჩარხები, კომპრესორები და რკინის პროფილები.

გუშინ ექსპო ჯორჯიას მეთერთმეტე პავილიონში ირანის ნაციონალური ნაწარმის რიგით მესამე გამოფენა გაიხსნა, სადაც ირანის ტუროპერატორები პირველად გამოჩნდნენ. პერსია" ტურისტული ფირმაა, რომელიც მუშაობს თეირანში და მისი წარმომადგენლები საქართველოში პირველად ჩამოვიდნენ. მათი მიზანი ტურისტების მოზიდვაა, რადგან კრიზისის ფონზე ამ სფერომ გარკვეული ზარალი მათ ქვეყანაშიც განიცადა. მეთერთმეტე პავილიონში წარმოდგენილ სტენდზე გამოფენილია მრავალფეროვანი პეიზაჟები და ირანის ისტორიული ღირსშესანიშნაობები. პერსიას" წარმომადგენლობა აქვს მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში. ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით საქართველო ირანისთვის საკმაოდ საინტერესოა. ტურისტული სააგენტოს სამომავლო გეგმებზე საქართველოში 24 საათი" პერსიას" მენეჯერ-კონსულტანტ დეღლავარ ბოზორგნიას ესაუბრა:

- ირანის წარმომადგენლობა საქართველოში ყოველ წელიწადს მართავს გამოფენა-გაყიდვებს. ტურიზმის სექტორის განვითარებით როგორც საქართველოში, ისე ირანში ერთნაირად არიან დაინტერესებულნი. ჩვენი ფირმა საქართველოში ჩამოსვლას ჯერ კიდევ 2008 წლის ნოემბერში გეგმავდა, მაგრამ ვიზიტი თქვენს ქვეყანაში მომხდარი ამბების შემდეგ გადაიდო.

- საქართველოთი რატომ დაინტერესდით?

- საქართველოში პირველად ვარ. მისი ბუნება ძალიან ჰგავს ირანის ბუნებას. ქართველები მეტად გულუხვი, სტუმართმოყვარე ხალხია. აღფრთოვანებული ვარ მათი ამ თვისებებით. ტურიზმის თვალსაზრისით საქართველო ძალიან საინტერესოა და დიდი სურვილი გვაქვს, ირანელებმა თქვენი ქვეყანა ნახონ, ქართველებმა კი ირანი.

- აქამდე თუ დადიოდნენ ქართული ტურისტული ჯგუფები თეირანში?

- საკმაოდ მცირე რაოდენობით. ჩვენ იმისთვის ჩამოვედით, რომ ქართველები ირანში დავპატიჟოთ. ვფიქრობ, ქართველებმა ირანის შესახებ ნაკლებად იციან და გვსურს, რომ ეს ურთიერთობები გავაფართოვოთ. ირანში საკმაოდ ბევრია სანახავი - თეირანი, შირაზი ჩვენს ქვეყანაში ბევრი ისტორიული ძეგლია.

- ირანიდან თუ ჩამოდიან ტურისტები საქართველოში?

- ირანიდან თქვენს ქვეყანაში საკმაოდ ბევრი ადამიანია ნამყოფი. იმედი გვაქვს, რომ ეს გამოფენა ირანსა და საქართველოს შორის ურთიერთობებს ხელს შეუწყობს. საქართველო უძველესი ქვეყანაა და ასეთივეა ირანი. გვაინტერესებს საქართველოს უძველესი კულტურა და მისი ღირსშესანიშნაობები. ანალოგიურად მიმზიდველია ირანიც.

ამიტომ გვინდა, რომ ტურიზმის სფერო ორივე ქვეყანაში განვითარდეს. ირანში ძალიან ბევრი ადამიანი ცხოვრობს, რომელთაც წინაპრები ქართველები ჰყავდათ და დღესაც ქართულ გვარებს ატარებენ. ინტერესი მათი მხრიდანაც არსებობს.

- აქ თუ გეგმავს თქვენი ტურისტული კომპანია წარმომადგენლობის გახსნას?

- დღეს საკმაოდ თბილი შეხვედრა მქონდა თქვენი ქვეყნის კულტურის მინისტრთან და მასთან მოლაპარაკებები სწორედ ამ საკითხზე გავმართე. ხვალ საქართველოში მოღვაწე ოთხი ტურისტული კომპანიის წარმომადგენლებს შევხვდები და ვფიქრობ, რომ მათთან ხელშეკრულებას გავაფორმებთ, რათა ჩვენს კომპანიას ჰქონდეს თავისი წარმომადგენლობა საქართველოში. ეს კი ორმხრივი ურთიერთობების განვითარებას ხელს შეუწყობს.

კალა კაპიტალი„ ეკონომიკის სამინისტროს უპირისპირდება

მანანა ვარდიაშვილი

ცნობილმა ფეხბურთელმა და „კალა კაპიტალის" დამფუძნებელმა კახა კალაძემ საქართველოს მთავრობას ღია წერილით მიმართა. წერილში აღნიშნულია, რომ ეკონომიკის სამინისტრო ბიზნესის განვითარების მხადაჭერაზე უარს აცხადებს - კალაძე სამინისტროსგან ხელშეკრულების პირობების გადახედვას მოითხოვს. თავის მხრივ ეკონომიკური განვითარების მინისტრი ლაშა ჟვანია აცხადებს, რომ „კალა კაპიტალის" მესვეურებმა სამინისტროში კომპანიისთვის შექმნილი ფორსმაჟორის დამადასტურებელი საბუთი ვერ წარმოადგინეს და, შესაბამისად, მათი განცხადება უსაფუძვლოა.

აგვისტოს ომმა და მსოფლიოში მძვინვარე ეკონომიკურმა კრიზისმა, ბუნებრივია, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზეც იმოქმედა. საგრძნობლად შეიზღუდა საინვესტიციო პროექტებში საფინანსო რესურსების მოზიდვის შესაძლებლობა, რაც საქართველოს მთავრობის წარმომადგენლების მხრიდანაც საჯაროდ არაერთხელ გაცხადებულა. შესაბამისად, არსებული ეკონომიკური და საფინანსო კრიზისის დროს არსენალ სითის" ანალოგიური ნებისმიერი მასშტაბური და კაპიტალტევადი პროექტი, რომელიც მწვავე მაკროეკონომიკური რეცესიის პირობებში მიმდინარეობს, აუცილებლად შეფასდებოდა როგორც ძალზედ სარისკო და ეკონომიკურად გაუმართლებელი.

მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ მზად ვართ ავაშენოთ „არსენალ სითი" და კიდევ ერთი ლამაზი საჩუქარი გავუკეთოთ ჩვენს ქალაქსა და ქვეყანას. ამაში კი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ხელს გვიშლის.

ჩვენ არაერთხელ მივმართეთ სამინისტროს, გადაგვეხედა ხელშეკრულების პირობებისათვის და დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით შეგვეჯერებინა პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელი ახალი გონივრული ვადები და დაგვესახა ერთობლივი ღონისძიებები. ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ჩვენს ყველა საქმიან წინადადებას ხისტად უპასუხა - ვალდებულებების დაუყოვნებლივი შესრულება მოგვთხოვა და ფაქტობრივად, უკვე შეიძლება ითქვას, რომ ღიად აცხადებს უარს ქვეყანაში ბიზნესის განვითარების მხარდაჭერაზე. ეს ხდება მაშინ, როდესაც საქართველოს პრეზიდენტმა არაერთხელ მოუწოდა მთავრობის წევრებს, განსაკუთრებულად გაუფრთხილდნენ ინვესტორებს, რომლებიც ახლა უკვე სანთლით საძებარნი არიან. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სამინისტრო საღად ვერ აფასებს შექმნილ რეალობას, ვერ აცნობიერებს, რომ დღეს საქართველოში, სამწუხაროდ, აღარ არსებობს ისეთი ეკონომიკური და საფინანსო გარემო, რომელიც არსენალი სითის" მსგავსი მასშტაბური პროექტებს განხორციელებას რეალურ საფუძველს შეუქმნიდა. თუმცა, დღეს უკვე დაბეჯითებით შეგვიძლია განვაცხადოთ: ჩვენი ყველა მცდელობა, სამინისტრო დაგვერწმუნებინა, რომ აუცილებელია „არსენალ სითის" პროექტი დღევანდელ რეალობას მოვარგოთ, უშედეგოდ დასრულდა.

დღეს უკვე, ნაცვლად საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსი, თხოვნით მივმართავთ საქართველოს მთავრობას, რათა მოხდეს პროექტის განხორციელების ახალი, მისაღები, გონივრული და რეალური ვადების და შესაბამისი ვალდებულებების გადავადება, რაც შექმნილ გარემოში აუცილებელია მასშტაბური პროექტების დასასრულებლად," - ნათქვამია „კალა კაპიტალის" მიმართვაში.

ეკონომიკური განვითარების მინისტრ ლაშა ჟვანიას განმარტებით, განცხადება იმის თაობაზე, რომ ეკონომიკის სამინისტრო კომპანიას ინვესტიციების განხორციელებაში ხელს უშლის, არასწორია. ამ შემთხვევაში საუბარი ინვესტიციების განხორციელებაზე არ არის. საუბარია სპეციალიზებულ აუქციონზე გამარჯვებული კომპანიის მიერ მიწის გადასახადის გადახდაზე. კანონი ცალსახად ითვალისწინებს, რომ მიწის ღირებულების გადახდა აუქციონის ან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წლის ვადაში მოხდეს. წინააღმდეგ შეთხვევაში მიწა ამა თუ იმ კომპანიის ან კერძო პირის საკუთრებად ვერ ჩაითვლება," - აცხადებს ეკონომიკური განვითარების მინისტრი ლაშა ჟვანია.

მინისტრის განცხადებით, „კალა კაპიტალს" 19 მლნ. 520 ათასი ლარის ვალი აქვს და ჯარიმის სახით 2 მლნ. 300 ათასი ლარის გადახდაც ეკისრება. ლაშა ჟვანია აცხადებს, რომ ის გასული წლის დეკემბერში კახა კალაძეს შეხვდა და მარტში შეხვედრაზეც შეთანხმდნენ. ჩვენ „კალა კაპიტალს" იანვარში მივწერეთ, რომ ეკონომიკის სამინისტროში კომპანიისთვის შექმნილი ფორსმაჟორის დამადასტურებელი საბუთები წარმოედგინა. ამგვარი საბუთი „კალა კაპიტალიდან" არ მიგვიღია," - განაცხადა მინისტრმა.

მინისტრი აცხადებს, რომ ამ ეტაპზე სამინისტროს მხრიდან რაიმე გადაწყვეტილება მიღებული არ არის. სამინისტრო კომპანიის მესვეურებთან შეხვედრას და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენას ელოდება. წინააღმდეგ შემთხვევაში „კალა კაპიტალს" მიწა ჩამოერთმევა. ლაშა ჟვანიას განცხადებით, საინვესტიციო ვალდებულებები ბევრ კომპანიას გადაუვადდა. მიწა კი მხოლოდ იმ ინვესტორებს ჩამოერთვათ, რომელთაც მიწის ნაკვეთის ღირებულება გადახდილი არ ჰქონდათ.

„კალა კაპიტალსა" და ეკონომიკის სამინისტროს შორის დავა ყოფილი სამხედრო ბაზა „არსენალის" ტერიტორიაზე განსახორციელებელი პროექტის გამო მიმდინარეობს. „კახი კალაძემ „კალა კაპიტალი" 2008 წლის მარტში დააფუძნა. „კალა კაპიტალი" სამ კომპანიას - „კალა დეველოპმენტს", „კალა ენერჯისა" და „პროგრესბანკს" აერთიანებს. „კალა კაპიტალის" ყველაზე მასშტაბური პროექტი რუსეთის ყოფილი სამხედრო ბაზისა და სამხედრო ქარხანა „არსენალის" ტერიტორიაზე მინიქალაქის აშენებას უკავშირდებოდა. თბილისში, გედევანიშვილის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობები და მიწის ნაკვეთი (სულ 772, 958 კვ.კმ.) კომპანია „კალა დეველოპმენტმა" 2008 წლის დასაწყისში 38,02 მლნ. აშშ დოლარად იყიდა

საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, „კალა დეველოპმენტმა" ყოფილი სამხედრო ბაზის ტერიტორიის ორ ჰექტარზე 60 000 კვ. მ. ფართობის სამთავრობო კომპლექსი უნდა ააშენოს. ახალ კომპლექსში მთავრობის კანცელარიისა და რამდენიმე სამინისტროს გადასვლა იგეგმებოდა.

კომპლექსის მშენებლობის ღირებულება მაქსიმუმ 30 მლნ. აშშ. დოლარი უნდა ყოფილიყო. პროექტი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან შეთანხმდა.

ხელშეკრულების თანახმად, „კალა დეველოპმენტს" მთავრობის ახალი კომპლექსის მშენებლობა აუქციონის ჩატარებიდან 4 წლის ვადაში უნდა დაესრულებინა და ის სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცა. შეთანხმების თანახმად, კომპლექსი ნებისმიერი მოთხოვნისგან თავისუფალი, უფლებრივად უნაკლო და დაუტვირთავი უნდა ყოფილიყო. „კალა დეველოპმენტმა" პრივატიზებულ ობიექტზე 9 წლის განმავლობაში 700 მლნ. აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელების ვალდებულება აიღო. ინვესტირების გრაფიკი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან შეთახმდა. როგორც სამინისტროში აცხადებენ, „კახი კალაძის „კალა დეველოპმენტს" მესამე და მეოთხე ტრანშის თანხა ჯერ კიდევ გადასახდელი აქვს. კანონის თანახმად, ცნობილ ფეხბურთელს ყოველ გადაცილებულ დღეზე ჯარიმის სახით გადასახდელი თანხის 0,1 პროცენტის გადახდა მოუწევს. „კახი კალაძე საქართველოს მთავრობას ხელშეწყობისა და დახმარების თხოვნით უკვე რამდენიმე თვეა მიმართავს.

საქართველოს ბანკმა„ და IFC-მ საერთაშორისო სვოპისა და დერივატივების ასოციაციის მთავარი შეთანხმება გააფორმეს

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) „საქართველოს ბანკს" საპროცენტო განაკვეთ სვოპის ოპერაციებში ჩართვის პროცესში ხელს შეუწყობს. ახალი პროდუქტის დანერგვა ბანკს რისკის მართვის დამატებით შესაძლებლობას მისცემს, რაც თავის მხრივ გლობალური საფინანსო კრიზისის პირობებში საქართველოს ფინანსურ სისტემას კიდევ უფრო გააძლიერებს.

5 მაისს IFC-მ და „საქართველოს ბანკმა" ხელი მოაწერეს საერთაშორისო სვოპისა და დერივატივების ასოციაციის (ISDA) მთავარ შეთანხმებას, რომელიც „საქართველოს ბანკს" რისკის მართვის დამატებით საშუალებას ანიჭებს და შესაძლებლობას აძლევს, აშშ დოლარში დენომინირებული გრძელვადიანი სესხების საპროცენტო განაკვეთის რისკის ჰეჯირება მოახდინოს. რისკის მართვის ოპერაციების განხორციელებასთან დაკავშირებული შეთანხმება საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტია.

IFC-სთან ხელშეკრულების ხელმოწერა „საქართველოს ბანკს" რისკის მართვის მძლავრი საშუალებით უზრუნველყოფს. გრძელვადიან ვალდებულებებზე დღეისთვის არსებულ ყველაზე ხელსაყრელ საპროცენტო განაკვეთებს დავაფიქსირებთ. რისკის ასეთი წინდახედული მართვა ხელს შეუწყობს ჩვენი სამომავლო შემოსავლების უზრუნველყოფას," - განაცხადა „საქართველოს ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ნიკა ენუქიძემ.

IFC-ის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის დეპარტამენტის დირექტორმა სნეჟანა სტოილჯკოვიჩმა განაცხადა: მიმდინარე ფინანსური კრიზისის პირობებში რისკების საიმედო მართვას ბანკებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. საქართველოს ბანკთან ხელმოწერილი შეთანხმება არის მაგალითი იმისა, თუ რას სახის განსაკუთრებული მომსახურებას სთავაზობს IFC თავის კლიენტებს." ეს შეთანხმება IFC-ის ფართომასშტაბიანი სტრატეგიის ნაწილია, რომელიც ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში კლიენტი ბანკებისთვის რისკის მართვის შესაძლებლობის გაუმჯობესებასა და მათთვის ინოვაციური პროდუქტების შეთავაზებას ითვალისწინებს.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრია, რომელიც ხალხს სიღარიბის დაძლევასა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში ეხმარება. კერძო სექტორის განვითარების მხარდაჭერით, კერძო კაპიტალის მობილიზებითა და ბიზნესისა და ქვეყნების მთავრობებისათვის საკონსულტაციო და რისკის შემცირებასთან დაკავშირებული პროგრამებით კორპორაცია ხელს უწყობს განვითარებად ქვეყნებში მდგრად ეკონომიკურ ზრდას. 2008 წელს IFC-ს მიერ განხორციელებულმა ინვესტიციამ 16,2 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია, რითაც წინა წელთან შედარებით 34-პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა.

„საქართველოს ბანკი" უმსხვილესი ბანკია საქართველოში აქტივების, სესხების, დეპოზიტებისა და სააქციო კაპიტალის მიხედვით. ბანკი უკრაინასა და ბელარუსშიც საქმიანობს. „საქართველოს ბანკს" 141 ფილიალი აქვს და 856 000-ზე მეტი ფიზიკური პირის და 139 000 კორპორატიული კლიენტის მიმდინარე ანგარიშს ემსახურება. ბანკი თავის კლიენტებს სამომხმარებლო საბანკო და კორპორატიული საბანკო მომსახურების ფართო სპექტრს სთავაზობს.

მოლდოვას პარლამენტი მუშაობას იწყებს და ამთავრებს

ივა შილაკაძე

მოლდოვაში პოლიტიკური ბრძოლა ნელ-ნელა კონსტიტუციურ ჩარჩოებს დაუბრუნდა. მთელი თვე არეულობების შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ბრძოლის არაკონსტიტუციური მეთოდებით გაგრძელებაში მთავრობა უფრო იყო დაინტერესებული, რათა ოპოზიციისთვის ჩირქი მოეცხო.

ახალი პარლამენტის "არჩევის" გამო გადადგა მთავრობა. ახალი მთავრობა ალბათ მთლიანად კომუნისტებით დაკომპლექტდება, რადგან კომუნისტებს პარლამენტში ხმების ნახევარზე მეტი აქვთ. უფრო რთულად არის პრეზიდენტის არჩევის საქმე. აქ კომუნისტებს ერთი ხმა აკლდებათ. ოპოზიციის წარმომადგენლებმა საკუთარი მანდატები აიღეს და გუშინ პარლამენტის პირველ სხდომაზეც მივიდნენ. მათ რიგი მოთხოვნებიც ჰქონდათ მომზადებული, მაგრამ უმრავლესობამ მათ სიტყვით გამოსვლის საშუალება არ მისცა, ეს პირველი სხდომაც მხოლოდ 23 წუთს გრძელდებოდა.

ოპოზიციის წარმომადგენლებმა უარი თქვეს საპარლამენტო თანამდებობების დაკავებაზე. ისინი ვიცე-სპიკერის პოსტზეც არ ასახელებენ კანდიდატურას და საერთოდ არ აპირებენ 12 მაისს იმ სხდომაში მონაწილეობას, სადაც ორგანიზაციულ საკითხებს განიხილავენ.

თუ პარლამენტი სამ ცდაზე პრეზიდენტს ვერ აირჩევს, მოლდოვის კონსტიტუციის თანახმად, ძველმა პრეზიდენტმა საკანონმდებლო ორგანო უნდა დაითხოვოს და ახალი არჩევნები დანიშნოს. პარლამენტში გასული სამივე ოპოზიციური პარტიის ლიდერი: მიხაი გიმპუ (ლიბერალური პარტია), ვლად ფილატი (ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია) და სერაფიმ ურეკიანი (ალიანსი "ჩვენი მოლდოვა") კატეგორიულად აცხადებენ, რომ არ დაუჭერენ მხარს კომუნისტების მიერ დასახელებულ კანდიდატურას და სწორედ ამ გზით მიაღწევენ ახალი არჩევნების დანიშვნას.

სხვათა შორის, მოლდოვის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა ნატალია მორარისთვის "მისჯილი" ქვეყნიდან გასვლის აკრძალვა. ნატალია მორარს ხელისუფლება 7 აპრილის საპროტესტო გამოსვლების და არეულობის ერთ-ერთ მთავარ ორგანიზატორად მიიჩნევს.

მექსიკაში ღორის გრიპის გამო დაწესებული შეზღუდვები უქმდება

მარიკა იაგვილი

AFP ' 2009

მეხიკო ცხოვრების ჩვეულ რიტმს უბრუნდება. მექსიკის დედაქალაქში კაფეები და რესტორნები გაიხსნა, რომლებიც ქვეყანაში ღორის გრიპის გამოვლენის შემდეგ დაკეტილი იყო. ქალაქის ხელმძღვანელობამ საჯარო დაწესებულებათა ნაწილის გახსნის გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც დაავადების შემთხვევებმა იკლო.

ბიბლიოთეკები, მუზეუმები და ეკლესიები დღეს გაიხსნება, თუმცა კინოთეატრები, თეატრები და ბარები გარკვეული პერიოდის განმავლობაში კვლავ არ იფუნქციონირებენ, - აცხადებენ ქალაქის მერიაში.

ხელისუფლების წარმომადგენლები ამჟამად იმაზე მსჯელობენ, თუ როდის იქნება დასაშვები სკოლებისა და სამრეწველო დაწესებულებების გახსნა მთელ ქვეყანაში.

მსოფლიოში ამჟამად ღორის გრიპით დაავადების 1025 შემთხვევაა დადასტურებული.

ამერიკაში დაავადებულთა რაოდენობა ერთი დღის განმავლობაში 226-დან 286-მდე გაიზარდა, ღორის გრიპი 36 შტატშია გავრცელებული. ქვეყნის ჯანდაცვის უწყების ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ არ არის გამორიცხული, უახლოეს მომავალში ახალი შემთხვევები გამოვლინდეს.

ოფიციალური მონაცემებით, აშშ-ში მხოლოდ ერთი ბავშვი გარდაიცვლა, რომელიც მექსიკაში იმყოფებოდა, ყველა დანარჩენ შემთხვევაში ავადმყოფობა მსუბუქი ფორმებით მიმდინარეობს.

ღორის გრიპის შესახებ განცხადებები კეთდება გაერო-შიც. ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ დაავადება ევროპასა და აზიაში ფართოდ არ არის გავრცელებული, შესაბამისად საფრთხის მაჩვენებლის გაზრდის აუცილებლობა არ არსებობს.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის წარმომადგენელების განცხადებით, ჩრდილოეთ ამერიკის ფარგლებს გარეთ ვირუსის ადამიანიდან ადამიანზე გადაცემის ფაქტი ოფიციალურად ჯერ არ დადასტურებულა. ყველა დაავადებული, რომლებიც სხვა რეგიონებში არიან რეგისტრირებულები, მექსიკაში, აშშ-სა და კანადაში იმყოფებოდნენ.

ორგანიზაციის ხელმძღვანელი მარგარეტ ჩანი აცხადებს, რომ მთავარი გამოცდა ზამთრის დასაწყისში გრიპის ხელახალი აფეთქება იქნება.

"იმედი გვაქვს, რომ ვირუსი ძალის დაკარგვას დაიწყებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალზე სერიოზულ აფეთქებას უნდა ველოდოთ," - აცხადებს ის.

"მე არ ვამტკიცებ, რომ პანდემია აუცილებლად დაიწყება, მაგრამ ჩვენ მოვლენათა ნებისმიერი განვითარებისთვის უნდა ვიყოთ მზად. მოცემულ შემთხვევაში სიფრთხილის გამოჩენა სჯობს, ვიდრე შესაძლო სცენარისთვის მოუმზადებლად ყოფნა," - აღნიშნა მარგარეტ ჩანმა.

ვირუსის ადამიანიდან ადამიანზე გადაცემა, სავარაუდოდ, მსოფლიოს ექვს ქვეყანაში დაფიქსირდა.

მექსიკაში ვარაუდობენ, რომ გრიპით 100-ზე მეტი ადამიანი გარდაიცვალა, თუმცა ოფიციალურად მხოლოდ 26 შემთხვევა დადასტურდა.

რაც შეეხება სხვა რეგიონებს, დიდ ბრიტანეთში გამოვლენილი ცხრა ახალი შემთხვევიდან, როგორც ჩანს, 7 ადამიანი მექსიკაში არ ყოფილა. დიდ ბრიტანეთში ღორის გრიპით სულ 27 ადამიანია დაავადებული.

შვეიცარიაში, ფრიბურის კანტონის სამხედრო ბანაკის 250 ახალწვეული და თანამშრომელი კარანტინშია მოთავსებული, რადგან ორ მათგანს ღორის გრიპის სიმპტომები აღმოაჩნდა.

აშშ-ში, ოფიციალურ პირთა განცხადებით, დაავადებულთა რაოდენობის ზრდის მიზეზია არა ახალი შემთხვევები, არამედ ის, რომ ცნობილი გახდა ადრე გაკეთებული ანალიზების შედეგები.

თუმცა დაავადების კონტროლისა და აღმოფხვრის ამერიკული ცენტრის ექსპერტი ენ შუშატი აცხადებს, რომ ვირუსი, სავარაუდოდ, მთელ ქვეყანას მოედო.

"აშშ-ში ვირუსი, როგორც ჩანს, უკვე ყველა შტატში ბრუნავს, - აღნიშნა მან, - ეს არ ნიშნავს, რომ ქვეყნის ყველა მცხოვრები დაინფიცირებულია, თუმცა ვირუსმა ყველგან შეაღწია."

ექიმ შუშატის აზრით, მომავალში გამოვლინდება მძიმე შემთხვევებიც, რომლებსაც ლეტალური დასასრული ექნება, მაგრამ ამაში უჩვეულო არაფერია. ის შეგვახსენებს, რომ ყოველწლიურად სეზონური გრიპებით აშშ-ში 36 ადამიანი იღუპება. ამავდროულად ექსპერტი გვაფრთხილებს, რომ "კრიზისს არ ჩაუვლია."

ორშაბათს მექსიკის ხელისუფლებამ თანდათან დაიწყო იმ შეზღუდვების გაუქმება, რომლებიც დაავადების გავრცელების გამო დაწესდა, რადგან არის ინფორმაცია, რომ ვირუსი უკან იხევს.

როგორც მექსიკის ჯანდაცვის მინისტრი ხოსე ანხელ კორდოვა აცხადებს, "ვირუსის განვითარება ამჟამად სუსტდება."

ამავდროულად ქვეყნის პრეზიდენტი ფელიპე კალდერონი აკრიტიკებს იმ "დისკრიმინაციულ ზომებს," რომლებსაც მექსიკელების წინააღმდეგ მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში "არცოდნისა და დეზინფორმაციის" გამო მიმართეს.

სახელმწიფოს მეთაურს კონკრეტული ქვეყნები არ დაუსახელებია, თუმცა მან აღნიშნული განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც მექსიკამ ჩინეთი 70 მექსიკელის კარანტინში მოთავსების გამო გააკრიტიკა. პეკინმა ამ ზომას იმის მიუხედავად მიმართა, რომ ქვეყანაში ღორის გრიპით დაავადების ნიშნები არ დაფიქსირებულა.

მექსიკისა და ჩინეთის ოფიციალური პირები უკვე შეთანხმდნენ ჩარტერული რეისების გაცვლაზე, რომელთა მეშვეობითაც ისინი თავიანთ მოქალაქეებს სამშობლოში დააბრუნებენ. ამჟამად მექსიკაში ჩინეთის მოქალაქეთა ჯგუფი იმყოფება, რომლებიც გაუქმებული რეისების გამო სამშობლოში დაბრუნებას ვერ ახერხებენ. თავის მხრივ ჩინეთი კარანტინში მყოფ მექსიკელებს მექსიკაში დაბრუნების ნებას მისცემს.

მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა სცადა, გაეფანტა შეხედულება, რომ ღორის გრიპს ისეთივე პანდემიის გამოწვევა შეუძლია, როგორიც 1918 წელს "ესპანურმა გრიპმა" გამოიწვია, რომელმაც ათობით მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

"არ არსებობს არავითარი ნიშანი იმისა, რომ ვითარება დღეს 1918 წლის ვითარების ანალოგიურია," - განუცხადა მან ჟურნალისტებს.

გაერო-ს გენერალურმა მდივანმა ბან კი მუნმა განაცხადა, რომ დღევანდელი ტენდენციის გაგრძელების შემთხვევაში, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია საფრთხის მაჩვენებელს უმაღლეს ნიშნულამდე არ გაზრდის.

თურქეთში მომხდარი ტრაგედიის შედეგად 45 ადამიანი დაიღუპა

თურქეთში, მარდინის პროვინციის სოფელ ბილგეში მომხდარმა ტრაგედიამ 45 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ადგილობრივი მედიის ცნობით, დაღუპულთა შორის მეტწილად ქალები და ბავშვები არიან. ქვეყნის შს სამინისტროს ინფორმაციით, სავარაუდოდ, ხუთმა-ექვსმა დამნაშავემ, რომელთა ვინაობა დგინდება, ქორწილის სტუმრებს გაუხსნა ცეცხლი. მომხდარის მიზეზები ჯერჯერობით უცნობია. მარდინის პროვინციის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა განცხადებით, ძირითად ვერსიად ტერაქტი არ განიხილება. უფრო მეტად საუბარია შურისძიებაზე ან სისხლის აღებაზე. ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრ ბიშერ ატალაის განცხადებით, იგი არ ემხრობა ამ თავდასხმის ტერორისტულ აქტად განხილვას. "ჩვენ ვემხრობით აზრს, რომ მოხდარი არ არის ტერორისტული აქტი. ამავე დროს პროკურატურა საფუძვლიანად მუშაობს ყველა ვერსიაზე," - განაცხადა მინისტრმა.

ჯი-ეიჩ-ენი

დიმიტრი როგოზინი: რუსეთი-ნატოს საბჭოს მინისტერიალის შეხვედრა არ შედგება

"ნატო არ არის მზად, რუსეთთან ნორმალური ურთიერთობები განაახლოს, ამიტომაც რუსეთი-ნატოს საბჭოს მინისტერიალის შეხვედრა არ შედგება," - განაცხადა გუშინ რუსეთის წარმომადგებელმა ნატო-ში დიმიტრი როგოზინმა და დასძინა, რომ მიუხედავად რუსეთის მიერ მიღებული ამ გადაწყვეტილებისა, რუსეთი-ნატოს დიალოგი ელჩების დონეზე გაგრძელდება. "იძულებული ვარ, მოვახდინო კონსტატირება იმისა, რომ ალიანსი არ არის მზად, რუსეთთან დიალოგი აწარმოოს," - განაცხადა როგოზინმა და ამავე კონტექსტში საუბრისას ალიანსის დიპლომატების მიმართ გამოიყენა ფრაზა - "უხამსი გამოხტომა" და სწავლებების თვალსაზრისით - "არაადეკვატური ქმედებები საქართველოში". "სწორედ ამ კონტექსტში იძულებული ვარ, განვაცხადო, რომ რუსეთი-ნატოს საბჭოს სხდომა აღარ გაიმართება," - აცხადებს როგოზინი.

ჯი-ეიჩ-ენი

ჩინეთი აშშ-ს მოუწოდებს, სხვა ქვეყნების საქმეებში ჩარევისგან თავი შეიკავოს

ჩინეთმა მოუწოდებს აშშ-ს, თავი დაანებოს მედიის თავისუფლებისა და სხვა საკითხებში უცხო ქვეყნების საქმეებში ჩარევას, - ამის შესახებ ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მა ჩჟასიუმ განაცხადა. ჩინეთის საგარეო უწყება არ ეთანხმება აშშ-ს პრეზიდენტ ბარაკ ობამას შენიშვნებს, რომელიც მან 3 მაისს, პრესის თავისუფლების მსოფლიო დღეს გააკეთა. საუბარია კონკრეტულად იმ ნანილზე, სადაც აშშ-ს პრეზიდენტმა ბრალი დასდო რიგ ქვეყნებს, მათ შორის ჩინეთს, კუბას, შრი-ლანკას და ზიმბაბვეს ჟურნალისტების დევნასა და მათ დაპატიმრებაში. "ბოლო 30 წლის განმავლობაში ჩინეთში ახალი ამბების მომზადებამ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა. ამ ხნის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა კორესპონდენტების რაოდენობა და მათი უფლებები დაცულია," - განაცხადა საგარეო უწყების ოფიციალურმა წარმომადგენელმა. "ჩვენ მოვუწოდებთ აშშ-ს, პატივი სცეს ფაქტებს, ჩინეთის კანონმდებლობას და ქვეყანაში პრესის თავისუფლების საკითხებს სწორი კუთხით შეხედოს. ასევე შეწყვიტოს ამ საკითხებში ჩარევა," - განაცხადა დიპლომატმა.

ჯი-ეიჩ-ენი

ლუკაშენკო ოპოზიციას სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებზე თანამშრომლობას სთავაზობს

ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო არ გამორიცხავს შესაძლებლობას, რომ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების დასაძლევად ოპოზიციის რიგებიდან პროფესიონალები მიიწვიოს. "თუ ჩვენს ქვეყანაში არიან ადამიანები, რომლებსაც ჩვენი ხალხის ინტერესებისთვის შეუძლიათ გადაწყვიტონ რაიმე საკითხები, ჩვენ დიდი პატივით მზად ვართ, ჩავრთოთ ისინი ამ პროცესში," - განუცხადა "როიტერს" ლუკაშენკომ. პრეზიდენტმა მოუწოდა ოპოზიციას, დაიწყონ მუშაობა კონკრეტულ საკითხებზე, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს, დამსახურებულად წაიწიონ წინ შესაბამის სამსახურებრივ საფეხურებზე.

ჯი-ეიჩ-ენი

როქსანა საბერი აშშ-სა და ირანის ურთიერთობების კატალიზატორია

ივა შილაკაძე

AFP ' 2009

ირანში გასამართლებული ამერიკელი ჟურნალისტი როქსანა საბერი ციხის საავადმყოფოში მოხვდა. ამის მიზეზი გახდა მშრალი შიმშილობა, რომელიც 20 თუ 25 აპრილს გამოაცხადა. ირანის ხელისუფლება თავიდან საერთოდ უარყოფდა ჟურნალისტის შიმშილობის ფაქტს. ეს ინფორმაცია დასავლეთის მედიას მხოლოდ როქსანა საბერის მშობლებისგან ჰქონდათ. თუმცა ბოლო დღეებში მისი მდგომარეობა დამძიმდა და პატიმრის საავადმყოფოში გადაყვანა გახდა საჭირო.

როქსანა საბერი სპირტიანი სასმელის შეძენის ბრალდებით იანვარში დააპატიმრეს. ცოტა ხანში ამას აკრედიტაციის გარეშე ჟურნალისტური საქმიანობის ბრალდება დაემატა, აპრილში კი - ჯაშუშობა ამერიკის შეერთებული შტატების სასარგებლოდ. ამ ბრალდების წაყენებიდან, სულ რაღაც, ერთ კვირაში, 18 აპრილს, გასაიდუმლოებულ ვითარებაში ის გაასამართლეს და რვა წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

როკსანა საბერი დაიბადა 1977 წელს აშშ-ში, ჩრდილოეთ დაკოტას შტატში. მამა წარმოშობით ირანელია, დედა - იაპონელი. როქსანამ წარმატებით დაამთავრა სკოლა, 1997 წელს მურჰედის კოლეჯი მინესოტას შტატში (სწავლობდა ფრანგულს და კომუნიკაციის თეორიას). მიიღო მაგისტრის ხარისხი რადიო-ჟურნალისტიკაში ილინოისის ჩრდილო-დასავლეთის უნივერსიტეტში, შემდეგ მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო ურთიერთობებში კემბრიჯის უნივერსიტეტში (დიდი ბრიტანეთი). 1997 წელს მის ჩრდილოეთ დაკოტას ტიტული მიიღო, ხოლო 1998 წელს მის ამერიკას ათეულში შევიდა.

ჟურნალისტური პრაქტიკა 2003 წელს ირანში დაიწყო. სათავეში ჩაუდგა სააგენტო Feature Story News-ის თეირანის წარმომადგენლობას. მუშაობდა ისეთ მედიაკომპანიებთან, როგორებიც არიან: Channel News Asia; South African Broadcasting; DW Radio; Vatican Radio; Radio New Zealand. ასევე ამზადებდა ტელერეპორტაჟებს არხებისთვის: PBS, NPR და Fox News. 2003 წელსვე ირანის ხელისუფლებამ მას მიზეზების აუხსნელად გაუუქმა აკრედიტაცია, Feature Story News-ის წარმომადგენლობა კი დახურა. როქსანა საბერის უშტატო კორესპონდენტის სტატუსი მისცა BBC News-მა, მაგრამ 2006 წელს ეს აკრედიტაციაც გაუუქმეს. როქსანა საბერი დარჩა ირანში, წერდა პუბლიცისტურ წიგნს და პერიოდულად მაინც აკეთებდა რეპორტაჟებს რადიო ABC-სთვის. ამ პერიოდში მან ირანის მოქალაქეობაც მიიღო. ჟურნალისტური საქმიანობის პერიოდში იგი ეხებოდა მწვავე და ირანისთვის მტკივნეულ თემებს: კლერიკალების ჩარევას ადგილობრივ არჩევნებში, თეირანის ბირთვულ პროგრამას და მის მიმართ დასავლეთის რეაქციას, მოძრაობა "ჰამასის" ფინანსურ მხარდაჭერას, ქალთა ფეხბურთის აკრძალვას და სხვ.

საბერის დაპატიმრებას აშკარად ასდის პოლიტიკური "სუნი". ექსპერტების ნაწილის აზრით, ეს დაპატიმრება საეჭვოდ დაემთხვა ამერიკასა და ირანს შორის ურთიერთობის დათბობის შესახებ წამოსულ "მესიჯებს" ორივე მხრიდან. ამ ფაქტით შეიძლება აჰმადინეჯადი ამერიკის რეაქციას და მის რეალურ განწყობას "ამოწმებდეს". არის მეორე აზრიც - შეიძლება ეს გაკეთდა ირანის მთავრობის იმ კონსერვატორი წევრების სანქციით, რომლებსაც ხელს არ აძლევთ აშშ-სთან ურთიერთობების მოგვარება (ისე საინტერესოა, ვინ არის იქ აჰმადინეჯადზე უფრო რადიკალ-კონსერვატორი). საერთოდ, ირანის სპეცსამსახურებს ხშირად ელანდებათ ხოლმე ჯაშუშები და მერე თვითონვე უწევთ იმის გამოცხადება, რომ კონკრეტულ დაპატიმრებულ პირებს არავითარი კავშირი არა აქვთ შპიონაჟთან. ეჭვის საფუძველს კიდევ ერთი ფაქტი იძლევა. უეჭველია, რომ საბერის საქმიანობა ირანის შესაბამის ორგანოებს აღიზიანებდა. ამაზე მეტყველებს აკრედიტაციის ორჯერ გაუქმების ფაქტი. ის 2006 წლის მერეც აგრძელებდა მუშაობას და მიუხედავად ამისა მხოლოდ ახლა - სამი წლის შემდეგ დააპატიმრეს. ცხადია, ის 2003 წლიდანვე იყო სპეცსამსახურების ფარული მეთვალყურეობის ობიექტი და მისი ჯაშუშობის შესახებ რაიმე ფაქტები რომ ყოფილიყო, მას ადრევე დააპატიმრებდნენ. საბერის საქმის "საგარეო" დანიშნულებაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ირანის შიგნით საინფორმაციო საშუალებები ამ საქმეზე საერთოდ დუმან და ქვეყნის საზოგადოებამ ამის შესახებ არაფერი იცის, შესაბამისად, პროტესტს მხოლოდ საერთაშორისო მედია და პოლიტიკური წრეები გამოთქვამენ, ირანში კი აბსოლუტური სიჩუმეა.

საბერისთვის განაჩენის გამოტანისთანავე თავისი რეაქცია გამოხატა ბარაკ ობამამ: მისმა პრესმდივანმა განაცხადა, რომ პრეზიდენტი "ღრმად იმედგაცრუებულია" ასეთი გადაწყვეტილებით. ანალოგიური იყო სახელმწიფო მდივან ჰილარი კლინტონის რეაქციაც, რომელმაც აგრეთვე დასძინა, რომ შვეიცარიის საელჩოს საშუალებით (აშშ-ს და ირანს დიპლომატიური ურთიერთობები არა აქვთ და შუამავლობას შვეიცარია ეწევა) ისინი შეეცდებიან, თავიანთი აზრი მიაწოდონ ირანის ხელისუფლებას. მაშინვე გავრცელდა ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის პასუხი, რომელშიც ამ უკანასკნელმა უცხოეთის პოლიტიკურ წრეებს სასამართლო გადაწყვეტილების პატივისცემისკენ მოუწოდა. თუმცა 19 აპრილსვე როქსანა საბერის ირანის პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჯადი გამოესარჩლა. ამ უკანასკნელმა გაუგზავნა წერილი ქვეყნის პროკურორს, რომელშიც მოითხოვა, რომ მთლიანად დაცული ყოფილიყო ჟურნალისტის (აგრეთვე ადრე დაპატიმრებული ირანელი ბლოგერის ჰუსეინ დერახშანის) უფლებები. "გთხოვთ, პირადად მიადევნოთ თვალი პროცესს და დარწმუნდეთ, რომ დაცვის მხარეს სრულად შეუძლია განახორციელოს თავისი უფლებები [...] და მათი უფლებები იოტისოდენადაც არ ირღვევა." 21 აპრილს ირანის გენერალურმა პროკურორმა მახმუდ ხაშემი შახრუდიმ განაცხადა, რომ ჟურნალისტ როქსანა საბერის საქმე გადაიხედება. ამ სიტყვებს, როგორც ჩანს, ჯერჯერობით საქმე არ მოჰყოლია. 25 აპრილს საბერის ადვოკატმა საქმე გასაჩივრა, თვითონ ჟურნალისტმა კი შიმშილობა დაიწყო.

მაისის დასაწყისში საქმეში უკვე იაპონია ჩაერთო (საბერის დედა იაპონელია) და ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი ხიროფუმი ნაკასონე ირანელ კოლეგასთან საუბრისას ამ თემასაც შეეხო. ერთობლივი პრესკონფერენციისას ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა მანუჩერ მოტაკიმ პირობა დადო, რომ ჟურნალისტის საქმე გადაიხედება "მართლმსაჯულების ნორმების, აგრეთვე ადამიანურობისა და ისლამური კაცთმოყვარეობის პრინციპების შესაბამისად". ჯერ არავინ იცის, რას ნიშნავს ეს სიტყვები, რამდენად შემცირდება როქსანა საბერის პატიმრობის ვადა (ან შემცირდება თუ არა საერთოდ). მთავარი ალბათ ის არის, რომ ჟურნალისტს მოეხსნას ჯაშუშობის ბრალდება, რისი დამადასტურებელი საბუთებიც საზოგადოებისთვის არ წარუდგენიათ და რაც, სავარაუდოდ, მას არ ჩაუდენია. დანარჩენი კი სერიოზული არ არის.

ისრაელი პალესტინასთან დიალოგისთვის მზად არის

ნეთანიაჰუს ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარება სურს

მარიკა იაშვილი

ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ აცხადებს, რომ ისრაელი მზად არის, პალესტინასთან მშვიდობიანი მოლაპარაკებები "დაუყოვნებლივ და ყოველგვარი წინაპირობების გარეშე" განაახლოს და "რაც მალე, მით უკეთესი." თავისი გეგმების შესახებ ქვეყნის მთავრობის მეთაურმა ამერიკაში ყველაზე გავლენიანი ებრაული ორგანიზაციის AIPAC-ის კონფერენციაზე ვიდეოხიდის მეშვეობით ჩართვისას ისაუბრა.

პრემიერმა პირობა დადო, რომ ბარაკ ობამასა და მაჰმუდ აბასთან ერთად მსოფლიოს გააოცებს. ნეთანიაჰუ აცხადებს, რომ ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის მიღწევა შეუძლებელი არ არის, თუმცა ამისთვის აბსოლუტურად ახალი მიდგომაა საჭირო. ისრაელის მთავრობის მეთაური მიიჩნევს, რომ კონფლიქტის დარეგულირებისთვის აუცილებელია სამი ძირითადი მიმართულებით მუშაობა - პოლიტიკის, უსაფრთხოებისა და ეკონომიკის კუთხით.

ნეთანიაჰუს 5-წუთიან გამოსვლას, რომლის ტრანსლაცია ისრაელიდან ვაშინგტონში თანამგზავრის მეშვეობით ხორციელდებოდა, 66 ქვეყნის ელჩი და ამერიკის კონგრესის წევრთა ნახევარზე მეტი უსმენდა.

პრემიერმა აღნიშნა, რომ ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარება 30 წლის განმავლობაში ვერ მოხერხდა. "ამ სფეროში წარმატების მიღწევა ისრაელის ექვსმა პრემიერ-მინისტრმა და ამერიკის ორმა პრეზიდენტმა ვერ შეძლო," - განაცხადა მან.

ნეთანიაჰუმ აღნიშნა, რომ უსაფრთხოების სფეროში იორდანიის სამართალდამცავ ორგანოებთან და პალესტინის ეროვნულ ადმინისტრაციასთან სურს თანამშრომლობა. რაც შეეხება ეკონომიკის სფეროს, ისრაელის პრემიერ-მინისტრის აზრით, პალესტინის ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი პრობლემიდან რაც შეიძლება მეტის აღმოფხვრაა საჭირო.

"მინდა, დავინახო, რომ პალესტინის ახალგაზრდობას მომავალი აქვს. არ მინდა ისინი სიკვდილის, სიძულვილისა და სასოწარკვეთის ტყვეობაში დარჩნენ. მინდა, რომ მათ სამსახურები სქონდეთ," - განაცხადა ნეთანიაჰუმ.

ამავე დროს, ისრაელის პრემიერმა განმარტა, რომ ის არ არის მზად, მშვიდობისკენ მიმავალ გზაზე ისრაელის უსაფრთხოების ინტერესები დათმოს და არ იტყვის უარს მოთხოვნაზე, რომ ისრაელი იყოს აღიარებული, როგორც მონონაციონალური ებრაული სახელმწიფო.

საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტოები აღნიშნავენ, რომ ნეთანიაჰუს გამოსვლაში ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს პრინციპზე "ორი სახელმწიფო - ორი ერისთვის." ამიტომ მისმა გამოსვლამ არაბულ სამყაროში შეშფოთება გამოიწვია.

ისრაელის პრემიერ-მინისტრის გამოსვლის მეორე თემა ირანი იყო, რომლის ბირთვული პროგრამა ჯერ კიდევ მრავალ ქვეყანას აღელვებს. "მინდა, აღვნიშნო, რომ, როგორც ჩანს, ჩემს ცხოვრებაში პირველად არაბები და ებრაელები ერთნაირი საფრთხის წინაშე დგანან. ყოველთვის ასე არ ყოფილა. დღევანდელი გამოწვევები თავის თავში დიდ შესაძლებლობებსაც მალავს," - განაცხადა ნეთანიაჰუმ.

ახლო აღმოსავლეთის პრობლემისადმი მიდგომის გადამოწმება ნეთანიაჰუმ მემარჯვენე ბანაკის სათავეში მოსვლისთანავე დაიწყო. პრემიერი პირობას დებს, რომ განახლებულ სტრატეგიას აშშ-ში ვიზიტის დროს წარმოადგენს, რომელიც მაისის ბოლოსთვის არის დაგეგმილი. ნეთანიაჰუს განცხადებთ, აშშ-ში ვიზიტის წინ ის ეგვიპტეს მოინახულებს, სადაც ჰოსნი მუბარაქთან ერთად, არაბულ სახელმწიფოებს, პალესტინასა და ისრაელს შორის თანამშრომლობის საკითხს განიხილავს.

ნეთანიაჰუმ პალესტინელებთან მშვიდობიანი მოლაპარაკებების აღდგენის სურვილი პირველად აპრილის შუა რიცხვებში პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის მეთაურ მაჰმუდ აბასთან სატელეფონო საუბრისას გამოთქვა. მაშინ ისრაელის მთავრობის მეთაურმა ძველი თანამშრომლობის მაგალითები გაიხსენა და განაცხადა, რომ მომავალში მისი განახლება სურს.

რევიუ

ლოს ანჯელესის ერთ-ერთ ცნობილ არტბუტიკში პრეზიდენტ ობამას სახეზე ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგები გამოიფინა. სულ რამდენიმე დღეში ამ ექსპერიმენტს აუქციონზეც გაიტანენ. პრეზიდენტი ობამა თმის განსხვავებული ვარცხნილობებით ამერიკის ისტორიის სახესიმბოლოებად აქცია. მოქილიკე მხატვრებმა ეს საქციელი მარტივად და ლამაზად ახსნეს, ჩვენ ობამას სახეში ამერიკის ისტორია დავატიეთო.

ლენონის ჯგუფი ბრუნდება

ჯონ ლენონის ქვრივი მხატვარი იოკო ონო ჩაატარებს კონცერტს Plastic Ono Band-ის გასაცოცხლებლად. კონცერტზე, რომელიც ლონდონის Royal Festival Hall-ში 2009 წლის 14 ივნისს გაიმართება, ჯონ ლენონის შვილი - შონ ლენონი მიიღებს მონაწილეობას. Plastic Ono Band-ის დანარჩენი შემადგენლობა ჯერ არ სახელდება. კონცერტში მოსალოდნელია მოწვეული მუსიკოსების მონაწილეობა. მათ შორის პირველ რიგში მოიაზრება ავანგარდული ჯაზის ერთ-ერთი პიონერი ორნეტ კოულმანი, რომელიც 1970 წელს ალბომ Yoko Ono/Plastic Ono Band-ის ჩაწერაში იღებდა მონაწილეობას. სწორედ მან დაითანხმა ონო Plastic Ono Band-ი გაეცოცხლებინა და ფესტივალ Meltdown-ის ფარგლებში კონცერტი ჩაეტარებინა. წელს ფესტივალის კურატორი ასევე ორნეტ კოულმანი იქნება. "მე ძალიან ვნერვიულობ კონცერტის ჩატარების იდეის შესახებ - ეს ხომ დიდ ბრიტანეთში Plastic Ono Band-ის პირველი კონცერტი იქნება ჩემთვის. უბრალოდ ძალიან კარგი იქნება და გამეხარდება, თუ ორნეტი ჩვენ შემოგვიერთდება", - აცხადებს იოკო ონო. მისივე თქმით, ცოტა ხნის წინ ახალ ალბომზე მუშაობა დაასრულა, რომელიც გასაყიდად წლის ბოლოს გამოვა. ჩანაწერის პროდიუსერები თავად იოკო და ლენონის შვილი - შონი იყვნენ.

სუპერჯგუფი Plastic Ono Band 1969 წელს ჯონ ლენონისა და იოკო ონოს ინიციატივით შეიქმნა, როგორც აკომპანირებული შემადგენლობა მათი ერთობლივი და სოლო შემოქმედებისთვის. სხვადასხვა დროს ჯგუფის მონაწილეთა რიცხვში შედიოდნენ ერიკ კლეპტონი, ჯორჯ ჰარისონი, რინგო სტარი, ალან უაიტი კიტ მუნი, ბილი პრესტონი, ნიკი ჰოპკინსი და ფილ სპექტორი. პირველი ჩანაწერი, რომელიც Plastic Ono Band-ის გარეკანზე იყო აღნიშნული, არის 1969 წლის ივლისში ჩაწერილი სინგლი Give Peace a Chance. ჯონ ლენონისა და იოკო ონოს პირველი სოლო ჩანაწერები John Lennon and Plastic Ono Band-ისა და Yoko Ono and Plastic Ono band-ის სახით გამოვიდა. უკანასკნელად სახელწოდება - Plastic Ono Band გამოყენებული იყო 1975 წელს, ლენონის რეტროსპექტიული დისკის Shaves Fish-ის გამოშვებისას.

76 წლის იოკო ონო - მსოფლიო ხელოვნების ომისშემდგომი პერიოდის ნათელ ფიგურას წარმოადგენს რომელმაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვა კულტურულ ცხოვრებაში, როგორც მშობლიურ იაპონიაში, ისე დასავლეთში.

აღსანიშნავია, რომ იოკო ონო, ხელოვნებაში შეტანილი წვლილისა და შემოქმედებითი მიღწევებისთვის, ამერიკელ ავანგარდისტ ჯონ ბალდესართან ერთად ვენეციის 53-ე ბიენალეზე, რომელიც 2009 წლის 7 ივნისიდან 22 ნოემბრამდე გაგრძელდება, - "წმინდა მარკოზის ოქროს ლომით" დაჯილდოვდება. "ოქროს ლომით" ჩვენ იმ ორ ხელოვანს აღვნიშნავთ, რომელთა ავანგარდულმა ნამუშევრებმა პოეტურ, კონცეპტუალურ და სოციალურ გამოსახვას ახალი შესაძლებლობები გაუხსნეს. მათი ნამუშევრები ხელოვნების რევოლუციურ ენას წარმოადგენს, რომელიც მომავალი თაობის შთაგონების წყაროდ იქცევა", - აღნიშნულია ბიენალეს დირექციის ოფიციალურ განცხადებაში.

ვენეციის ბიენალე 1895 წლიდან არსებობს, როგორც ავანგარდული ხელოვნების გამოფენა და ახალი მხატვრული ტენდენციების წინსვლისა და ახალი სახელების გამომჟღავნების მიზნითაა შექმნილი.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

6 მაისი

თეატრი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი
ᲤᲝᲜᲓᲘ იავნანა გთავაზობთ გალა კონცერტს ამბროჯიო მაესტრის, პაატა ბურჭულაძისა და თამარ ივერსის მონაწილეობით

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი
მცირე სცენა
Play ანუ სიკვდილის როკვა
რეჟისორი რობერტ სტურუა
დასაწყისი: 19.00

კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი
ძალად ექიმი
რეჟისორი გიზო ჟორდანია
დასაწყისი: 19.00

თავისუფალი თეატრი
ირმის უკანასკნელი ბღავილი
სოხუმის თეატრის სპექტაკლი
დასაწყისი: 19.00

კინო

რუსთაველი
დესპეროს თავგადასავალი
დასაწყისი: 15.00; 16.45; 19.30;
მადაგასკარი 2
დასაწყისი: 14.00; 15.45; 17.30;
მილიონერი გარეუბნიდან
დასაწყისი: 14.30; 17.00; 19.30; 22.15
სხეულის გარეშე
დასაწყისი: 18.15; 20.15; 22.15
ცვლილება
დასაწყისი: 21.30

ამირანი
თქვი დიახ
დასაწყისი: 30.30; 14.45; 18.00; 20.15; 22.15
ნიკი და ნორა
დასაწყისი: 20.00
ზღაპრები ძილის წინ
დასაწყისი: 14.00; 16.00; 18.00;
სხვა სამყარო - 3
დასაწყისი: 22.00

საქართველო
მადაგასკარი
დასაწყისი: 13.00; 15.00
სხვა სამყარო
დასაწყისი: 17.00
თქვი დიახ
დასაწყისი: 19.00
ინტერნაციონალი
დასაწყისი: 21.00

გამოფენები

თიბისი გალერეა
გოგი ლაზარაშვილის პერსონალური გამოფენა

აკადემია +
თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტების ფოტოგამოფენა

“ვერნისაჟი”
ზაალ ბაჩანაშვილის პერსონალური გამოფენა

ორნამენტი
თანამედროვე ტიხრული მინანქრის გამოფენა

უცნობი "მრავალჟამიერი" და ჰარმონიული ქაოსი

მზეხა მახარაძე

კონსერვატორიის დიდ დარბაზში დიდი ხალხმრავლობა იყო... იმ საღამოს ანჩისხატის გუნდმა სამშობლოში იმოგზაურა სიმღერით და ის აუხსნელი განცდა მოიტანა, რაც მხოლოდ ქართული მრავალხმიანობის მოსმენისას ჩნდება ხოლმე მსმენელში... კახური, გურული, იმერული, მეგრული “მრავალჟამიერების” უძველესი, თუმცა განსხვავებული ნიმუშები, რომლებიც მივიწყებულია და იშვიათად სრულდება ხოლმე, მომღერლებმა ხმებში გაშალეს.

კონცერტი, რომელიც “ლილვაკებიდან” და საექსპედიციო ჩანაწერებიდან ამოღებული უცნობი ფოლკლორული სიმღერებით აიკინძა, საეკლესიო “მრავალჟამიერით” დაიწყეს... ეს მარგალიტი, XIX საუკუნის დასაწყისში ნოტებზე რომ გადაიტანა ფილიმონ ქორიძემ ცნობილი მგალობლებისგან, თავისი ჰარმონიული სიმდიდრით “ოქროს ხანის” მუსიკას ეკუთვნის. ფილიმონ ქორიძე, ეს იტალიისა და პეტერბურგის საოპერო თეატრების სოლისტი, თურმე გამორჩეული ბანის მთქმელი, ფეხდაფეხ დასდევდა ხალხურ სიმღერებს, აგროვებდა სხვადასხვა ვარიანტებს მათი სიცოცხლე რომ გაეგრძელებინა. საგალობლების შესწავლას, შენახვას და მერე ისევ თავიდან შეხსენებას აადვილებდა მათი ჩაწერის სპეციფიკური ფორმა - ნოტები, ანუ ე. წ. “ნემვები”, ცნობილია ისიც, რომ ყველა მომღერალმა გალობა არ იცოდა, ეს კიდევ ცალკე ხელოვნება იყო - მემკვიდრეობით მიღებული... ამ მუსიკაში ცხოვრობენ ანჩისხატის გუნდის ის მუსიკოსები, რომლებსაც ძველი მუსიკა “შიგნიდან” ესმით, რომლებმაც იციან, რომ პოლიფონია წინაპართა გზის გაგრძელებაა. იქნებ ამიტომაცაა, რომ გურულ, მეგრულ, იმერულ, კახურ... თუნდაც “ცე დურ” “მრავალჟამიერს” ისე მღერიან, მათ ხმებში იმხელა სიდიადეს გრძნობ, ღრმად ამოსუნთქვას რომ ვერ გაბედავ. “მრავალჟამიერის” გაშლილ ჟღერადობაში ზევითა ხმები, რომლებიც გაბმული ბანის ფონზე ერთიმეორეს ხან ენაცვლებიან, ხან პარალელურად მიჰყვებიან და ქმნიან კონტრაპუნქტულ შეხამებებს, შესრულებაში ლამაზი ტემბრით მაღლდება, სიმღერის სადღესასწაულო ხასიათი კი მსმენელისთვის გადამდები ხდება... უსმენ და ხვდები, ამ მუსიკოსების შესრულება იმით არის გამორჩეული, რომ მათ სიმღერაში დაცულია ავთენტურობა, რასაც მოაქვს იმ არქაული ეთნომუსიკის სხვა სიღრმე, სხვა ძალა, სხვა ენერგია და, შემოაქვს სულ სხვა სული... “ხალხური მუსიკა ფესვია ჩვენთვის და ამისთანა ბიჭები უსხამენ წყალს. ისინი კარგად გრნობენ რას ქომაგობენ....” - დარბაზში ფოლკლორისტები ჩურჩულებენ.

ნაცნობი აჭარული ფრაზები. “ვოისა რერას” მღერიან. ერთდროს ეს სიმღერა დაკარგული იყო, აჭარაშიც არავის ახსოვდა თურმე, მაგრამ მაინც გადარჩა უნიკალურ ჩანაწერებში მოხვედრით. აჭარულიდან მერე უკვე ძველ კახეთში გადავდივართ სიმღერებით “მუშური”, “მოლხინი ვნახოთ”, ჰარმონია იცვლება და ხვდები, რაღაც ხელგაშლილი, მადლიანი და ბარაქიანი ბგერებით თბები, გეუფლება დიდი სიმშვიდე და იქვე ვიქრობ, რომ ამ განწყობილებას ვერაფერი დაარღვევს კრიმანჭულის კორიანტელის გარდა - გურულების ხასიათივით ამოუცნობი, მოუსვენარი, ჩახლართული და ხმაშეწყობილი სიმღერა. ის, რომ კარგი გურული მომღერალი ერთსა და იმავე სიმღერას ორჯერ ერთნაირად არასდროს იმღერებდა, ასჯერ რომ ემღერა, ასჯერვე სხვადასხვა იმპროვიზაცია გამოუვიდოდა, ეს კარგად იციან ანჩისხატის გუნდში, მათ მიერ ნათქვამმა კრიმანჭულებმა - “სუფრის ხელხვავი”, “ჩვენ შვიდობა”, “ჩოჩხათურა” მსმენელები მონუსხა, “უყურე შენ, კარგად კი მოინდომეს!” - ასე ხუმრობაში მოუწონეს ნამღერი. გუნდში მეკრიმანჭულე ლევან ვეშაპიძეა, გამყივანი დავით ზათიაშვილი. იმპროვიზაციისას ლევან ვეშაპიძემ კონტრაპუნქტში ვერტიკალური იოდლის ისეთი კორიანტელი დააყენა, რომ ჩემთვის გავიფიქრე, ხმათა ლინეარულ მოძრაობაში ბანები ტონალობას არ ასცდნენ მეთქი, მაგრამ კრინის ოპოზიციურ ხმაურს მაგრად გაუძლეს. მერე შემოიამხანაგეს შემდეგი ხმა, შემხმობარი მყარად დგას, გამყივანი კი თავისას არ იშლის... კრიმანჭული აგრძელებს ნახტომებს, თითქოს გამყივანის ყივილი უნდა რომ დაფაროს. ამ მაღალ ფიგურატიულ იოდლს თუ ყველა ხმა არ ესმის, ანუ სხვას არ დაუგდებს ყურს, იმპრივიზაციას ვერ ააგებს. ეს ჰარმონიული ქაოსი სანამ შეხმობილად დასრულდება, მანამდე რობერტ გოგოლაშვილის სიტყვები მახსენდება: “ლევანი ისეთი მეკრიმანჭულეა უკეთესს ვერ ინატრებ, შეყვარებულია გურულ სიმღერებზე და ჩანაწერებსაც აგროვებს.” გურული ნადურის ინტონაცია ამ კონცერტის კულმინაციური ფინალი იყო, თუმცა ფინალამდე იმღერეს რაჭული “ლერწამისა ხესაო” სვანური ჭუნირის თანხლებით - მაისურაძისეული ვარიანტი, იმერული ფოლკიდან “რეჯერ ხანი”, მეგრულიდან “ჩქიმ ტორონჯი”, სვანური “მეჩიყარა”, აფზახური “არკუაშაგა”...

ამ დღეებში ანჩისხატის გუნდის “ძლიერ ხმებს” ვინც მოუსმინა, მას გაუმართლა...

ეს გუნდი, რომელიც 1987 წლიდან არის ცნობილი, თავდაპირველად მხოლოდ ფოლკლორის კვალში იდგა და მის მუსიკალურ კონცეფციად უცვლელად დარჩა სხვადასხვა კუთხის საშემსრულებლო მანერის აღდგენა და ძველ ქართულ, არატემპერირებულ ბგერათწყობაში მოქცევა. დიდ სცენაზე პოლიფონიის გატანამდე, მათ ბიოგრაფიაშია ის მადლიანი ფაქტი, როცა გუნდი 90-იანი წლებიდან ანჩისხატის ტაძარში იწყებს გალობას და მართლმადიდებლურ ღვთისმსახურებაში ძველი ქართული გალობის ნიმუშებს აღადგენს. მერე და მერე მოდის ევროპული ტურნეები, ფრაიბურგ-უნსტრუტზე “MONTALBANE”-ს ცნობილ ფესტივალზე “ფენომენალური წარმატება” და... აგვისტოს ომის დროს ედინბურგის ფესტივალზე ანჩისხატის გუნდს პირველად გააქვს ქართული მრავალხმიანობა. ფესტივალის დირექტორი ჯონათან მილსი ფესტივალის ოფიციალურ საიტზე, რეკლამას უკეთებს ანჩისხატის გუნდს და ყველას ურჩევს “ფრინჯის” პროგრამაში საქართველოდან “ამ ძლიერ ხმებს” მოუსმინონ. Greyfriar-ის ტაძარში ანჩისხატის გუნდს უცხოელები ფეხზე წამოუდგნენ, “THE HERALD”-სა და “THE GUARDIAN”-ში მათი ფოლკკონცერტი კრიტიკოსებმა 5 ვარსკვლავით შეაფასეს.

- ჩვენ 3 წელია თბილისში კონცერტი არ გაგვიმართავს. საერთოდ, ტრადიციად გვქონდა ყოველი წლის ბოლოს გვემღერა, საანგარიშო კონცერტივით გაგვეკეთებინა, ანუ გამოცდას ვაბარებდით ხოლმე ქართველ მსმენელს. მოლოდინიც არსებობდა, სულ გვეკითხებოდნენ: რატომ არ გამოდიხართ? როდის გამოხვალთ? აქაური კონცერტი ჩვენთვის ყოველთვის საპასუხისმგებლოა, ის სიმღერები, რომლებიც უცხოეთში გაგვაქვს, ჯერ ქართვლი მსმენელის წინაშე უნდა შევამოწმოთ, მრავალფეროვნად წაროვაჩინოთ ხალხური სიმღერა და მისი სიდიადე, - ამბობს ანჩისხატის გუნდის წევრი დავით შუღლიაშვილი.

ეს კონცერტი იყო გუნდის განახლებული პროგრამა, იმ ძველი საგანძურიდან აღებული შედევრები, რომელსაც სიძველისგან არც ფერი გადასვლია და არც დროში დაუკარგავს აქტუალობა. ხალხური პოლიფონიზმის ასეთი პრეზენტაცია განაპირობებს იმას, რომ ქართული ტრადიციული მუსიკა სწორად აღსაქმელი ხდება და ჩანს ისიც, თუ რამხელა ძალა აქვს კონცერტის ხარისხზე გარემოს.

ჰერსტი ახალითა და ძველით

დემიენ ჰერსტის ახალი ნამუშევრების გამოფენა ლონდონის მუზეუმში - უოლესის კოლექცია (Wallace Collection) 2009 წლის ოქტომბრიდან 2010 წლის იანვრამდე გამოიფინება. ცნობილი ავტორის ნაწარმოებები ერთიანდება ციკლში, რომელსაც თავად მხატვარი ცისფერს უწოდებს. ამის შესახებ ინფორმაციას სააგენტო Bloomberg-ი ავრცელებს.

ლონდონის უოლესის მუზეუმი ძველი ოსტატების არაჩვეულებრივ კოლექციას ფლობს . იქ დაცულია ისეთ ავტორთა ნამუშევრები, როგორებიც არიან: რემბრანდტი, ჰალსი, ტიციანი, ველასკესი და ა.შ. ასევე, აღმოაჩენთ ძველი იარაღის, ავეჯისა და ფაიფურის უნიკალურ კოლექციას. ჰერსტი ამტკიცებს, რომ მან საკუთარი ნამუშევრების გამოსაფენად აირჩია მუზეუმი, სადაც საოჯახო კოლექცია ინახება, რომელიც სხვა სამყაროა .

24 აპრილს, ამ სააგენტოსთვის მიცემულ ინტერვიუში ჰერსტმა აღნიშნა, რომ მისი სურვილია თავი აარიდოს ლონდონის დიდ მუზეუმებს: ასეთი გამოფენები კაცმა სიცოცხლის ბოლოს უნდა მოაწყოს, მე კი მხოლოდ 43-ის ვარ .

აღსანიშნავია, რომ ამჟამად ჰერსტის ნამუშევრების რეტროსპექტიული გამოფენა კიევში მიმდინარეობს. მისი ორგანიზატორია ვიქტორ პინჩუკი.

1961 წლის 13 აგვისტოს შემდეგ

ბერლინის კედლის დანგრევიდან 20 წელი სრულდება - კედელი თავიდან იხატება

ია ვეკუა

25 აპრილიდან 3 მაისის ჩათვლით გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიწვევით სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის ჟურნალისტები ბერლინში ვიმყოფებოდით. ვიზიტი ძირითადად კულტურის სფეროს მოიცავდა. 24 საათი ამ პროექტის შესახებ რამდენიმე წერილს შემოგთავაზებთ. პირველი კი ბერლინის კედელს შეეხება, რადგან წელს ბერლინის კედელი თანამედროვე გერმანიისთვის ყველაზე აქტუალური თემაა.



ბერლინის კედელს ხელახლა ხატავენ.

ჩვენი ვიზიტის პირველი დღე ქალაქის თანამედროვე არქიტექტურასა და ურბანული დაგეგმარების გაცნობას დაეთმო. პირველად სწორედ მაშინ გახდა თვალშისაცემი, რომ კედლის დანგრევიდან ორი ათეული წლის შემდეგაც ის მაინც რჩება ამ ქალაქის მთავარ არტერიად, უხილავ საზღვრად, იმ ნიშნულად, რომელიც ბერლინს და მასთან ერთად ბერლინელებსაც უნებლიეთ კვლავ ორად ჰყოფს.

ცხადია, ეს პირველ რიგში ქალაქის არქიტექტურას ეხება. სულაც არაა საჭირო გიდის კომენტარი - საკმარისია ოდნავი ყურადღება, რომ მიხვდე მოცემულ მომენტში ყოფილი აღმოსავლეთ ბერლინის ტერიტორიაზე იმყოფები თუ დასავლეთში. ამ შემთხვევაში არქიტექტურა თავად გაძლევს მინიშნებას: თუ დასავლეთისკენ ტიპიური ევროპული საცხოვრებელი სახლები თუ სხვა ნაგებობები მოჩანს, აღმოსავლეთ ნაწილში აშკარად ჭარბობს მხოლოდ საბჭოთა არქიტექტურისთვის დამახასიათებელი უსახური ფასადები და ქუჩების დაგეგმარება.

თანამედროვე ბერლინის არქიტექტურა ისევე, როგორც მისი უახლესი ისტორია რამდენიმე ნაწილად იყოფა: მეორე მსოფლიო ომამდე, ომის შემდეგ, კედლის აღმართვამდე და კედლის დანგრევის შემდეგ. ცხადია ამ ყველაფრის მთავარი პერსონაჟი კედელია, რომელიც თავადვე წარმოადგენს ომის შემდგომ წარმოქმნილ მოვლენას. 2009 წელს ბერლინის კედლის დანგრევიდან ზუსტად 20 წელი სრულდება. ამ თარიღის აღსანიშნავად ბერლინში განსაკუთრებით ემზადებიან. ამის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ, მანამდე კი ქალაქის იმ რაიონში გადავინაცვლოთ, სადაც კედლის ყველაზე დიდი ფრაგმენტია შემორჩენილი და სადაც კედლის ასაშენებლად პირველი აგურები დაიდო.

ბერნაუერ შტრასეს მაცხოვრებლები პირველი ბერლინელები იყვნენ, ვის თვალწინაც 1961 წლის 13 აგვისტოს ღამეს მესაზღვრეებმა აგურის კედლის აღმართვა დაიწყეს. აქ დღესაც დგას ხუთსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი, რომელიც საბჭოთა სექტორში დარჩა, მისი ტროტუარი კი ფრანგულ სექტორში მოექცა. აღმოსავლეთ ნაწილში დარჩა წმინდა სოფიას ტაძარიც (ნაგებობა 80-იან წლებში განადგურდა), მისი მრევლი კი დასავლეთში მოექცა. დღეს აქ კედლის მემორიალური მუზეუმია, ხოლო ყოფილი კედლის გაყოლებაზე გამოფენილ ისტორიულ კადრებში მთელი მაშინდელი ტრაგიზმის ამოკითხვა შეიძლება: მესაზღვრეები კედელს აშენებენ, მოსახლეობის ნაწილი მათი ბრძანებით ცემენტს და აგურს ეზიდება, იქვე ბავშვები დგანან, ვისთვისაც ეს სანახაობა გასართობი უფროა. გავა წლები და სწორედ ამ ბავშვებიდან ერთ-ერთი სამმეტრიანი კედლის მიღმა გადასვლას მოინდომებს, სასჯელის სახით კი მესაზღვრის კალაშნიკოვის ჯერს მიიღებს... მეორე ფოტოზე უკვე აშენებული კედლის ირგვლივ განვითარებული სცენის კადრს ვხედავთ: დასავლეთის მხრიდან კედელთან რამდენიმე მოხუცია ატუზული, ფეხის წვერებზე იწევიან და ჭოგრიტის მეშვეობით ცდილობენ თვალი აღმოსავლეთში დარჩენილ შვილებს შეავლონ. ერთი მოხუცი კი კედელთან ყვავილებს აწყობს - კედლის იქითა მხარეს დარჩენილ სასაფლაოზე მისი მეუღლეა დაკრძალული...

ბერნაუერ შტრასე მთელ ბერლინში ერთადერთი ადგილია, სადაც დღემდე მემორიალის სახითაა დატოვებული სასაზღვრო პუნქტის ყველა ნაგებობა. აქვეა ბეტონის ბილიკი, რომლითაც კედელზე გადაძრომის მსურველები პირდაპირ საპყრობილესკენ მიჰყავდათ, ბოძებზე კი სათვალთვალო პროჟექტორებია შემორჩენილი. მემორიალური ანსამბლის მთავარი ნაგებობა თანამედროვე მუზეუმია, რომელიც ქვეყნისა და თვითოეული ადამიანის პირად ტრაგედიას სიტყვა-სიტყვით აღწერს. აქვე შესაძლებელია 80-იან წლებში დასავლეთ გერმანელი ჟურნალისტების მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმის ნახვა. ფილმი ვერტმფრენიდანაა გადაღებული და ბერნაუერ შტრასედან დაწყებული მრავალ კილომეტრიანი კედლის პერიმეტრზე გვამოგზაურებს. ამ წერტილიდან ყველაფერი სხვანაირად ჩანს, თითქოს მთელი ქალაქი ხელის გულზეა გადაშლილი, კედელი კი დანით გადასერილი ჭრილობასავითაა. დასავლეთის მხრიდან მას სხვა დანიშნულება მოუძებნეს და ცნობილი ბერლინის კედლის გრაფიტი შექმნეს, მოპირდაპირე მხარეს კი კედელი საგულდაგულოდაა შეთეთრებული - თითქოს უზრუნველი და ნათელი მომავლის სიმბოლოდ. ვერტმფრენიდან კარგად ჩანს კალაშნიკოვებით შეიარაღებული მესაზღვრეების სათვალთვალო პუნქტები, საიდანაც დასავლეთის მხრიდან გამოჩენილ ვერტმფრენს საბრძოლო მზადებით ხვდებიან, მათგან მოშორებით მდგარი ადამიანები კი თანამოძმეებს ხელს მალულად უქნევენ.

კედლის ნარჩენების კიდევ ერთი ცენტრალური ადგილი ქალაქის ცენტრში, ფრიდრიხ შტრასეზე არსებული გამშვები პუნქტი, ცნობილი ჩარლის ჩეკპოინტია. საბჭოთა და ამერიკულ სექტორებს შორის მთავარი გასასვლელი სწორედ აქ მდებარეობდა. ჩეკპოინტის ნაწილი დღემდეა შემორჩენილი, რაც არა მხოლოდ მემორიალის, არამედ ტურისტების მიზიდვის ფუნქციასაც ასრულებს. აქ თქვენ რუსი ანუ საბჭოთა ჯარისკაცის მკაცრი სახეები გეგებებათ, სურვილის შემთხვევაში კი პასტორტში სწორედ ისეთ შტამპს ჩაგირტყამენ, რომელიც დასავლეთ ბერლინიდან აღმოსავლეთისკენ გადასვლის უფლებას იძლეოდა. იქვე არსებულ მუზეუმში კი ფოტო და ვიდეო მასალის გარდა შესაძლებელია ნახოთ რა საშუალებით ცდილობდნენ საბჭოთა სექტორში დარჩენილი ბერლინელები კედლის სიმაღლის დაძლევას: კიბე, კაუჭი, პარაპლანი, საჰაერო ბურთი, ხელნაკეთი კატაპულტი და ასე შემდეგ.

ჩვენი თანმხლები გიდი ვოლფგანგ კლარე აღმოსავლეთ ბერლინის ტერიტორიაზე იმ სახლს გვიჩვენებს, სადაც დაიბადა. შემდეგ კი თავის ისტორიას გვიამბობს: ჩემი ოჯახი აღმოსავლეთ სექტორში მოხვდა, დანარჩენი ნათესავები კი დასავლეთში. მახსოვს, როგორ ვდგებოდით ხოლმე სახლის ფანჯრებთან და ჭოგრიტის მეშვეობით ვცდილობდით კედელთან მდგომი ახლობლებისთვის თვალის შევლებას. ერთხელ თავად გავხდი იმის მოწმე, როგორ ცდილობდა სამი ახალგაზრდა კედელზე გადაძრომას, ერთერთი კი ჩემს თვალწინ დახვრიტეს. ცხადია, ამის შემდეგ ამ გზით საზღვრის გადაკვეთაზე აღარ მიფიქრია და დასავლეთში მოსახვედრად სხვა გზას ვეძებდი. 80-იანი წლების დასაწყისში დასავლეთიდან ტურისტად გადმოსული გოგონა გავიცანი, რომელთანაც ფიქტიური ქორწინება გავაფორმე და შემდეგ მასთან ერთად დასავლეთში გადავედი. გფრ-ს მთავრობა ჩემნაირებს ძალიან კარგად გვიღებდა. მეორე დღესვე მომცეს ყველა საჭირო დოკუმენტი, ორიოდე დღეში კი უკვე სამსახურიც მქონდა. ორი კვირის შემდეგ თავს უკვე სახლში ვგრძნობდი, არ არსებობდა არანაირი წინააღმდეგობა, რომ ამ საზოგადოების წევრი გავმხდარიყავი. ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი დღეები იყო - მე ნამდვილ გერმანიაში ვიწყებდი ცხოვრებას.

ვოლფგანგ კლარესგან განსხვავებით უამრავ ადამიანს ნაკლებად გაუმართლა. მათი მცდელობა კედლის მიღმა მოხვედრილიყვნენ, როგორც წესი ტრაგიკულად მთავრდებოდა - ისინი ან მესაზღვრეების მსხვერპლი ხდებოდნენ ან სამმეტრიანი სიმაღლიდან გადახტომისას სასიკვდილოდ შავდებოდნენ. ბერლინში მათი ხსოვნისადმი მიძღვნილი რამდენიმე მემორიალია. მათ შორისაა ბრანდერბურგის კარიბჭის უკან კედლის ადგილას აღმართული თეთრი ჯვრების რიგი, რომლებზეც თვითოეული მათგანის სახელი და გარდაცვალების თარიღია მითითებული - ძირითადად 1961-62-63 წლები. ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც ბერლინელები განსაკუთრებით ვერ ეგუებოდნენ ქალაქის ქუჩებზე, ტროტუარებზე, ხიდებზე, მეტროს სადგურებზე, მდინარესა და შენობებზე გამავალ ბეტონის საზღვარს. დროთა განმავლობაში კი ეს ისტერია შედარებით მინელდა, ბერლინელების ცხოვრება მეტ-ნაკლებად დაუბრუნდა სტაბილურ რიტმს და მშვიდად დაუწყეს ლოდინი იმ დღეს, როდესაც საკუთარი ავტომანქანებით კედელს გაარღვევდნენ.

■■■

2009 წლის 9 ნოემბერს ბერლინი, გერმანია და მასთან ერთად მთელი მსოფლიოც ბერლინის კედლის ნგრევის იუბილეს აღნიშნავს. ამისთვის გერმანია განსაკუთრებით ემზადება. სადღესასწაულო ღონისძიებები უკვე დაწყებულია, მათ შორისაა კედლის ფრაგმენტის იმავე სახით აღდგენა, როგორც ეს 1989 წლის ნოემბრამდე იყო. კედლის აღდგენის სამუშაოები მულენ შტრასეზე მიმდინარეობს. პროექტის ავტორია მხატვარი კანი ალავი, რომელიც კედლის დროს დასავლეთში ცხოვრობდა და საკუთარი გრაფიტიც შექმნა. ამ პროექტისთვის გერმანიის მთავრობამ 2 მილიონ ნახევარი ევრო გამოყო, კედლის მოსახატად კი მხატვრები 130-მდე ქვეყნიდან მოიწვიეს. მათ შორის არიან ისინიც, რომლებმაც კანი ალავის მსგავსად 20-30 წლის წინ კედელზე უკვე დატოვეს საკუთარი მხატვრობის კვალი, თუმცა ბევრმა მხატვარმა უარი განაცხადა პროექტში მონაწილეობაზე - ისინი ბერლინის კედლის ფრაგმენტის თუნდაც მემორიალის სახით აღდგენას ეწინააღმდეგებიან. მათი უარი ჩემთვის სრულიად გასაგებია. ამ მხატვრებმა თავის დროზე უკვე გამოთქვეს პროტესტი, მაშინ კი ამის გაკეთება გაცილებით იოლი იყო, რადგან განსაკუთრებით ემოციურ ვითარებაში უწევდათ მუშაობა. ახლა ეს ემოცია თითქოს გამქრალია, 20 წელი საკმაოდ დიდი დროა რაღაცის დასავიწყებლად, ბევრი რამის გადასაფასებლად. სამაგიეროდ გვყავს ბევრი ახალი მხატვარი, რომლებიც საკმაოდ საინტერესო თემებს გვთავაზობენ , - ამბობს კანი ალავი. ამჟამად კედელს რუსი, ბრაზილიელი და პოლონელი მხატვრები ხატავენ. ისინი აქ პირველად მოხვდნენ, შესაბამისად მათი გრაფიტიც ნაკლებად ასახავს კედლის მთელ ტრაგიზმს და უფრო მსგავსი საზღვრების წინააღმდეგ მიმართული თემატიკით იფარგლებიან...

"ჩვენი მწერლობის" დარბაზში დალი ფანჯიკიძემ საჯარო ლექცია წაიკითხა

ჟურნალ ჩვენი მწერლობის" დარბაზში პროფესორმა დალი ფანჯიკიძემ წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე - გერმანულენოვანი პოეზიის რეცეფცია საქართველოში". მოხსენებაში მან ყურადღება იმაზე გაამახვილა, თუ რამდენად ადეკვატურად არის თარგმნილი ქართულ ენაზე გოეთეს, ჰაინესა და რილკეს პოეზია. როგორც ჩვენი მწერლობის" მთავარმა რედაქტორმა როსტომ ჩხეიძემ აღნიშნა, დალი ფანჯიკიძე მრავალმხრივი მოღვაწე, შესანიშნავი მთარგმნელი და თეორეტიკოსია, რომლის მოსმენა ყოველთვის დიდად საინტერესოა. ქალბატონი დალი მუდამ ქართული კულტურის შუაგულში დგას. მას წლების განმავლობაში პროზის მთარგმნელად ვიცნობდით. ნათარგმნი აქვს ურთულესი რომანები. დღეს კი იგი განსხვავებულ ამპლუაში წარმოგვიდგება, რადგან პოეზიის თარგმნაც გადაწყვიტა. პროზის ნაცვლად, პოეზიის თარგმანიც შესანიშნავად გამოუვიდა", - აღნიშნა როსტომ ჩხეიძემ. როგორც დალი ფანჯიკიძემ განაცხადა, მთარგმნელზე დიდად არის დამოკიდებული, თუ რა შთაბეჭდილება შეექმნება მკითხველს ამა თუ იმ ავტორზე. თუმცა პოეზიის თარგმანის კრიტიკას ჩვენთან ნაკლები ყურადღება ექცევა. მისივე თქმით, საქართველოში გერმანულენოვანი პოეზიის რეცეფციის (ანუ ადაპტაციის, შეთვისებისათვის) განსაკუთრებით საინტერესო მასალას გოეთეს, ჰაინესა და რილკეს ლექსები იძლევა. ამ მხრივ, ქართულ პოეზიაში ყველაზე ცუდი ბედი გოეთეს ხვდა წილად, რომლის ლექსების თარგმანში პათოსი, ინტონაცია და ხმოვანება უმთავრესად დარღვეული და დაკარგულია. ამის გამო მკითხველს შესაძლოა ძალიან სამართლიანად შეეპაროს ეჭვი გოეთეს დიდ პოეტობაში. დალი ფანჯიკიძის თქმით, ქართულ ენაზე გოეთეს მთარგმნელებიდან ოთარ ჯინორია უნდა გამოირჩეს, რომელმაც მისი პოეზა ურითმოდ თარგმნა და გაუმართლა. მისივე თქმით, გოეთეზე უკეთესი ბედი საქართველოში ჰაინეს ერგო. თუმცა მის შემთხვევაში მდარე თარგმანებიც გამოერევა. რაც შეეხება რილკეს, მისი ლექსების ქართულ ენაზე თარგმნა შედარებით გვიან, მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო. რილკეს პოეზიის ქართველი მთარგმნელებიდან დალი ფანჯიკიძემ განსაკუთრებით ვახუშტი კოტეტიშვილი გამოარჩია, რომელმაც ევროპული ლექსების თარგმნას ნაყოფიერად მოჰკიდა ხელი. დალი ფანჯიკიძემ ფელიქს ბრაუნის ის ლექსებიც წაიკითხა, რომლებიც ქართულ ენაზე თავად გადათარგმნა. დალი ფანჯიკიძის საჯარო ლექციაზე მოსაზრებები გამოთქვეს რენე კალანდიამ, ემზარ კვიტაიშვილმა, ლია სტურუამ, შოთა ბოსტანაშვილმა, რუსუდან ღვინეფაძემ. როგორც მათ ერთხმად აღნიშნეს, რომ დალი ფანჯიკიძემ მთარგმნელობითი ნიჭი კიდევ ერთხელ წარმოაჩინა და დაადასტურა, რომ ფართო ინტერესების მქონე მრავალმხრივი და საინტერესო შემოქმედია.

მედიანიუსი

თბილისს ამბროჭიო მაესტრი და პაატა ბურჭულაძე ეწვივნენ

მსოფლიო საოპერო ხელოვნების გოლიათი ამბროჯიო მაესტრი თბილისშია.

თბილისში ჩამოვიდა ცნობილი იტალიელი ბარიტონი ამბროჯიო მაესტრი. იგი საქართველოში ავსტრიიდან პაატა ბურჭულაძესთან ერთად წუხელ ჩამოფრინდა. მაესტრო მონაწილეობას მიიღებს საქველმოქმედო კონცერტში, რომელიც დღეს ოპერის თეატრში გაიმართება. კონცერტიდან შემოსული თანხა პაატა ბურჭულაძის ფონდ "იავნანაში" გადაირიცხება. როგორც პაატა ბურჭულაძემ განაცხადა, საქველმოქმედო კონცერტზე გაკეთდება ანგარიში, თუ რას მოხმარდა 3 მარტს გამართული ტელემარათონიდან შემოსული თანხა. მისივე თქმით, გათვალისწინებული იყო სამი ოჯახითვის დახმარება, მაგრამ აქციის შედეგად შემოსული თანხით ბინით სულ შვიდ ოჯახს დაეხმარებიან. გარდა ამისა, ფონდს ერთი ბინა საჩუქრად გადასცეს.

მედიანიუსი

მისაღები გამოცდებისთვის რეგისტრაცია 29 236-მა აბიტურიენტმა გაიარა

2009 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის რეგისტრაცია 29 236-მა აბიტურიენტმა გაიარა. გამოცდების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში საბაკალავრო და უმაღლეს პროფესიულ პროგრამებზე წელს 27 624 ვაკანსია არის გამოცხადებული. სტუდენტების მიღების უფლება საქართველოს მასშტაბით 60 უმაღლეს სასწავლებელს აქვს. მათ შორისაა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი და სხვა.

მედიანიუსი

გალმა ნაპირის ოქროს შროშანი და სხვა...

ᲑᲔᲚᲐ ᲩᲔᲙᲣᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

აფხაზეთიდან დევნილი პატარა ბიჭი თბილისიდან მამის საძებნელად აფხაზეთში მიდის. ის ფიქრობს, რომ თუ მამას მოძებნის და დაიბრუნებს, შეძლებს, მოაგვაროს ყველა ის პრობლემა, რაც მის გარშემო იქმნება. მამა არის მისი იდეა, მისი გადარჩენის მიზანი, თუმცა მამა მას ვიზუალურადაც კი არ ახსოვს.

რეჟისორ გიორგი ოვაშვილის ფილმი „გალმა ნაპირი" იმ ბავშვზე გვიამბობს, რომელიც, მამის ძებნისას, პირველ რიგში, საკუთარ თავს ეძებს.

ვისბადენის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპული ფილმების მე-9 ფესტივალზე goEast „გალმა ნაპირი" მთავარი პრიზით - „ოქროს შროშანით" დაჯილდოვდა. ფილმს ასევე გადაეცა კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ფედერაციის „ფიპრესის" პრიზი.

ფესტივალის ფარგლებში ფილმი სამჯერ იყო ნაჩვენები, მათ შორის მაინის ფრანკფურტის კინოს მუზეუმში. ჟიურის პოლონელი მსახიობი და რეჟისორი ჯერზი შტერი ხელმძღვანელობდა, ხოლო ერთ-ერთ წევრად მიწვეული იყო ქართველი რეჟისორი და სცენარისტი ირაკლი კვირიკაძე.

გიორგი ოვაშვილი: ბავშვის თვალებით დანახულმა ომმა ძალიან ააღელვა მაყურებელი. ამ კონფლიქტის შესახებ ძალიან ცოტა ინფორმაცია აქვთ ევროპაში და შესაბამისად, ბევრი შეკითხვები იყო ამ ომის ისტორიის, მიზეზების, ახლანდელი მდგომარეობის შესახებ. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ ჩვენებას გერმანიაში მცხოვრები ქართველებიც ესწრებოდნენ, ერთ გოგონას ფილმის დამთავრების შემდეგ გულიც კი წაუვიდა ემოციებისგან.".

რეჟისორის თქმით, დღეს როცა ფესტივალებზე ქართული კინოს დეფიციტია, ახალი ფილმის გამოჩენა დიდ ინტერესს იწვევს, როგორც ჩანს, ევროპელ მაყურებელს ქართველ კინემატოგრაფისტებზე ხელი არ ჩაუქნევიათ.

„გალმა ნაპირი" უკვე მეორე ქართული ფილმია რომელიც „ოქროს შროშანს" იღებს. 2006 წელს ამ პრიზის მფლობელი ლევან ზაქარეიშვილის „თბილისი, თბილისი" გახდა.

„გალმა ნაპირის" ევროპული პრემიერა 7 თებერვალს ბერლინის ფესტივალზე შედგა, სადაც ის საკონსკურსო ჩვენებაში მონაწილეობდა სექციაში „ახალი თაობა".

ფილმი ასევე მონაწილეობდა ბელგრადის საერთაშორისო კინოფესტივალის კონკურსში „ევროპა ევროპის გარეთ", სადაც ჟიურის სპეციალური აღნიშვნა დაიმსახურა კინოს არსის განსაკუთრებული შეგრძნებისთვის

„გალმა ნაპირი" აფხაზეთის ომის თემაზე შექმნილი ფილმია, თუმცა კი, რეჟისორის ამოცანა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შეფასება არ ყოფილა. ფილმში ვერც საომარ მოქმედებებს შეხვდებით. რეჟისორის აზრით, ომის პრობლემატიკის საჩვენებლად სულაც არ არის საჭირო ბატალური სცენების გადაღება, მისი მიზანი იმ შედეგების ჩვენება იყო, რაც ამ ალოგიკურ ომს მოჰყვა. ფილმში მოქმედება ხდება ომის დასრულებიდან რამდენიმე წლის შემდეგ. მთავარი გმირი 11 წლის ბიჭია, რომელიც იმ თაობის წარმომადგენელია, ვისაც ომის გამო ბავშვობა დაეკარგა და ჯერ არც იმხელაა, რომ კაცად იგრძნოს თავი.

გიორგი ოვაშვილი: მინდოდა მეჩვენებინა ამ პატარა ადამიანის ბრძოლა, რომელიც ცდილობს, მოძებნოს თავისი ადგილი, გაიზარდოს და კაცად ჩამოყალიბდეს. ეს არის ერთი ტიპიური მაგალითი, რომლის ჩვენებითაც შევეცადეთ, მთელი ამ კონფლიქტის უაზრობა გვეჩვენებინა".

ამ როლისთვის 12 წლის თედო ბექაური რეჟისორმა სოფელ ორბეთში იპოვა". პატარა მსახიობის თამაში ბელგრადის ფესტივალზე პრიზით აღინიშნა.

ფილმის გადაღებები საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში მიმდინარეობდა. მიუხედავად იმისა, რომ ძირითად ნაწილში მოქმედება აფხაზეთში ხდება, გადამღებმა ჯგუფმა აფხაზეთის ტერიტორიაზე გადასვლა და იქ გადაღებების წარმოება ვერ შეძლო. მართალია, რეჟისორის დიდი სურვილი იყო, აფხაზი პერსონაჟები აფხაზ მსახიობებს ეთამაშათ, მაგრამ დიდი მცდელობის მიუხედავად, აფხაზი მსახიობები ამ თანამშრომლობაზე არ წამოვიდნენ. ფილმში აფხაზურენოვანი ეპიზოდებია, რომელთა ნაწილი აფხაზურ ენაზე გადაიღეს (ქართველ მსახიობთა უმრავლესობამ შეძლო, აფხაზურენოვანი დიალოგები შეესწავლა), მათ კონსულტაციას უწევდა აფხაზური ენის სპეციალისტი ესმა კოკოშკირი.

ფილმში მრავალი სათავგადასავლო ეპიზოდია ჩადებული, რაც მაყურებელს მძაფრ ემოციურ მომენტებს უქმნის. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ასევე იმიტომაც, რომ ტექნიკურად ფილმი ზედმიწევნით მიახლოებულია მსოფლიო სტანდარტებს, გიორგი ოვაშვილი თვლის, რომ კომერციულად მომგებიანი პროდუქტი შექმნა. ამავე დროს, ეს ფილმი არც რომელიმე ასაკობრივ ზღვარზეა გათვლილი და არც კონკრეტულად, რომელიმე ეროვნების მაყურებელზე. რეჟისორი ასევე შეეცადა, ფილმი ვიზუალურადაც ლამაზი ყოფილიყო და თხრობის მიღმა, ბევრი ლამაზი კადრი ეჩვენებინა. ოპერატორად გიორგი ოვაშვილმა ირანელი შაჰრიარ ასსადი მოიწვია, ასევე ირანელმა სპეციალისტმა იმუშავა ხმის რეჟისორადაც. გარდა ამისა, გადასაღები და ხმის ტექნიკაც ირანიდან იქირავეს.

ევროპელებისაგან განსხვავებით ქართველ მაყურებელს გიორგო ოვაშვილის ფილმი ჯერ არ უნახავს. სავარაუდოდ ფილმის პრემიერა მაშინ შედგება, როცა თბილისში საპროტესტო აქციები დასრულდება და კინოთეატრები ნორმალურ ფუნქციონირებას დაიწყებენ.

გამოთხოვება გაიანესთან

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა გაიანე ხაჩატურიანი,

გაიანე, ასე მოიხსენიებდნენ მას თბილისში, ერევანში, ყველგან, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, სადაც მისი მხატვრობა უყვართ და აფასებენ.

თბილისში დაიბადა, ცხოვრობდა და გარდაიცვალა. სიყვარულით გარემოცული, თავადაც უხვად გასცემდა სიკეთეს. გაიანეს არ სჭირდებოდა არც ტიტულები, არც ჯილდოები. მისი მთავარი სტიმული სიყვარული, ღვთით ბოძებული შთაგონება იყო.

გაიანეს ოფიციალური ბიოგრაფია რამდენიმე სტრიქონით შემოიფარგლება - დაიბადა თბილისში 1942 წლის 9 მაისს. სწავლობდა სამხატვრო სკოლაში (1955-1958). გამოფენებში მონაწილეობდა 1963 წლიდან. 1982 წლიდან იყო საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი.

გაიანეს მასწავლებელი მისი გული იყო. იყვნენ ადამიანებიც, ვისაც აფასებდა, არ ივიწყებდა მისი მხატვრად ჩამოყალბების პროცესში გაწეული ღვაწლისთვის. ერთ-ერთი მათგანი, სამხატვრო სკოლის მასწავლებელი გ. ქურდიანი იყო. მის გაკვეთილებს მუდამ მადლიერებით იხსენებდა. მთავარი მასწავლებელი - დიდი თბილისელი მხატვარი, ფერწერის ოსტატი ა. ბაჟბეუქ-მელიქოვია. ფართო იყო მისი მეგობართა, დამფასებელთა წრე - ე. ახვლედიანი, ს. ფარაჯანოვი, ა. ტარკოვსკი...

წლების მანძილზე მხატვარმა შექმნა საკუთარი სამყარო, ქვეყანა, ზღაპრული და მიწიერი პერსონაჟებით დასახლებული პლანეტა - "გაიანიდა", ფერწერის ზეიმი, რომელსაც ქმნიდა ფერების არაჩვეულებრივი შეხამება, წერის მანერა. ის ბავშვობიდან მოდიოდა, ბებიის ნამღერი უძველესი სიმღერიდან, დედის ალერსიდან, საკუთარი ოცნებებიდან და ხილვებიდან....

მშვენიერ, ფერადოვან, პოეტურ, მელანქოლიით, შინაგანი ტკივილით

აღსავსე სურათებზე სამუდამოდ დარჩნენ მშვენიერი ქალბატონები, უცნაური ცხოველები და ფრინველები, ულამაზესი ნატურმორტები. მისი, ზოგჯერ უცნაურსახელიანი ტილოები: "ვუალი ღვინო", "დილას: იის შრიალი. ლურჯი კაკლის ქნარის საღამო", "ფორთოხლის დღის მსვლელობა", "სპილო - მეწამული ხემი", "კარნავალი", "ქვის კამელიები", "აალებული კვიპაროსი", "ხე-მარაო", "ყვითელი ბროწეულები", სხვა მრავალრიცხოვანი კომპოზიციები, ნატურმორტები, პეიზაჟები, მხატვრის ტრაგიკული ხედვის გამოხატულება - დედისადმი მიძღვნილი სერია "რეკვიემები", გვიჩვენებენ მხატვრის აზროვნების სიღრმეს და ოსტატობას. კიდევ ერთი თემა - საყვარელი თბილისი, რომელიც მისი შთაგონების მუდმივი წყარო იყო: "მუშტაიდი - მტკვრის შრიალი", "მოსეირნე ქალაქელთა ჯარა"...

გაიანე ხაჩატურიანის ნამუშევრები წარმატებით იფინებოდა ქართველ და სომეხ მხატვართა გამოფენებზე სომხეთში, საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიაში. 2001 წელს უზარმაზარი წარმატება ხვდა მოსკოვში, "ნაშჩოკინის სახლში" გამართულ მის პერსონალურ გამოფენას. გაიანეს ტილოები დაცულია თბილისში, ერევნის თანამედროვე ხელოვნების, ამერიკის ზიმერლის მუზეუმებში, მრავალი ქვეყნის კერძო კოლექციებში.

მისი სახე, სამყარო, სული აღბეჭდილია ბაჟბეუქის მიერ შექმნილ პორტ- რეტში, მრავალრიცხოვან ფოტოებზე, დოკუმენტურ ფილმებში, უპირველეს ყოვლისა კი მის ნამუშევრებში.

გაიანე წავიდა. იგი იმ გამოჩენილ სომეხ მხატვართა რიცხვში ჩაეწერა, რომლებიც სხვადასხვა დროს სისხლხორცეულად იყვნენ დაკავშირებული თბილისთან - გ. ბაშინჯაგიანი, ე. თათევოსიანი, ჯოტო (გ. გრიგორიანი), ა. ბაჟბეუქ-მელიქოვი, ს. ფარაჯანოვი და სხვები.

ვისია გაიანე? ორ მეგობრულ ქვეყანას არ დასჭირდება მისი შემოქმედების გაყოფა - ის ორივეს ეკუთვნის. მხატვრის დიდი სამყარო მთელ მსოფლიოს მოიცავს და მიდის ადამიანების გულებთან, სადაც არ უნდა ცხოვრობდნენ ისინი..

ბევრი სტუმარი სპეციალურად ჩამოდიოდა თბილისში გაიანეს ნამუშევრების სანახავად. ახლაც, როდესაც მან სამუდამო განსასვენებელი თბილისში ჰპოვა, კვლავ ჩამოვა მრავალი ადამიანი მისი ხსოვნის პატივსაცემად, მისი ფერწერით დასატკბობად...

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის სამინისტრო
საქართველოს მხატვართა კავშირი

სპორტი

მერაბ რატიშვილი საერთაშორისო კომისარია

საქართველოს არაერთი საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ჰყოლია და ჰყავს კიდეც, ხოლო კომისარი - არასდროს. ამ დღეებში საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა მერაბ რატიშვილმა ფიბა-ევროპის მიერ ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში მოწყობილ კომისართა სემინარ-გამოცდებში მიიღო მონაწილეობა და საერთაშორისო კომისრის სტატუსი მიიღო. ამის თაობაზე უფრო დაწვრილებით გვიამბობს თავად მერაბ რატიშვილს, რომელიც ხორვატიიდან ახლახან დაბრუნდა.

მერაბ რატიშვილს ფიბა-ევროპამ საერთაშორისო კომისრის სტატუსი მიანიჭა

- ფიბა-ევროპის კომისართა სემინარ-გამოცდებს ზაგრებმა უმასპინძლა. მასში 185 ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. მათი ნაწილი მოქმედი კომისარი იყო, ხოლო ნაწილი ჩემსავით, პირველად იღებდა მონაწილეობას გამოცდებში. საქმე ის არის, რომ ოთხ წელიწადში ერთხელ მოქმედ კომისრებს გადაბარება უწევთ, რათა თავიანთი საქმიანობის გაგრძელების უფლება მიიღონ.

- მოქმედი და დამწყები კომისრებისთვის გამოცდები სხვადასხვანაირი იყო?

- არა, ყველამ ერთი და იგივე სირთულის გამოცდა ჩავაბარეთ.

- კონკრეტულად როგორი გამოცდები იყო?

- სანამ გამოცდები ჩატარდებოდა, წინა დღეს გაიმართა სემინარი, რომელზეც დეტალურად აგვიხსნეს მატჩების ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხები. განვიხილეთ სათამაშო სიტუაციები. ლაპარაკი იყო ფიბა-ევროპის ეგიდით გასამართი შეჯიბრებების დებულებებსა და სხვადასხვა დეტალებზე. მეორე დღეს კი ჩატარდა გამოცდები კალათბურთის ოფიციალურ წესებში, ფიბა-ევროპის შეჯიბრებათა დებულებებსა და ინგლისურ ენაში.

- რამდენად რთული იყო გამოცდები?

- თუ კარგად ხარ მომზადებული, რთული არაფერია. მე ამ გამოცდებითვის კარგად მოვემზადე, რისთვისაც განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი საერთაშორისო კატეგორიის არბიტრ მაკა კუპატაძეს და საქართველოს კალათბურთის ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტის უფროსს როლანდ ხომერიკს, რომელიც თავის დროზე საერთაშორისო არბიტრი იყო. ამ ადამიანების დახმარებით გავერკვიე ყველა იმ დეტალში, რომელსაც აქამდე ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდი. ეს ძირითადად სამსაჯო საკითხებია, მე კი არასდროს მიმსაჯია მოედანზე. საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში კომისრობის გამოცდილება კი მეტნაკლებად მქონდა. მომზადებისას აგრეთვე გვერდით მედგნენ ჩვენი კომისრები და მსაჯი-მდივნებიც. ასე რომ, ეს მათი წარმატებაცაა.

- გამოცდების შედეგები ზაგრებშივე გაიგეთ?

- არა, შედეგები ფიბამ 10-12 დღის შემდეგ გამოაქვეყნა და მე ეს თბილისში შევიტყვე. 185 მონაწილიდან 169-მ ჩააბარა გამოცდა.

- რატომ გადაწყვიტეთ საერთაშორისო კატეგორიის კომისრობა?

- სურვილი ადრეც მქონდა, მაგრამ თავს ვიკავებდი, რადგან ვფიქრობდი, რომ ჯერ სათანადოდ მზად არ ვიყავი. საბოლოოდ რომ გადავწყვიტე საერთაშორისო კომისრობა, ამაში საქართველოს კალათბურთის ხელმძღვანელობამ ითამაშა მთავარი როლი. კონკრეტულად პრეზიდენტმა ბესიკ ლიპარტელიანმა და ვიცე-პრეზიდენტმა ლაშა ძიძავამ მირჩიეს, თითქმის მაიძულეს, რომ ეს ნაბიჯი გადამედგა. გადაწყვეტილებაც, ასე ვთქვათ, კოლექტიურად მივიღეთ.

- ახლა ალბათ უკვე ელოდებით საერთაშორისო დანიშვნებს...

- ეგ უკვე ფიბა-ევროპის გადასაწყვეტია, როდის და რომელ თამაშებზე გამგზავნის კომისრად. მსაჯების შემთხვევაში ვიცი, რომ 20-30 დღით ადრე იღებენ შეტყობინებას დანიშვნის შესახებ.

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდი

ზაზა ფაჩულია კონფერენციის ნახევარფინალში სეზონის საუკეთესო კალათბურთელს დაუპირისპირდება

როგორც იცით, NBA-ს აღმოსავლეთ კონფერენციის ნახევარფინალში ზაზა ფაჩულიას ატლანტა ჰოუქსი რეგულარული სეზონის საუკეთესო გუნდ კლივლენდ კავალიერსს შეხვდება. ამ გუნდის ლიდერი ლებრონ ჯეიმსი კი რეგულარული სეზონის საუკეთესო კალათბურთელად დაასახელეს.

ლებრონ ჯეიმსი სეზონში საუკეთესოდ დაასახელეს

ლებრონმა აჯობა ისეთ ვარსკვლავებს, როგორებიც "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მსროლელი კობი ბრაიანტი და "მაიამი ჰითის" ლიდერი დუეინ უეიდია. 24 წლის ჯეიმსმა ეს მეტად ძვირფასი პრიზი მიიღო ოჰაიოს შტატში, ქალაქ ეკრონის სკოლის სპორტულ დარბაზში, სადაც ოდესღაც მისი კარიერა იწყებოდა. NBA-ს რეგულარული ჩემპიონატის ყველაზე ფასეულ მოთამაშეს 1981 წლიდან აჯილდოებენ. ლებრონი ყველაზე ახალგაზრდაა მათ შორის, ვისაც ოდესმე ასეთი პატივი რგებია. "კავალიერსის" ლიდერმა მიმდინარე ჩემპიონატში 81 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 28,4 ქულა, 7,6 მოხსნა და 7,3 გადაცემა გააკეთა. კლივლენდელებმა რეგულარულ ჩემპიონატში სარეკორდო - 66 გამარჯვება მოიპოვეს.

ლებრონი კლივლენდმა 2003 წლის დრაფტზე აიყვანა. 2003-04 წლების სეზონში ის NBA-ს საუკეთესო ახალბედად დაასახელეს, 2008 წელს კი აშშ-ის ნაკრებთან ერთად ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

ჯერჯერობით მხოლოდ ეს არის იმ კალათბურთელის პირადი მონაგარი, რომელსაც ხშირად ახალ მაიკლ ჯორდანს უწოდებენ. ამ ორ ტიტულს ამ სეზონში კიდევ ერთი დაემატა და, თუ NBA-ს სპეციალისტებს დავუჯერებთ, წელსვე ლებრონი ჩემპიონის ოქროს ბეჭედსაც მოირგებს.

ირაკლი მოდებაძის საკითხს "ჩერნომორეცი" უახლოეს ხანებში გადაწყვეტს

ირაკლი მოდებაძის ოდესის "ჩერნომორეცში" დარჩენის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშაა. ქართველი ფორვარდი უკვე ორი თვის განმავლობაში ირიცხება უკრაინულ კლუბში, თუმცა ძირითადად სარეზერვო გუნდში ირიცხება და პირველი გუნდის შემადგენლობაში ჯერ არ გამოჩენილა. ამასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა "ჩერნომორეცის" მთავარმა მწვრთნელმა ვიკტორ გრიშკომ: "მე არ ვიცი, თუ როგორ ემზადებოდა ის ჩვენთან მოსვლამდე, მაგრამ მას ყოველ კვირას რაღაც ტრავმები ემართება. მოდებაძე იმ პირობით ავიყვანეთ, რომ დავაკვირდებოდით და შემდეგ მივიღებდით გადაწყვეტილებას. ახლა ყველაფერი თავად ფეხბურთელზეა დამოკიდებული. უახლოეს პერიოდში გადავწყვეტთ, გავაფორმოთ თუ არა მასთან კონტრაქტი."

კალაძე სამეულს უმიზნებს

მილანისა და საქართველოს ნაკრების ტრავმირებულმა მცველმა კახა კალაძემ ერთ ერთ რუსულ გამოცემასთან საუბარში თავისი გუნდის ბოლოდროინდელ წარმატებებზე ისაუბრა.

ამჟამად გუნდი ბრწყინვალე სპორტულ ფორმაშია, ლამაზ ფეხბურთს ვაჩვენებთ და, რაც მთავარია, ამას შედეგი მოაქვს. ჩვენდა სასიკეთოდ, იუვენტუსს მცირე ჩავარდნა დაეწყო. ქულებს ინტერიც კარგავს, მაგრამ ჟოზე მოურინიოს შეგირდების დაწევა ძალიან ძნელი იქნება. მიუხედავად ამისა, ბოლომდე ვიბრძოლებთ. ჩვენ ერთი მიზანი გვაქვს - აუცილებლად უნდა მოვხვდეთ იტალიის ჩემპიონტის სამეულში. ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში არ გვითამაშია, რაც ჩვენთვის დიდი დანაკლისი იყო. ამავე დროს მიმაჩნია, რომ ჩემპიონთა ლიგაც ნაკლებად მიმზიდველი გახდა. ის, რომ ჩემპიონობის შანსი თითქმის დავკარგეთ, იმის მიზეზიცაა, რომ მთელი სეზონის განმავლობაში წამყვანი ფეხბურთელები ტრავმებმა გააწამა. ცხადია, მომავალ სეზონში გუნდში ცვლილებები იქნება. განსაკუთრებით ეს დაცვის ხაზს შეეხება. მომავალ სეზონში მინდორზე ვერ ვიხილავთ პაოლო მალდინის, რომელმაც კარიერის დასრულება გადაწყვიტა. ჯერ გაურკვეველია, შეძლებს თუ არა მინდორზე დაბრუნებას ალესანდრო ნესტა, რომელმაც ზურგის უმძიმესი ტრავმა მიიღო. ცვლილებები ნახევარდაცვაშიც იგეგმება, მაგრამ ვის ყიდვას აპირებენ კლუბის მესვეურები, ეს ჩემთვის უცნობია , - თქვა კახა კალაძემ.

"ბორჯღალოსნები" კვლავ მეცამეტე ადგილზე არიან

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა მსოფლიო რეიტინგში 70.39 ქულა და მე-13 ადგილი შეინარჩუნა და კვლავაც იტალიისა და ტონგას ეროვნულ გუნდთა კომპანიაში იმყოფება. ერთა თასზე გერმანიაში გამარჯვების წყალობით მცირე ქულები შეიმატა რუსეთის ნაკრებმა, თუმცა, ეს მე-17 პოზიციიდან აღსაზევებლად საკმარისი არ აღმოჩნდა.

IRB-ს რეიტინგი 4 მაისისთვის

1.ახალი ზელანდია	92.68
2.სამხრეთ აფრიკა	89.45
3.ავსტრალია	85.86
4.ირლანდია	83.27
5.არგენტინა	81.56
6.ინგლისი	80.96
7.უელსი	80.59
8.საფრანგეთი	79.94
9.ფიჯი	75.24
10.შოტლანდია	75.23
11.სამოა	72.57
12.იტალია	71.23
13.საქართველო	**70.39**
14.ტონგა	70.05
15.კანადა	69.12
16.იაპონია	68.05
17.რუსეთი	66.57
18.რუმინეთი	64.26
19.აშშ	63.55
20.ურუგვაი	63.16
21.პორტუგალია	62.16
22.ესპანეთი	59.01
23.ჩილე	57.95
24.ს.კორეა	57.65
25.ნამიბია	56.82
26.გერმანია	55.35

ადრიანო სამშობლოში დაბრუნდა

მილანის ინტერის ყოფილი ფეხბურთელი, ბრაზილიელი ადრიანო ბრაზილიის ფლამენგოში გადავიდა. როგორც ამბობენ, ადრიანოს ბოლო დროს იტალიური კლუბის ბოსებთან ცუდი ურთიერთობა ჰქონდა და სამშობლოში მისი დაბრუნება სწორედ ამან დააჩქარა.

იმპერატორად სახელდებული ბრაზილიელი ფორვარდი იტალიის ჩემპიონატში 7 წლის მანძილზე ირჯებოდა და 48 გოლი აქვს გატანილი, თუმცა ბოლო დროს ჟოზე მოურინიოს ფორმაციის გუნდის ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდებოდა, რაც ამბიციური ბრაზილიელისთვის სერიოზული პრობლემა იყო.

"პალერმოს" მცველი მორის კაროციერი კოკაინზე ჩავარდა

5 აპრილს ტორინოსთან მატჩის შემდეგ კაროციერიმ დოპინგ-ტესტი გაიარა და ანალიზმა კოკაინის კვალი აღმოაჩინა. ამის შესახებ იტალიის ოლიმპიურმა კომიტეტმა განაცხადა.

გაოგნებული ვართ, - თქვა კლუბის პრეზიდენტმა მაურიციო ძამპარინიმ, - ჩვენ ვებრძვით აკრძალული პრეპარატების გამოყენებას, რომლებიც ახალგაზრდების ჯანმრთელობას ვნებენ. ძალიან სამწუხარო ცნობა მოგვივიდა ოლიმპიური კომიტეტისგან. საწყენია, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომლებიც ღამის კლუბებში დადიან, ასე იდიოტურად ერთობიან. ეს მათ სპორტულ ცხოვრებას არაფერს მატებს და ორგანიზმსაც იფუჭებენ. თუ ეს მართალია და კაროციერიმ კოკაინი მიიღო, უნდა აღიაროს .

პალერმოელს, სულ მცირე, ორწლიანი დისკვალიფიკაცია ელის.

კაიზერ ფრანცის აუხდენელი ოცნება

მიუნხენის ბაიერნის პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი ოცნებობს, რომ თავისი გუნდის მთავარ მწვრთნელად გუუს ჰიდინკი დანიშნოს, თუმცა ესმის, რომ მისი ეს ოცნება არარეალურია.

გუუს ჰიდინკი ბაიერნის შესაძლო მწვრთნელთა სიაში არ არის, რადგან მისი გადაბირება სრულიად უიმედო საქმეა, - განაცხადა მიუნხენური კლუბის პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა. ის, ვინც ჩელსიში იმის გამო არ რჩება, რომ სურს, მომავალი სეზონი მთლიანად 2010 წლის მსოფლიო პირველობისთვის რუსეთის ნაკრების მზადებას დაუთმოს, ბაიერნში არ წამოვა, - დასძინა მან.

მალუდა რჩება

სეზონის დამთავრების შემდეგ ფლორან მალუდა კლუბის დატოვებას არ აპირებს. ამის შესახებ ბრიტანული სპორტული ინტერნეტგამოცემა Sky Sports-ი იუწყება. ყველა ჭორზე პასუხისმგებელი არ ვარ. არასოდეს მითქვამს, რომ ჩელსიდან წასვლა და ამა თუ იმ გუნდში თამაში მინდა. კლუბშიც არავის უთქვამს, რომ ჩემი გაყიდვა უნდათ. ლონდონელებთან გრძელვადიანი ხელშეკრულება მაკავშირებს და მის ამოწურვამდე ამ გუნდში ვაპირებ თამაშს, - თქვა მალუდამ. 28 წლის ფრანგი 2007 წელს ლიონიდან 20 მილიონი ევროს სანაცვლოდ გადავიდა ჩელსიში და პრემიერლიგაში ჩატარებულ 47 მატჩში 5 გოლი გაიტანა. 2004 წლიდან მოყოლებული, მალუდამ სამფეროვანთა შემადგენლობაში 44 შეხვედრა გამართა და სამჯერ აიღო მეტოქის კარი.

ვან გაალს "მანჩესტერი"-"ბარსელონას" ფინალის ხილვა სურს

ჰოლანდიური ალკმაარისა კატალონიური ბარსელონას ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა ლუი ვან გაალმა, განაცხადა, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალში მანჩესტერისა და ბარსელონას დაპირისპირების ხილვა სურს.

რეალის წინააღმდეგ ბარსელონა შესანიშნავად მოქმედებდა. კატალონიელთა თამაშის ყურებით სიამოვნება მივიღე. ამ მომენტისთვის ბარსელონასა და რეალს შორის დიდი უფსკრულია. მადრიდელებს, ფაქტობრივად, გუნდი არ ჰყავთ. რაც შეეხება ჩელსის წინააღმდეგ დაგეგმილ განმეორებით მატჩს, ბარსელონას მოთამაშეებს ფინალში გასვლა ძალიან გაუჭირდებათ. პირველ მატჩში ნულოვანმა ფრემ მათ ერთობ გაურთულა საქმე, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. ჩელსიმ იცის, თუ როგორ უნდა ითამაშოს ესპანელთა წინააღმდეგ. თანაც, მასპინძლები იძულებული არ არიან, უკანმოუხედავად შეუტიონ. ვფიქრობ, სრულიად შესაძლებელია ინგლისელებმა კონტრშეტევებს მიმართონ. თუმცა, მაინც იმედი მაქვს, ბარსელონა ფინალში გავა, რათა მანჩესტერს დაუპირისპირდეს , - ამბობს ვან გაალი.

მოურინიოს პროგნოზი

მოურინიომ ჰიდინკი გაამართლა

ინტერის მთავარი მწვრთნელი ჟოზე მოურინიო დარწმუნებულია, რომ სერ ალექს ფერგიუსონის მანჩესტერ იუნაიტედი ვერ შეძლებს გასული სეზონის წარმატების გამეორებას - ჩემპიონთა ლიგის მოგებას. ამის თაობაზე პორტუგალიელმა სპეციალისტმა იტალიელ ჟურნალისტებთან არსენალისა და მანჩესტერის განმეორებით ნახევარფინალურ მატჩამდე ისაუბრა.

ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ მანჩესტერი ფინალში გავა, თუმცა არც იმაში მეპარება ეჭვი, რომ ტურნირს ის გუნდი მოიგებს, რომელიც მეორე ნახევარფინალში მიაღწევს წარმატებას. რაც შეეხება ბარსელონასა და ჩელსის დაპირისპირებას, ლონდონელებზე საუბარი მიჭირს, ეს ჩემი ყოფილი გუნდია. ერთი რამ აშკარაა: ფიზიკური მომზადების თვალსაზრისით ჩელსი ამჟამად მსოფლიოში საუკეთესოა. ნოუ კამპზე ჰიდინკმა გუნდს, შეიძლება ითქვას, ანტიფეხბურთი ათამაშა, თუმცა სხვაგვარად ბარსელონასთან წარმატების მიღწევა ალბათ ძნელია. შაბათს გამართულმა კლასიკომ დაგვანახა, თუ რისი გაკეთება შეუძლია ბარსას გასვლით მატჩებში. ჩემი აზრით, ჰიდინკი თამაშს არ გახსნის და კვლავ კონტრშეტევების იმედად იქნება. სწორედ ამით არის ჩელსი ბარსელონასთვის საშიში. ღია თამაშში კი ლონდონელებს ალბათ შანსი არ ექნებათ. ცხადია, ბარსა დღეს ევროპაში ყველაზე ლამაზ ფეხბურთს თამაშობს, თუმცა ჩელსის შეუძლია მისი შეჩერება , - აცხადებს მოურინიო.

იმას, რაც ჩელსისა და ბარსელონას პირველ მატჩში არისტოკრატებმა გააკეთეს, არაერთმა სპეციალისტმა უწოდა ანტიფეხბურთი, თუმცა ყველა ერთხმად ამბობს იმასაც, რომ ბარსას დასამარცხებლად სხვა მეთოდი, უბრალოდ, არ არსებობს.

კაკა წასვლას არ აპირებს

კაკამ "მილანს" კიდევ ერთხელ შეჰფიცა ერთგულება

კაკას შესაძლო ტრანსფერზე საუბარი მოსაბეზრებელი გახდა. კვირა ისე არ გავა, ახალი ჭორი არ აგორდეს. მილანის ბრაზილიელი შემტევი ყველაზე ხშირად მადრიდის რეალში გადაჰყავთ. სულ ცოტა ხნის წინ ისიც კი ითქვა, რომ კაკას მამამ და აგენტმა შეთანხმებას მიაღწია ფლორენტინო პერესთან და თუ პერესი რეალის პრეზიდენტის პოსტს დაიკავებს, კაკა სამეფო კლუბში გადავა.

იტალიურ მედიაში გავრცელებული ეს ინფორმაცია თავად კაკას მამამ უარყო.

არასდროს მითქვამს, რომ ჩემი შვილი მილანს დატოვებს და არც მოლაპარაკება გამიმართავს ვინმესთან. კაკა ბრწყინვალედ გრძნობს თავს მილანში და კლუბს საკუთარი ერთგულება დაუმტკიცა კიდეც. გაუთავებელი ჭორები მისი შესაძლო ტრანსფერის შესახებ მოსაბეზრებელი გახდა. ჩემი შვილი აპირებს სეზონი ნორმალურად დაასრულოს, შემდეგ დაისვენებს და, მერწმუნეთ, საუბარი სხვა კლუბში გადასვლაზე ვერ იქნება , - განაცხადა ფეხბურთელის მამამ.

ზამთარში კაკამ მანჩესტერ სიტის სარფიან შეთავაზებაზე თქვა უარი, თუმცა ამ უარის მიზეზად ის დაასახელეს, რომ სიტი იმ დონის გუნდი არ არის, რომელშიც კაკას თამში სურს. რაც შეეხება რეალს , ამ გუნდს დიდი ხანია სურს ბრაზილიელის გადაბირება, მაგრამ ჯერჯერობით სამეფო კლუბის ყველა მცდელობა უშედეგოდ დასრულდა.

თავად კაკამ რამდენჯერმე თქვა, რომ მილანი მისთვის მშობლიური გუნდია და კარიერის დასრულებასაც როსონერის შემადგენლობაში აპირებს. თან უნდა, რომ მალდინის შემდეგ კაპიტნის სამკლაურის მოირგოს, რათა მილანური კლუბისთვის იმავე დონის ფიგურად იქცეს, როგორადაც წლების განმავლობაში პაოლო მალდინი ჩამოყალიბდა.

იყიდება ჰოლანდიური კოლონია

სამეფო კლუბში ჰოლანდიელები აღარ ითამაშებენ

გალაქტიკური კლუბის ნათლია ფლორენტინო პერესი, რომელიც სულ ცოტა ხანში შესაძლოა კვლავ გახდეს სამეფო კლუბის პრეზიდენტი, გუნდის ჰოლანდიელი ფეხბურთელებისგან განმენდას აპირებს.

ესპანური მედიის ინფორმაციით, იმ შემთხვევაში, თუ პერესმა საპრეზიდენტო არჩევნები მოიგო, რეალის ექვსივე ჰოლანდიელ ფეხბურთელს გაყიდის და ამის წყალობით დაახლოებით 100 მილიონ ევროს მიიღებს თუნდაც იმისთვის, რომ ერთი მეგავარსკვლავი იყიდოს.

სამეფო კლუბში საპრეზიდენტო არჩევნები 14 მაისს გაიმართება. თუ ეს არჩევნები პერესის გამარჯვებით დასრულდა, ალბათ 15 მაისს ჰოლანდიური ექვსეული ტრანსფერზე იქნება დაყენებული.

პერესი არიენ რობენის, რუუდ ვან ნისტელროის, როისტონ დრენტეს, ვესლი სნაიდერის, რაფაელ ვან დერ ვარტის და კლას იან ჰუნტელაარის მოცილებას აპირებს.

100 მილიონ ევროდ ეს ფეხბურთელები ალბათ გაიყიდებიან. ერთი კია: რეალს ამ ფეხბურთელების შეძენა 120 მილიონი ევრო დაუჯდა.

რაც შეეხება ჰოლანდიური კოლონიის მოცილებას, ამაში პერესი ალბათ მართალიცაა, რადგან ამ ექვსეულიდან რეალში ნორმალურად მხოლოდ ვან ნისტელროი და რობენი ათამაშდნენ, თუმცა ამ დუეტსაც ყოველთვის აქვს პრობლემები, კერძოდ, ორივე ხშირად იღებს ტრავმას.

პერესმა იმ ფეხბურთელების სიაც შეადგინა, ვისი ყიდვაც ჰოლანდიელების სანაცვლოდ სურს. ახალი გალაქტიკოსების შექმნაში პერესს კაკა, რიბერი, ფაბრეგასი, ხაბი ალონსო, დვიდ ვილია და დავიდ სილვა უნდა დაეხმარონ. ამ ფეხბურთელებიდან რეალს რეალურად ალბათ ხაბი ალონსოს, დავიდ სილვასა და რიბერის შეძენა შეუძლია.

ველოდებით კარტოზია-ბალავაძეს

კარგი ისაა, რომ თბილისს გივი კარტოზიასა და ვახტანგ ბალავაძისა სახელობის საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ და თავისუფალი სტილით ჭიდაობაში დაუბრუნდა. ყოველ შემთხვევაში, ერთწლიანი შესვენების შემდეგ საქართველოს დიდი ჭიდაობა უბრუნდება. ეგაა, გაურკვეველია, ფალავნებს ვინ მოევლინება მასპინძლად. სასურველია, ასეთ მასპინძლად სპორტის სასახლე ვიხილოთ. მით უმეტეს თუ ჩამომსვლელთა შორის კანადელები და ფრანგები არიან.



გიგა გურასაშვილის ფოტო

რა თქმა უნდა, ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის (5-7 ივნისი) ჩასატარებლად საუკეთესო ვარიანტი სპორტის სასახლეა, მაგრამ ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციას საამისოდ იჯარის საფასური არ ხიბლავს. განიხილებოდა ბათუმის ვარიანტიც, მაგრამ ესეც დიდ ფინანსებთანაა დაკავშირებული. როგორც არ უნდა იყოს ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციაში ამ საკითხე მსჯელობენ და გადაწყვეტილებას უახლოეს ხანებში გაახმოვანებენ.

ამასობაში თბილისურ ხალიჩაზე ასპარეზობის სურვილი რამდენიმე ქვეყანამ გამოხატა. ჩამოსვლის მსურველთა განაცხადებებს სამი კვირის განმავლობაში დაელოდებიან, მერე კი მონაწილეთა ვინაობაც საყოველთაოდ გახმოვანდება. ჯერჯერობით კი ისაა ცნობილი, რომ ქართული მხარისთვის ოფიციალურად საფრანგეთისა და კანადის ფედერაციებს მოუმართავთ. მეტიც ორივე ქვეყანამ საქართველოს ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციას ნაკრების შემადგენლობებიც გამოგზავნეს.

სავარაუდოდ თბილისში ვიხილავთ აზერბაიჯანის, ინდოეთის, სომხეთის, უკრაინის ნაკრებებსაც.

ეროვნულ ფედერაციაში იმედი აქვთ, რომ მონაწილეთა ნუსხა 28 მაისამდე უფრო გაიზრდება.

სერენა პირველობას იცემებს

დაახლოებით ორი კვირის წინ მსოფლიო საჩოგბურთო რეიტინგის სათავეში აღზევებული რუსი დინარა საფინას პირველობას არაფრად აგდებს ამერიკელი სერენა უილიამსი. ის აცხადებს, ნამდვილი პირველი ნომერი მე ვარო.

სერენას ფედერაციის თასის მოგება ვინუსთან ერთად უნდა

ყველამ ვიცით, ვინცაა ნამდვილი პირველი ნომერი. მართალი გითხრათ, მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშე მე ვარ , - კატეგორიულია სერენა უილიამსი, რომელსაც ნოემბერში, საკუთარ დასთან შეწყვილებულს, აშშ-ის ნაკრების რიგებში ფედერაციის თასზე თამაში განუზრახავს. მაგრამ ამაზე ქვევით.

ამერიკელის ნათქვამს მშვიდად შეხვდა დინარა საფინა. მას ასე ლაპარაკის უფლება აქვს, რადგან გაცილებით მეტი დიდი სლემის ტურნირი მოუგია. თან ჩემზე უფროსია და გამოცდილებაც მეტი აქვს. როცა მისი ხნის ვიქნები, მერე დავითვალოთ, რამდენი ტიტული მექნებაო.

რუსი ჩოგბურთელი, რომელიც ამერიკელზე ოთხი წლით უმცროსია, ამბობს, რომ მსოფლიო რეიტინგის პირველ ნომრად ყოფნა საკუთარი თამაშით დაიმსახურა.

ამას გამართლებას ვერ დავარქმევ. დიდი სლემის ტურნირების ორი ფინალი ვითამაშე და ბოლო ერთი წლის განმავლობაში ოთხ ტიტულს დავეუფლე. ეს ყველაფერი ციდან არ ჩამოვარდნილა .

თემას ფედერაციის თასით გავაგრძელებთ. სამომავლო გეგმებს ახმოვანებს უფროსი უილიამსი, რომელსაც სერენასთან ერთად ფედერაციის თასის ფინალში იტალიის ნაკრების წინააღმდეგ თამაში სურს. ნახევარფინალში, რომელშიც ამერიკელებმა ჩეხები 3:2 დაამარცხეს, უილიამსებს არ უთამაშიათ.

ფინალში თამაშს ვისურვებდი. მე და სერენამ ეს საკითხი განვიხილეთ, - ამბობს უფროსი უილიამსი, - ახლა მთავარია, ტრავმა არ მივიღოთ. იმედი მაქვს, ამ მატჩში მონაწილეობის საშუალება და შესაძლებლობა მოგვეცემა. ეს მაგარი იქნებოდა ამერიკის შეერთებული შტატებისთვის .

2006 წელს ფედერაციის თასი იტალიელებმა დაისაკუთრეს. ამერიკელებს კი 2000 წლის შემდეგ ქალთა გუნდური ასპარეზობა არ მოუგიათ.

ფედერაციის თასის ფინალს 7-8 ნოემბერს სწორედ იტალია მასპინძლობს.

შოტლანდიაში საუკეთესოები დაასახელეს

"სელტიკის" თავკაცი გორდონ სტრაჩანი შოტლანდიაში წლის საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს. ამავე გუნდის მცველმა სკოტ ბრაუნმა კი ქვეყნის ნომერ პირველი ფეხბურთელის წოდება დაიმსახურა.

როგორც უეფას ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, ბრაუნმა თანაკლუბელ გარი კოლდუელს და "რეინჯერსის" ნახევარმცველებს პედრო მენდესს და სტივენ დევისს აჯობა.

ჰიიპია "ასპირინელი" ხდება

ლივერპულისა და ფინეთის ნაკრების 35 წლის მცველი სამი ჰიიპია, რომელსაც მერსისაიდულ კლუბთან კონტრაქტი მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ გასდის, თავისუფალი აგენტის სტატუსით ლევერკუზენის ბაიერს შეუერთდება.

მხარეებმა ორშაბათს ხელი მოაწერეს კონტრაქტს, რომლის ძალით ჰიიპია 2011 წლის 30 ივნისამდე დარჩება ლევერკუზენში .

ძალიან მიხარია, აქ რომ გადმოვდივარ და იმედი მაქვს, ერთად წარმატებებს მივაღწევთ, - თქვა მან.

ლევერკუზენის სპორტულ დირექტორს რუდი ფიოლერს სჯერა, რომ ჰიიპია თავისი გამოცდილებით ახალგაზრდა გუნდს მეტ სტაბილურობას შესძენს.

ფინელმა მცველმა 460 მატჩში დაიცვა ლივერპულის ღირსება და მას 35 გოლით შეეწია. წითლებთან ერთად მან, პრემიერლიგის გარდა, ყველა ინგლისური და ევროპული ტურნირი მოიგო.

ლივერპული მას ენფილდზე დარჩენას და სამწვრთნელო საქმით დაკავებას სთავაზობდა, მაგრამ მან თამაშის გაგრძელება არჩია.

გრიგალავა სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა

მოსკვას ქართველი ფეხბურთელი გია გრიგალავა, რომელიც დედაქალაქურ კლუბში მიმდინარე სეზონის დასაწყისში გადავიდა, რუსული პრემიერლიგის მე-7 ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა.

ქართველ მცველს ამგვარი პატივი სეზონში პირველად ერგო. გრიგალავა პერმის ამკართან გასვლით მატჩში კარგი გარჯის გამო გამოარჩიეს.

გიამ მინდორზე 90 წუთი დაჰყო და გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო იყო, მოსკვამ კი 1:0 იმარჯვა.

ფიგუს მოურინიოს თანაშემწეობა არ სურს

ინტერის ნახევარმცველმა ლუიშ ფიგუმ განაცხადა, რომ არ აპირებს სამწვრთნელო კარიერის დაწყებას. სეზონის დასაწყისში 36 წლის ფიგუ კარიერის დასრულებას აპირებდა, თუმცა სათამაშო კარიერის გაგრძელება მხოლოდ იმის გამო გადაწყვიტა, რომ ინტერში მისი თანამემამულე ჟოზე მოურინიო დაინიშნა მწვრთნელად. ამ რამდენიმე ხნის წინ კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ მომავალი სეზონიდან ლუიში მოურინიოს თანაშემწის თანამდებობას დაიკავებდა. გზის გასაყარზე ვარ. ახლა მომავალზე ლაპარაკი არ ღირს, რადგან საფეხბურთო კარიერა ჯერაც არ დამიმთავრებია. რა თქმა უნდა, ფეხბურთში დავრჩები - სპორტის ამ სახეობის გარეშე ჩემთვის ცხოვრება წარმოუდგენელია. თუმცა ჯერ არ ვიცი, რას გავაკეთებ. არ ვიცი, საიდან გაჩნდა ინფორმაცია, რომ მოურინიოს თანაშემწე გავხდები. უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში მწვრთნელობას არ ვაპირებ , - ამბობს ფიგუ.

"მარსელს" დეშამი გაწვრთნის

საფრანგეთის ნაკრების ყოფილი კაპიტანი და ტურინის იუვენტუსის ყოფილი მთავარი მწვრთნელი დიდიე დეშამი მომავალი სეზონიდან ფრანგულ მარსელს ჩაიბარებს. დეშამმა უკვე გააფორმა ორწლიანი ხელშეკრულება მარსელის მესვეურებთან. მარსელის ახლანდელმა მწვრთნელმა ერიკ გერეტსმა განაცხადა, რომ სეზონის დასრულების შემდეგ აუცილებლად დატოვებს კლუბს.

ამჟამად 40 წლის დეშამმა 1993 წელს მარსელის შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგა მოიგო. მას უთამაშია ისეთ კლუბებში, როგორიცაა ჩელსი , იუვენტუსი და მონაკო .

70 მილიონი რიბერიში

ბრიტანული მედიის ინფორმაციით, მანჩესტერ იუნაიტედმა ოფიციალური წინადადებით მიმართა მიუნხენის ბაიერნს ფრანკ რიბერის ტრანსფერის თაობაზე. მანკუნიანელები მზად არიან რიბერიში 70 მილიონი ევრო გადაიხადონ.

რიბერის მანჩესტერში კრიშტიანუ რონალდუს შესაძლო შემცვლელად აღიქვამენ. როგორც ამბობენ, პორტუგალიელმა შესაძლოა სეზონის ბოლოს მანკუნიანური კლუბი დატოვოს.

თვალის მიკროქირურგიის

ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს

კლინიკა

" ო ფ თ ა ლ მ ი ჯ ი "

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით

და ერთი მოძრავი საოპერაციო

ბლოკით

S L T - ლაზერი

გლაუკომის ქირურგიაში

ოფთალმოქირურგიული ტექნიკის

უკანასკნელი მიღწევა

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

დავით ტატიშვილის

სამედიცინო ცენტრის

მანუალური თერაპიის

და სამკურნალო

მასაჟის სპეციალისტი

ირაკლი ძიძიგური

გთავაზობთ:

ყველა ასაკის პაციენტთათვის - დისკოზის, ოსტეოქონდროზის, სქოლიოზის, ართროზის მკურნალობას, ოპერაციის და ტრავმის შემდგომ რეაბილიტაციას თანამედროვე აპარატურისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი

თბილისი, თენგიზ აბულაძის 20

(ვაკე, „სამების" ეკლესიის უკან)

ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (899) 222 912;

24 საათი

The New York Times
Articles selected for 24 საათი

Weekend

1 მარტიდან

საცალო ვაჭრობაში "24 საათის" სამშაბათის ნომერი ნიუ იორკ თაიმსთან ერთად ეღირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ეღირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმომწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის 24 საათის ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება.

მარტიდან შესაძლებელი იქნება 24 საათისგან დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამოწერაც. ასეთ შემთხვევაში ხელმოწერის ფასები შესაბამისად იქნება:

1 წლით ———————— 52 ლარი;
6 თვით ———————— 26 ლარი;
3 თვით ———————— 13 ლარი;
1 თვით ———————— 4 ლარი.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალეკო ლომიძე;